პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 დეკემბერი პარასკევი 2012 №308 (13 914) ფასი 80 თეთრი

# ოლიმპიათული

რა თქმა უნდა, შავდათუაშვილი 11

## გურამ კაშიას თოვლის პაპა უკვე ენვია

ინტერვიუ წლის საუკეთესო ფეხბურთელთან

2

## შოთა არველაძე:

## არ ველოდი ფეხბურთელები საქმეს ასე თუ უდგებოდნენ

ეს ის საქმეა, სადაც რისკი ჭრის

3







12

## მე წავედი, თორნიკე



13

## ნავროზაშვილი ბორდოსფრად შეიძლება

## საახალწლო TimeLine

ვიმოგზაუროთ დროის მანქანით: 12 თვის 13 მოვლენა 12,16

ინტერვიუ

# შოთა არველაძის სამწვრთნელო ფილოსოფია

## ეს ის საქმეა, სადაც რისკი ჭრის

## ბარსელონა, კოოპერატივი და კიროვის ბალი

შოთა არველაძეს მწვრთნელობა გუშინ არ დაუწყია, თავიდან "ალკმაარში" იყო მთავარი მწვრთნელის თანაშემწე, მერე კი დამოუკიდებლად დაიწყო გუნდების გაწვრთნა – ჯერ თურქული "ქაისერისფორი" ჩაიბარა, ახლა ისევ თურქული სუპერლიგის გუნდს, სტამბოლის "ქასიმფაშას" თავკაცობს.

შოთა საკმაოდ არაორდინარული ფეხბურთელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ მინდორი და ბურთი არ იყო მისი თვალსაწიერი, ის ბევრად უფრო დაფიქრებული ფეხბურთელი გახლდათ სხვადასხვა რამეებზე, ვიდრე მისი თაობის სხვა ნიჭიერი ქართველი მოთამაშეები.

შოთა საშუასეზონო შვებულებას თბილისში ატარებს და როცა ინტერვიუზე შევუთანხმდით, ისეთ თემებს გამოვედეთ, რომელთაც სატელეფონო საუბარში ისე ვერ მიმოიხილავ, როგორც უშუალო შეხვედრის დროს.

ეს ინტერვიუ სამწვრთნელო აქცენტებს მოიცავს და ვფიქრობ, სპეციფიკურად საინტერესო უნდა იყოს როგორც გულშემატკივრისთვის, ასევე სპეციალისტებისთვისაც.

**- ფეხბურთელობისას სულ აქტიურობდი ვარჯიშებზე, კამათობდი, შენსას ამტკიცებდი, როგორც გამოცდილი მოთამაშე, ახალბედებს რჩევებს აძლევდი. ამას მოჰყვა მომდევო ეტაპი – მწვრთნელობა, ანუ იმავე საქმეში კი დარჩი, ოღონდ სხვა პოზიციაზე. როგორ უყურებ მწვრთნელის გადასახედიდან ფეხბურთელის პროფესიას?**

- ასე ვიტყოდი: მწვრთნელობამდე ფეხბურთელი უფრო სერიოზული მეგონა, ანუ ჩემი უწინდელი წარმოდგენით მას უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონოდა საკუთარი პროფესიის, კონტრაქტის მიმართ. ჩემთვის სიტყვა უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე კონტრაქტი და ხშირად პასუხისმგებლობა სიტყვას უკავშირდება. გავხდი მწვრთნელი და თუ ადრე მეგონა, რომ ფეხბურთელები ისეთები იყვნენ, როგორიც მე წარმომედგინა, აღმოჩნდა, რომ ასეთი მხოლოდ ხუთი პროცენტია, დანარჩენები კი დინებას მიჰყვებიან, აღარ აქვს იმას მნიშვნელობა, ფეხბურთელს ხელფასი 20 ათასი აქვს თუ 100 ათასი, ყველანი ერთნაირად იქცევიან.

**- მაინც რას გულისხმობ ერთნაირად მოქცევაში?**

- არ იხარჯებიან ბოლომდე ვარჯიშზე, მათ წვრთნა გართობა ჰგონიათ, მიმაჩნია, რომ ფეხბურთელი ნახევარი საათით ადრე მაინც უნდა მოდიოდეს ვარჯიშზე. "ქაისერისფორში" „კოფიბრეიკი" დავაწესე, ანუ ვარჯიში რომ გვქონდა 6 საათზე, ფეხბურთელი ერთი საათით ადრე უნდა მოსულიყო. „კოფიბრეიკი" ხუთის ნახევარზე დავნიშნე, მაგრამ ფეხბურთელების თავშეყრა მაინც პრობლემა იყო, არადა "ქაისერისფორში" ყველაფერი კარგად იყო აწყობილ-დალაგებული, უკვე შემდგარ კლუბში მივედი სამუშაოდ. ერთიცაა, მაგალითად, ოცი ფეხბურთელიდან ორს ჰყავს ცოლი და ვიცი, რომ ისინი სახლში ნორმალურად იკვებებიან, დანარჩენი თვრამეტი კი კარგად იკვებება თუ არა, არ ვიცი.

**- როგორც უნდა იყოს, გუნდის შედეგსა და ავანჩავანზე მთავარი პასუხისმგებელი მაინც მწვრთნელია...**

- რა თქმა უნდა და მეც საქმეს ასე ვუდგები – ასი პროცენტიდან ასივეზე პასუხისმგებელი მე ვარ, მაგრამ ფეხბურთელიც უნდა იყოს პასუხისმგებელი. ერთმა მოთამაშემ მითხრა, რას მერჩი, ყველა მატჩი ვითამაშეო. ვუპასუხე, მე გავაცდინე რომელიმე მატჩიმეთქი? ფეხბურთელს კონტრაქტის მიხედვით კლუბი ყველა პირობას რომ უსრულებს, მწვრთნელს ასეთი რამე არ უნდა დააყვედროს. ეს პირველად მაშინ გავიგე, როცა მწვრთნელი გავხდი.

**- ფეხბურთელობისას მოედანზე ბევრს ლაპარაკობდი ვარჯიშის დროს. მწვრთნელობისას უფრო მეტად უფუცხუნებ ფეხბურთელებს?**

- პირიქით, რაც ფეხბურთელობის დროს ვიყავი ამ მხრივ, ახლა მკვეთრად განსხვავებული ვარ. ალექსანდრე ამისულაშვილი რომ მოგვყავდა "ქაისერისფორში", უკითხავს, შოთა ახლა იმაზე უფრო მეტს ეჯაჯღანება ფეხბურთელებს, ვიდრე მანამდეო. ამისულაშვილს საპირისპიროში ზურაბ ხიზანიშვილიც არწმუნებდა.

**- განსაკუთრებული იუმორით ყოველთვის გამოირჩეოდი. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ფაქტორი მწვრთნელობის დროს? რამდენად საჭიროა იუმორის გრძნობა ამ პროფესიაში?**

- მწვრთნელობას სჭირდება სწორი სიტყვა. თუ მწვრთნელი ხარ, საკუთარი პრინციპები აუცილებლად უნდა გქონდეს. იუმორი, პედაგოგიკა, სადისციპლინო სანქცია... ამ ყველაფერს სათითაოდ ნუ გამოვეკიდებით, არ მინდა, რომ მხოლოდ ვიმუშაო, მინდა, რომ ვიცხოვრო და ვიმუშავო. ვნახოთ, შესაძლოა, ჩემი დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი შეიცვალოს, თანდათან ვრწმუნდები, რომ გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- გუნდის შედეგი ისეთი რამეა, მწვრთნელს ერთ და იმავე მდგომარეობაში რომ ვერ ამყოფებს...**

- ამერიკელი ჯონ ვუდენის წიგნს ვკითხულობ. ის კოლეჯების საკალათბურთო ლიგის ლეგენდარული მწვრთნელი იყო. ვუდენი ამბობს, რომ არასდროს არ უნდა უყურო ტაბლოს, რადგან ის გავიწყებს სწორ მუშაობას. ვფიქრობ, რომ გუნდის შექმნის პროცესი უნდა გააუმჯობესო, ეს უნდა იყოს მიმართულება.

**- საფეხბურთო ფილოსოფია ცალკე საკითხია, ეს გემოვნებასაც მოიცავს. რაც მწვრთნელი გახდი, რამე შეიცვალა ამ მხრივ შოთა არველაძეში?**

- ვფიქრობ, მწვრთნელობამ მკვეთრად შემცვალა. ანალიზის გაკეთება, მეტოქის შესწავლა – ამის მიხედვით ვაძლევ დავალებას ჩემს ფეხბურთელებს. სულ ის მინდა, ასე ვთქვათ, ფეხბურთი რომ ვითამაშო, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემს მონდომებაზე არ ყოფილა დამოკიდებული. მინდა, რომ ჩემი გუნდის მცველმა ბურთი კი არ მოიცილოს, არამედ ალექსანდრე ჩივაძესავით ითამაშოს, მაგრამ მწვრთნელობისას თანდათან კარგად მივხვდი იმას, რომ ეს ფეხბურთელს აღარ უნდა დააძალო, ამით მწვრთნელი ფეხბურთელს შიშის ქვეშ აქცევს.

**- რომელია სიმწიფის ასაკი მწვრთნელისთვის, ან არსებობს კი საერთოდ სიმწიფის ასაკი ამ პროფესიაში?**

- გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანი კი არის, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ პროფესიას სიმწიფის ასაკი არ აქვს. იმარჯვებს ის, ვინც რისკზე მიდის, ადრე გარისკავ, ადრე წაიქცევი... ეს ის საქმეა, სადაც რისკი ჭრის.

**- "ბარსელონა" - დღეს ეს მოდელია სამაგალითო. შეიძლება ითქვას, საფეხბრთო მოდის კანონმდებელიც. ალბათ, შენც ამავე აზრისა ხარ...**

- თბილისის "დინამოში" რომ ვიყავი, ჩვენი გუნდი შინაგანად სწორედ "ბარსელონას" ფეხბურთს თამაშობდა, შელიაც და ნემსაძეც ისე იდგნენ გუნდში, როგორც პიკე და მასკერანო. მოკლე პასებს ვთამაშობდით, ასე გვინდოდა, ასე გვსიამოვნებდა, მაგრამ ზოგი კოოპერატივს გვეძახდა, რას აკეთებთ, აქ კიროვის ბალი ხომ არ გგონიათო. საშა ჩივაძე კი პირიქით, გიჟდებოდა ჩვენს ასეთ ფეხბურთზე...

**- ფეხბურთს მხოლოდ "ბარსელონა" არ თამაშობს, კიდევ სად ხედავ საინტერესო მოდელს?**

- ძალიან მომწონს მადრიდის "ატლეტიკო" და დიეგო სიმეონე, რომელიც ძალიან პრაგმატულად მოქმედებს. თუ სადმე მინდა წასვლა და ნახვა, რა როგორ კეთდება, სიმეონესთან წავიდოდი.

**- "ბარსელონა", "ატლეტიკო", სიმეონე – ისე ხომ არ გამოდის, რომ ლუის ვან გაალისთვის ადგილი აღარ რჩება?**

- ვან გაალს შეუძლია, რომ ვითომ არაფერში დაინახოს რაღაცა და აათამაშოს. ამას წინათ ვან გაალმა "ვიტესიდან" ჰოლანდიის ნაკრებში 20 წლის ნახევარმცველი მარკო ვან გინკელი წაიყვანა, მისგან ამას ცოტა თუ ელოდა, მაგრამ ფაქტია, ვან გაალმა ნაკრებში ექვსი მატჩიდან ყველა მოიგო. ვან გაალს უნდა, ყველა ფეხბურთელს აგრძნობინოს, რომ საკუთარ პოზიციაზე შეუძლია ლიდერი გახდეს, ამის შანსს ის ყველას აძლევს, ყველა ფეხბურთელის დაჯერებას ცდილობს იმაში, რომ გუნდში ეს მოთამაშე ძალიან საჭიროა.

**დავით თავართქილაძე**



შოთა არველაძე და გურამ კაშია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

წლის ფეხბურთელი

# როგორ თოვლის ბაბუას ისურვებდა გურამ კაშია?

## წლის ფეხბურთელის აღიარება: რა დასამალია, საუკეთესოობაზე არასოდეს მიფიქრია

**ჰოლანდიური არნემის „ვიტესის" ქართველი კაპიტანი და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი გურამ კაშია საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელია: ეს ცნობილი გახდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებულ წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე. გურამ კაშია რჩეულ ლეგიონერად ქართველმა გულშემატკივრებმაც დაასახელეს და სპეციალისტებმაც. ქართველი ქომაგების გამოკითხვაში 3300-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. კაშიამ მიიღო ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული სპეციალური ჯილდოც – "ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი — 2012", რომლის შედეგებიც მედიისა და სპეციალისტების გამოკითხვით გამოვლინდა. გურამ კაშიას "ლელომ" ინტერვიუ ჩამოართვა.**

**- უპირველესად, გილოცავ მედიისა და ფედერაციის აღიარებას.**

- მადლობა ყველა გულშემატკივარს, ჟურნალისტსა და სპეციალისტს, ვინც მხარი დამიჭირა. აღიარებით ძალიან გახარებული ვარ. უპირველესად, ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა.

მაგრამ საღამოზე ფედერაციამ სიურპრიზი მომიწყო და მეორე ჯილდოც გადმომცა, რაც ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. დიდი მადლობა ამ დაფასებისთვის.

**- ყველა ამბობს, რომ ქართველ ფეხბურთელებს მსგავსი საღამოები აკლდათ.**

- კარგია, ეს ტრადიცია რომ აღდგა. ფეხბურთელები მთელი წლის განმავლობაში თავს იმისთვის ვიკლავთ, რაც შეიძლება მეტი ტიტული რომ მოვიპოვოთ. ამ შრომას რომ გიფასებენ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, ამისთვის თამაშობ და წვალობ – ბედნიერება მხოლოდ კარგი ხელფასი და ძლიერ ლიგაში თამაში არ არის. ბედნიერებას მაშინ გრძნობ, როდესაც საკუთარ ქვეყანაში გულშემატკივრებიც გაღიარებენ, მედიაც და სპეციალისტებიც.

**- საერთოდ, გასული წელი შენთვის წარმატებული გამოდგა. ერედივიზიონის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდი.**

- ეს "ვიტესის" დამსახურებაა, სადაც კარგი სავარჯიშო და ადამიანური გარემო დამხვდა. ევროპაში მოხვედრილი ადამიანი მხოლოდ წინსვლაზე ფიქრობ და ეს შანსი უნდა გამოიყენო.

**- 2013 წელს ყველაზე მეტად რას ისურვებდი?**

- უპირველესად, მინდა მთელ ქვეყანას მივულოცო დამდეგი ახალი წელი და ვუსურვო, რომ 2013 წელი ჩვენი ხალხისთვის იყოს ბედნიერების, სიხარულის მომტანი და, რაც მთავარია, მშვიდობიანი. ჩემი ოჯახისთვისაც იმავეს ვინატრებდი.

**- კარიერაში ?**

- მინიმუმ, "ვიტესთან" ერთად ევროპის ლიგაში მოხვედრას, ნაკრებში კი – ხალხის გახარებას და რომ 2013 წელი იყოს 2012-ზე უფრო წარმატებული.

*ამ ინტერვიუს გურამის მეგობარი დავით ოდიკაძეც ესწრებოდა, თბილისის "დინამოს" ფეხბურთელი, რომელიც ახლა საჩხერეს "ჩიხურაში" იჯარით თამაშობს და კაშიამ მასზეც ისაუბრა:*

- მე ახლა ბედნიერი ფეხბურთელი ვარ და არ მსურს დავივიწყო ადამიანი, რომელმაც ხელი შემიწყო, რომ "დინამოში" გავხსნილიყავი და უკეთ ავთამაშებულიყავი. დავით ოდიკაძეზე ვლაპარაკობ, რომელიც ჩემთვის იყო ადამიანობის, მეგობრობისა და პროფესიონალიზმის მაგალითი. მეკვლედ სწორედ ასეთ თოვლის ბაბუას ვისურვებდი.

**- ბავშვობაში, სანამ ზღაპრების კიდევ გჯეროდა, თოვლის ბაბუისგან ყველაზე მეტად რა საჩუქარს ელოდი?**

- ფეხბურთის ბურთს! ეს იყო და დღემდე რჩება ჩემთვის ყველაზე სასურველ საჩუქრად. ბურთი ისე მიყვარდა, სახლშიც სულ ბურთს ვაგორებდი.

**- 2012 წელი რომ დგებოდა, იფიქრებდი, რომ ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგის სიმბოლურ ნაკრებში დაგასახელებდნენ?**

- არც მიფიქრია და სიმართლე გითხრათ, პირადული წარმატებები დასახული მიზნად არც მქონია.

**- პატარა ეგოისტური ჩანაფიქრები მაინც გექნებოდა?!**

- როგორ არა, ბავშვობაში სულ ვოცნებობდი, წარმატებული ფეხბურთელი გავმხდარიყავი და ხალხს ვყვარებოდი. მაგრამ საქართველოს იმდენი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, რომ კონკრეტულად წლის ფეხბურთელობაზე არასოდეს მიფიქრია.

უფრო იმაზე ვოცნებობდი, ჩვენი ნაკრები სტადიონიდან თამაშის შემდეგ ხალხმა ტაშით გააცილოს. ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნება ეს არის და იმედია, ამას 2013 წელს მაინც ავიხდენთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● სიტუაცია



ბუბა ტყავაძე

# ტყავაძე მეტალურგთან კავშირს უარყოფს

არის თუ არა **ბუბა ტყავაძე** "მეტალურგის" ერთ-ერთი დამფუძნებელი? მის მიმართ ეს კითხვა მას შემდეგ გაჩნდა, როდესაც რუსთაველი კლუბიდან თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორის რანგში დაუბრუნდა.

არ დავმალავთ, მცირე ხნის წინ ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენელი გვიმტკიცებდა, რომ სწორედ ასეა. ცხადია, დავინტერესდით, რადგან ინტერესთა კონფლიქტი და ორ გუნდთან კავშირი მძიმე ბრალდებაა. თუ ეს დამტკიცდება, ასეთ შემთხვევაში ტყავაძეს ერთ-ერთი უნდა დაეთმო – ან პოსტი "დინამოში", ან "მეტალურგთან" კავშირზე უნდა ეთქვა უნდა.

თუმცა, ეს გასარკვევი იყო და ბუბა ტყავაძეს სწორედ ამ კითხვით მივმართეთ.

*"ვარ თუ არა დღემდე "მეტალურგში"? არა, ეს ტყუილია. რუსთავის კლუბის 100 პროცენტიანი წილის მფლობელი მეტალურგიული ქარხანაა და ცხადია, დამფუძნებელიც ეს ორგანიზაციაა. მე კი მხოლოდ და მხოლოდ კლუბის მიერ დაქირავებული მენეჯერი გახლდით, მეტი არაფერი. "მეტალურგში" არც წილი მეკუთვნის და არასოდეს ვყოფილვარ დამფუძნებელი. ასე რომ, ამ ხმებს საქმეში ჩაუხედავი ხალხი ავრცელებს. მე ახლა "დინამოში" ვმუშაობ და მთლიანად ამ კლუბის საქმიანობაზე ვარ გადართული"* – გვითხრა ტყავაძემ.

**მერაბ მამულაშვილი№**

● სიონი

# ბოლნისში იმედოვნებენ...

ბოლნისის "სიონში", რომელმაც ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი ძალიან ცუდად ჩაატარა, საკმაოდ დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი.

კლუბი კვლავ საბიუჯეტო დაფინანსების იმედად არის და უკვე იციან, რომ მეორე წრეში ამ კუთხით მდგომარეობა გამოსწორდება. მაგრამ საბიუჯეტო კლუბები რომ არასტაბილურები არიან, ამ ფაქტიდანაც ჩანს: როგორც გავარკვიეთ, ყველა მოთამაშეს კონტრაქტი დეკემბრამდე ჰქონდა გაფორმებული, რადგან ბიუჯეტი ერთი წლით მტკიცდება.

როგორც ყოველთვის, ამ ხანმოკლე ხელშეკრულებების გამო, წარმოუდგენელია, კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებთან 2-3-წლიანი კონტრაქტები გააფორმოს და ხანგრძლივი და მიზანმიმართული მუშაობის გეგმა დაალაგოს. ასე იყო წლების განმავლობაში და ასეც იქნება, ვიდრე საბიუჯეტო კლუბებს საშველი არ დაადგებათ.

უახლოეს დღეებში კლუბის კრება გაიმართება, სადაც ცნობილი გახდება, ვინ დარჩება "სიონში", ვის დაშორდებიან და ვის დაიმატებენ.

შევიტყვეთ, რომ გუნდს შესვენება 10 იანვარს დაუსრულდება, მოთამაშეები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და საგაზაფხულო ეტაპისთვის მომზადებას შეუდგებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი

# ნორვეგიული მოსაწვევი

საქართველოს ფუტსალის ეროვნულ ნაკრები 22-27 იანვარს მალტაში ევრო-2014-ის შესარჩევი ციკლის წინასწარი რაუნდის შეხვედრებს ჩაატარებს. ჟენევაში გამართულ კენჭისყრაზე საქართველოს ნაკრები "ბ" ჯგუფში მოლდოვასთან და მალტასთან მოხვდა, ტურნირს კი, უკანასკნელი უმასპინძლებს.

ტურნირამდე საქართველოს ნაკრები ასევე მალტაში საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს, სადაც მასპინძლებთან ერთად ინგლისსა და საბერძნეთს დაუპირისპირდება.

გუშინ ფუტსალის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ბექა კვიციანმა** გვითხრა, რომ საქართველოს მარტში ნორვეგიაში იწვევენ: *"ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციას სურს, ნარვიკში საერთაშორისო ოთხთა ტურნირს უმასპინძლოს. მასპინძელთა და საქართველოს ნაკრებებთან ერთად, კიდევ რამდენიმე გუნდი მიიწვიეს - დანია, შვედეთი, ინგლისი, საფრანგეთი და ისლანდია და როდესაც საბოლოო პასუხი ეცოდინებათ, შემადგენლობაც მერე დაკომპლექტდება".*

ამავე დროს ცნობილი ხდება, რომ 25 აპრილს თბილისში უეფას თასის ოთხთა ფინალზე დასასწრებად ჩამოსვლას ბევრი ცნობილი კლუბის წარმომადგენელი აპირებს: სლოვაკური "სლოვმატიკის" და უნგრული "დიორ ეტოს" პრეზიდენტები, აგრეთვე, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნები.

ეს ქართული ფუტსალის წარმომადგენლებისთვის მშვენიერი შანსია, რომ კავშირები დაამყარონ და მოსამზადებელ ეტაპზე ძლიერ მეტოქეებთან სპარინგები დაგეგმონ.

**მერაბ მამულაშვილი**

● რეგიონი

# მანაგაძე დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იმერეთის ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციას ერთწლიანი შესვენების შემდეგ ვალერი მანაგაძე უხელმძღვანელებს, რომელმაც ალმასკომის წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ამ პოსტზე გიორგი აბესარაშვილი შეცვალა.**



ვალერი მანაგაძე

ვალერი მანაგაძე იმერეთის რეგიონულ ფედერაციას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, თუმცა შარშან იგი იმერეთის ვიცე-გუბერნატორმა **აბესარაშვილმა** ჩაანაცვლა. ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემდეგ აბესარაშვილმა იფფ-ს თავკაცის პოსტი დატოვა და რიგგარეშე სხდომაზე ახალ პრეზიდენტად (რომელიც პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო) ვალერი მანაგაძე აირჩიეს. ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა მხარდაჭერისთვის ალმასკომს და რაიონების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა, შემდეგ კი ფედერაციის გეგმებზე ისაუბრა: *„ჩვენი ძირითადი პრიორიტეტი ბავშვთა ფეხბურთი იქნება. სხვა გზა არ გვაქვს, თუ გვინდა, რომ საქართველოში ფეხბურთი წინ წავიდეს, პირველ რიგში ბავშვებს უნდა მივხედოთ. ის კურსი, რასაც ამ მხრივ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ატარებს, რეგიონის დონეზეც უნდა გადმოვიტანოთ და ნიჭიერ ახალგაზრდებს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი. ბავშვთა ფეხბურთთან ერთად შესაძლებლობების ფარგლებში დიდ გუნდებსაც დავეხმარებით. ჩვენი ფედერაცია სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელთა შორის 6 ჩემპიონატს ატარებს და ამ მხრივ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტიურები ვართ. პირობები გამკაცრდება და ჩემპიონატებში ის გუნდები იასპარეზებენ, რომლებსაც ბავშვებს ელემენტარულ სავარჯიშო პირობებს მაინც შეუქმნიან. სამწუხაროდ, ჩვენი რეგიონის ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში ნორმალური ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ნიჭიერი ახალგაზრდები სავარჯიშოდ დედაქალაქში გარბიან, სადაც უკეთესი პირობებია. მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, ქუთაისში აღზრდილი 150 ბავშვი თამაშობს საქართველოს უმაღლეს და პირველი ლიგის გუნდებში. სასიხარულოა, რომ „ტორპედო" და „ზესტაფონი" ბოლო დროს უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ ბავშთა ფეხბურთს. მოედნებსაც აკეთებენ, რაც ადგილობრივი ფეხბურთელების გადინებას შეანელებს... დიდ ყურადღებას ვუთმობთ ახალგაზრდა მსაჯების მომზადებას და ეს მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენს სამსაჯო კომიტეტში გაწვრთნილი არბიტრები გოგა კიკაჩეიშვილი, ირაკლი კვირიკაშვილი და მიხეილ კუპატაძე წლეულს დააწინაურეს და უმაღლესი ლიგის მატჩებს ამსაჯებენ. გარდა ამისა, ვგეგმავთ სხვადასხვა საინტერესო პროექტის განხორციელებასაც"* - აღნიშნა იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელის პოსტზე დაბრუნებულმა ვალერი მანაგაძემ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ლეგიონერი. ინტერვიუ

# ჯაბა ლიპარტია: საგანგაშო არაფერია, სეზონს ზარიაში ჩავამთავრებ

**17 მატჩი და ერთი გოლი – ასეთია ჯაბა ლიპარტიას მონაგარი უკრაინის მიმდინარე პრემიერლიგაში. "ზარიაში" ქართველი შემტევი უკვე მესამე სეზონს ატარებს და ამ ხნის განმავლობაში გუნდში ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა. მიმდინარე ჩემპიონატში მან მხოლოდ ერთი მატჩი გამოტოვა, მაგრამ უმეტესად შეცვლებზე თამაშობდა – ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ შვიდჯერ მოხვდა.**

**თუმცა ჯაბა ამ ფაქტს საგანგაშოდ არ მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ მეორე წრეში მოედანზე უფრო დიდი დროის გატარება მოუწევს. საქართველოში არდადეგებზე მყოფი ლიპარტია "ლელოს" რესპონდენტია.**

**- როგორ შეაფასებ შენს ბოლოდროინდელ როლს "ზარიაში"?**

- შეჩვეული ვიყავი, რომ მუდმივად ძირითადში ვთამაშობდი და მწვრთნელის ასეთი გადაწყვეტილება ჩემთვის არასასიამოვნო აღმოჩნდა. ერთი პერიოდი ახალი კლუბის ძიებაზეც დავიწყე ფიქრი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ სიტუაციისთვის ცივი გონებით უნდა შემეხედა. "ზარიაში" დიდი კონკურენციაა და არ არის ტრაგედია ის, რომ ზოგჯერ შეცვლაზე შევდივარ ხოლმე. მთავარია, ვგრძნობ, რომ გუნდისთვის ძველებურად საჭირო ფეხბურთელი ვარ და მისთვის სარგებლობის მოტანა შემიძლია. შრომა არასდროს მეზარებოდა, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მეტის გაკეთება მმართებს სასტარტო შემადგენლობაში დასამკვიდრებლად. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, უახლოეს პერიოდში ძირითადში უფრო ხშირად მოვხვდები. მოკლედ, ნერვიულობა აშკარად არ მიღირს. "ზარიასთან" კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში მიმთავრდება და სეზონს აუცილებლად აქ ჩავამთავრებ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**- "ზარიამ" პრემიერლიგის პირველი წრე მეათე ადგილზე დაასრულა. ეს შედეგი გუნდის მესვეურებისა და მწვრთნელებისთვის დამაკმაყოფილებელია?**

- ე.წ. "ოქროს შუალედში" უნდა დავმკვიდრებულიყავით – ასეთი იყო ჩვენი ამოცანა სეზონის წინ და საქმე სწორედ აქეთ მიდის. მართალია, ჩემპიონატი ზედიზედ ორი გამარჯვებით დავიწყეთ, რამაც ევროსაგზურის მოპოვების იმედი გაგვიჩინა, მაგრამ შემდეგ სტაბილურობას მოვუკელით. კიდევ კარგი, წლის ბოლო ოფიციალური მატჩი მოვიგეთ, თორემ მეთოთხმეტე პოზიციამდე დავეშვებოდით. ერთი სიტყვით, "ზარიას" ამჟამინდელი მდგომარეობა მის პოტენციალს შეესაბამება, თუმცა ყველანაირად ვეცდებით, გაზაფხულზე უფრო ანგარიშგასაწევი ძალა ვიყოთ.

**- უკვე საკმაო ხანია, უკრაინაში თამაშობ. უკრაინული პრემიერლიგის პროგრესზე ბევრი საუბრობს და შენ თუ დაეთანხმები ამ მოსაზრებას?**

- საერთოდ, საქართველოში გავრცელებულია აზრი, რომ რუსეთსა და უკრაინაში წასვლა ქართველ ფეხბურთელზე დამღუპველად მოქმედებს. ჩემი აზრით, ეს ძალიან მცდარი მოსაზრებაა. რუსეთშიც და უკრაინაშიც ყველა პირობაა იმისთვის, რომ ფეხბურთელმა თავი გამოიჩინოს, დონეზე კი საუბარიც ზედმეტია. რუსეთში



არასდროს მითამაშია, თუმცა იქაური პრემიერლიგის მაღალ დონეზე კამათი არც ღირს. უკრაინაშიც ძალიან კარგი ჩემპიონატია, სადაც ქულების მოპოვება ფავორიტებისთვისაც კი რთულია, ყოველი მატჩი არაპროგნოზირებადია. სხვა ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, დონეცკის "შახტარის" წინააღმდეგ თამაშია უდიდესი გამოცდილება.

**- "ზარიას" დუბლებში გიული მანჯგალაძე თამაშობს. მის შესახებ რას იტყვი?**

- ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და თანატოლებში აშკარად გამოირჩევა. არ გამოვრიცხავ, ახლო მომავალში ძირითად გუნდში გადმოიყვანონ.

**- "ზარია" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას როდის შეუდგება?**

- 14 იანვარს ყველანი ლუგანსკში უნდა ვიყოთ, სადაც სამედიცინო შემოწმებას გავივლით, 16-ში კი თურქულ შეკრებაზე მივემგზავრებით. ამჯერად სამის ნაცვლად ორი შეკრება გვექნება, სადაც საკმაო რაოდენობის საკონტროლო მატჩებს ჩავატარებთ.

**- უკრაინაში მოთამაშე ქართველებიდან ვის გამოარჩევდი?**

- რომელიმე მათგანის გამოყოფა გამიჭირდება, რადგან ყველა კარგად გამოიყურება და ძირითადშიც სისტემატურად თამაშობენ. თუმცა მაინც გამოვარჩევდი თორნიკე ოქრიაშვილს, რომელსაც ბოლო დროს თვალსაჩინო პროგრესი აქვს. იმავეს ვიტყოდი ლევან ყენიაზე, რომელიც მძიმე პერიოდის შემდეგ საკმაოდ სწრაფი ტემპით შედის სასურველ ფორმაში და თუ ასე გააგრძელა, მალე კიდევ უფრო მაღალ დონეზე ათამაშდება. ერთი სიტყვით, უკრაინაში ქართველები თავის სიტყვას ამბობენ, რაც ძალიან მახარებს.

**- უკრაინაში მოასპარეზე ქართველი ლეგიონერების უმრავლესობა ეროვნულ ნაკრებში თამაშობს. გამონაკლისი მხოლოდ შენ ხარ...**

- წლეულს მხოლოდ თურქეთის წინააღმდეგ ვითამაშე. რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი ვარ, ნაკრებში რომ ვერ ვხვდები, მაგრამ ამის გამო ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას არ ვაპირებ. მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვინ გამოიძახოს და რაკი მე არ მიწვევს, ალბათ ასეა უმჯობესი.

**- საქართველოს ჩემპიონატს თუ ადევნებ თვალს?**

- პირველი, რასაც ინტერნეტში შესვლისას ვაკეთებ, საქართველოს ჩემპიონატის შესახებ ინფორმაციების ძიებაა, ასე რომ, ჩვენს უმაღლეს ლიგაში მიმდინარე პროცესების შესახებ ყველაფერი ვიცი. აშკარაა, რომ ამ მომენტისთვის ყველაზე ძლიერი "დინამოა". გამოსარჩევია "დილასა" და "ტორპედოს" ბოლოდროინდელი პროგრესი, "ზესტაფონის" არასტაბილური ასპარეზობა კი ძალიან მიკვირს. მე კი, რა თქმა უნდა, "ვიტ ჯორჯიას" დიდ გულშემატკივრად ვრჩები და ვისურვებ, ახლო მომავალში მას კვლავ ჩემპიონობისთვის ებრძოლოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

### პირველი ეტაპი ციფრებში

# ჩისკო და ქართველი მეგოლეები



ჩისკო

საქართველოში საფეხბურთო სეზონი, სავარაუდოდ, 22 თებერვალს განახლდება: წინასწარი ინფორმაციით, სწორედ ამ დღეს არის დაგეგმილი 2012 წლის სუპერთასის მატჩი ქვეყნის ჩემპიონ „ზესტაფონსა" და თასის მფლობელ „დილას" შორის. ამჟამად კი უმაღლესი ლიგის 12-ივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები მართლაც დამსახურებულ შვებულებაში არიან; ჩვენ კი, ქართულ სპორტულ მედიას, ახლახან დასრულებული პირველი ეტაპის შეჯამება გვმართებს.

XXIV ჩემპიონატის პირველი ეტაპის გამორჩეულ ფეხბურთელებზე, სეზონის აღმოჩენის კანდიდატებსა თუ პირველი ეტაპის სიმბოლურ ნაკრებზე „ლელოს" უახლოეს ნომრებში მოგითხრობთ. მანამდე კი მიმდინარე სეზონის ერთობ საინტერესო ტენდენციაზე გვინდა ყურადღების გამახვილება. წინა ჩემპიონატთან შედარებით გაზრდილ შედეგიანობას ვგულისხმობთ, რისი „აკორდიც" პირველი ეტაპის ბოლო ტური იყო: ექვს შეხვედრაში 23 გოლი გავიდა! როცა, ტურის ერთ მატჩში საშუალოდ 3 გოლი გადის, ვერაფერს ვიტყვით, მართლაც ჩინებული მაჩვენებელია; ისევე როგორც, საერთოდ პირველი ეტაპის შედეგიანობის საშუალო მაჩვენებელი: ჩემპიონატის დასაწყისიდან ტურის ერთ მატჩში საშუალოდ 2-ზე ნაკლები გოლი არ გასულა! ჰოდა, ასეთი მაჩვენებლ(ებ)იდან გამომდინარე, ნურავის გაუკვირდება კიდევ ერთი აღსანიშნავი ტენდენციაც: პირველ ეტაპზე 132 მატჩი ჩატარდა და აქედან მხოლოდ 11 შეხვედრა დამთავრდა ისე, გოლი რომ არ გასულა (ანუ, 0:0 მორჩა).

ახლა კი გამორჩეულ მეგოლეებზეც ვთქვათ. ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი კლუბი თბილისის „დინამოა": **დუშან უჰრინის** დამოძღვრილმა გუნდმა 22 მატჩში 63 გოლი გაიტანა! აღსანიშნავია, რომ აქედან 44 გოლი სამი ფეხბურთელის ანგარიშზეა: 32 წლის **ჩისკომ** 17 გოლი გაიტანა, 27 წლის **ჯაბა დვალმა** - 16, 30 წლის **მიკელ ალვარომ** კი - 11. აღსანიშნავია, რომ ჩისკომ ეს 17 გოლი 20 შეხვედრაში გაიტანა, როცა შარშან მთელი სეზონის განმავლობაში 15 ბურთი შეაგდო (25 მატჩში). ჩისკო სხვა „ნომინაციებშიც" ლიდერობს: უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებს შორის ყველაზე მეტჯერ, ოთხჯერ შეასრულა დუბლი, ერთხელ კი - „ჰეთ-თრიქი". ჩისკოს, დვალისა თუ **გიორგი მერებაშვილის** შედეგიანი თამაში არავის უკვირს, აი, რაც შეეხება **მიხეილ ჯორბენაძესა** და **საბა ლომიას**, ამ ორი შემტევის ასეთ კამპანიაში მოხვედრა მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობაა.

25 წლის მიხეილ ჯორბენაძე ბათუმის „დინამოში" თამაშობს და თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია - 6 გოლი გაიტანა (ერთხელ ჰეთ-თრიქი შეასრულა). სამწუხაროდ, ჯორბენაძემ მხოლოდ 10 მატჩი ჩაატარა (დანარჩენი ტრავმის გამო გაუცდა), თორემ შეეძლო უკეთესი შედეგიც ეჩვენებინა. მარტვილის „მერანის" 22 წლის თავდამსხმელი საბა ლომია კი უკვე ახლავე შეგვიძლია მივიჩნიოთ „სეზონის აღმოჩენის" ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად. ეს ფეხბურთელი ადრე „ზესტაფონში" ასპარეზობდა, ისიც - ეპიზოდურად თუ გამოჩნდებოდა ხოლმე და ამ სეზონამდე 2 გოლი ჰქონდა გატანილი უმაღლეს ლიგაში. და აი, წლევანდელი მაჩვენებლებიც: 22 მატჩი და 13 გოლი! თანაც, ჩისკოსი და ჯაბა დვალის არ იყოს, ლომიამ ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეძლო და ორჯერ დუბლიც გაახერხა!

ახლა კი XXIV ჩემპიონატის პირველი ეტაპის ყველა ჰეთ-თრიქი, დუბლი და გოლი...

#### ჰეთ-თრიქი

ჯაბა დვალი - IV ტური, „დინამო" (თბ) - „კოლხეთი" 5:0

მიხეილ ჯორბენაძე - VII ტური, „დინამო" (ბთ) - „მერანი" 4:0

ჩისკო - XVIII ტური, „დინამო" (თბ) - „ჩიხურა" 4:0

საბა ლომია - XX ტური, „მერანი" - „კოლხეთი" 4:0

#### დუბლი (ტურების მიხედვით)

**II ტური**

ლევან კუტალია („ზუგდიდი")
მათე ვაწაძე („დილა")
რევაზ გოცირიძე („ჩიხურა")
ჩისკო („დინამო, თბ)

**III ტური**

რევაზ ჯიქია („სიონი")

**V ტური**

დავით ოდიკაძე („ჩიხურა")

**VI ტური**

ჩისკო („დინამო", თბ)
გიორგი მერებაშვილი („დინამო", თბ)
ლაშა შერგელაშვილი („ტორპედო")
ირაკლი ქობალია („ზუგდიდი")

**VII ტური**

ბესიკ ჩიმაკაძე („ვიტ ჯორჯია")
რატი წინამძღვრიშვილი („ზესტაფონი")



ჯაბა დვალი

**VIII ტური**

ჯაბა დვალი („დინამო", თბ)
გიორგი მერებაშვილი („დინამო", თბ)

**X ტური**

ნიკა საბანაძე („ტორპედო")
მიკელ ალვარო („დინამო", თბ)

**XI ტური**

ნათან ჟუნიორი („დილა")

**XIII ტური**

გულვერდ თომაშვილი („დილა")
გიორგი გაბედავა („ზუგდიდი")
ელგუჯა გრიგალაშვილი („ტორპედო")

**XIV ტური**

ჩისკო („დინამო", თბ)
ჯაბა დვალი („დინამო", თბ)
თორნიკე ბერიძე („დინამო", ბთ)

**XVI ტური**

დავით კირკიტაძე („ჩიხურა")

**XVII ტური**

ირაკლი სიხარულიძე („მეტალურგი")

**XIX ტური**

ჩისკო („დინამო", თბ)
ნიკა დიასამიძე („დინამო", ბთ)
საბა ლომია („მერანი")

**XXII ტური**

საბა ლომია („მერანი")
რომან ახალკაცი („დილა")
დიმიტრი ტატანაშვილი („მეტალურგი")

*ლიდერები: ჩისკო - 4, დვალი - 2, ს. ლომია - 2, მერებაშვილი - 2.*

#### I ეტაპის ყველა გოლი

**დინამო (თბილისი) - 63**

ჩისკო - 17, ჯ. დვალი - 16, ალვარო - 11, გ. მერებაშვილი - 6, ლ. ხმალაძე - 6. გ. კვარაცხელია - 3, რობერტინიო - 1, ვ. ვოსკობოინიკოვი - 1, ა. ტვილდიანი - 1, ა. ინწკირველი („მეტალურგი", საკუთარ კარში).

**ტორპედო - 41**

ნ. საბანაძე - 10, გ. კუხიანიძე - 5, გ. ბერიაშვილი - 5, ე. გრიგალაშვილი - 5, გ. დათუნაიშვილი - 4, გ. დოლიძე - 2, ბ. ტულუში - 2, ლ. შერგელაშვილი - 2, ნ. ფირცხალავა - 1, ვ. ბოლქვაძე - 1, მ. გიგაური - 1, გ. ფანცულაია - 1, ზ. ჭელიძე - 1, ა. კვახაძე - 1.

**დილა - 36**

რ. ახალკაცი - 4, ი. მოდებაძე - 4, გ. კახელიშვილ - 3, გ. ონიანი - 3, გ. თომაშვილი - 3, მ. ვაწაძე - 2, ს. გურული - 2, ი. კლიმიაშვილი - 2, ნ. ჟუნიორი - 2, დ. კვირკველია - 2, გ. გოგუა - 1, ზ. არზიანი - 1, გ. ბეჭვაია - 1, ლ. სალუქვაძე - 1, ლ. გვალია - 1, მ. გორელიშვილი - 1, კ. ალადაშვილი- 1, ვ. კაციტაძე - 1, გ. ჩადუნელი („კოლხეთი", საკუთარ კარში).

**ჩიხურა - 35**

დ. ოდიკაძე - 7, დ. კირკიტაძე - 6, ნ. კვასხვაძე - 4, გ. ჩხეტიანი - 3, რ. გოცირიძე - 2, თ. შარაშენიძე - 2, ბ. დეკანოიძე - 2, ე. საჯაია - 1, ლ. ბაკურაძე - 1, ვ. ლომაშვილი - 1, დ. დიღმელაშვილი - 1, ნ. გუშარაშვილი - 1, ჯ. ბერიანიძე - 1, ლ. ჩიკვაიძე - 1, გ. ქარქუზაშვილი („მერანი", საკუთარ კარში), ლ. კასრაძე („ვიტ ჯორჯია", საკუთარ კარში)

**ზესტაფონი - 30**

თ. გორგიაშვილი - 4, რ. წინამძღვრიშვილი - 4, ლ. შარიქაძე - 3, შ. ბაბუნაშვილი - 3, ა. ბენაშვილი - 2, მ. სარდალიშვილი - 2, ზ. მენთეშაშვილი - 2, თ. აფციაური - 1, თ. ღონღაძე - 1, პ. მილხრაუმი - 1, ბოტი გოა - 1, თედ. გრიგალაშვილი - 1, თორ. გრიგალაშვილი - 1, ი. იელიჩი - 1, გ. კაჭკაჭიშვილი - 1, ო. კვერნაძე - 1, ბერდია კვერნაძე - 1.

**ზუგდიდი - 27**

ი. ქობალია - 7, გ. გაბედავა - 4, შ. ლომია - 3, დ. გამეზარდაშვილი - 3, ლ. კუტალია - 2, ზ. სიხარულია - 2, ა. კოშკაძე - 1, დ. ბოლქვაძე - 1, დ. ფოფხაძე - 1, რ. ონიანი - 1, გ. ლაშქარავა - 1, ი. კვეკვესკირი („დინამო", ბთ - საკუთარ კარში)

**მერანი - 23**

ს. ლომია - 13, ნ. ნოზაძე - 2. მ. ტორონჯაძე - 2, გ. ამბროლაძე - 2. გ. დიდავა - 1. ვ. იობაშვილი - 1, გ. რეხვიაშვილი - 1, გ. გოგიტიძე („დინამო", ბთ - საკუთარ კარში)

**დინამო (ბათუმი) - 22**

მ. ჯორბენაძე - 6, ნ. დიასამიძე - 4, თ. ბერიძე - 3, ა. ბაციკაძე - 2, ი. ცნობილაძე - 2, ა. მუჯირი - 2, დ. სიჭინავა - 1, ი. ტიჩიშინი - 1, გ. გოგიტიძე - 1, ა. ტიმჩიშინი - 1.

**მეტალურგი - 21**

ი. სიხარულიძე - 7, დ. ტატანაშვილი - 7, გ. მიქაბერიძე - 2, რ. გეწაძე - 1, დ. დობროვოლსკი - 1, გ. ქავთარაძე - 1, ა. სუხიაშვილი - 1, დ. ჯანელიძე - 1.

**ვიტ ჯორჯია - 15**

ბ. ჩიმაკაძე - 5, ე. ლობჯანიძე - 2, ლ. გაბრიჭიძე - 2, გ. ვასაძე - 1, ჯ. გოგიაშვილი - 1, გ. ადამაძე - 1, გ. კორიფაძე - 1, გურ. გურეშიძე - 1, ი. ლიბრაძე - 1.

**სიონი - 14**

რ. ჯიქია - 6, ჯ. უგულავა - 1, გ. ქუცურუა - 1, დ. სვანიძე - 1, გ. მანწკავა - 1, გ. ფეიქრიშვილი - 1, გ. ჭედია - 1, ვ. ისიანი - 1, გ. ჭანკოტაძე - 1.

**კოლხეთი - 11**

პ. დათუნაიშვილი - 3, პ. ცხვიტარია - 2, შ. კვანტალიანი - 2, ი. პავლიაშვილი - 1, ჯ. გაბუნია - 1, ო. გოგონაია - 1, ა. ინწკირველი („მეტალურგი", საკუთარ კარში).

**გია ტუხაშვილი**



საბა ლომია

### სავარაუდო ტრანსფერი

# ქვილითაია ზესტაფონსაც სურს



გიორგი ქვილითაია

ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ „დინამოს" ხელმძღვანელობა პირველი ლიგის „სასკოს" თავდამსხმელით, **გიორგი ქვილითაიათი** დაინტერესდა. ეს ამბავი გუნდის მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** დაგვიდასტურა.

19 წლის თავდამსხმელმა სპეციალისტების ყურადღება შედეგიანობით დაიმსახურა – მან პირველ ლიგაში ჩატარებულ 16 მატჩში 22 გოლი გაიტანა.

შევიტყვეთ, რომ ქვილითაიას მიმართ ინტერესი "ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა, **კახა კაჭარავამაც** გამოავლინა.

ამავე დროს, გიორგის ევროპაში გასინჯვას სთავაზობენ. თუმცა, მომავალ კლუბთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. ფიფას აგენტის, **გუგა კაჭახიძის** თქმით, ქვილითაიას მიმართ ინტერესს ევროპის რამდენიმე კლუბი ავლენს.

თავად ფეხბურთელი ამბობს, რომ მისთვის მთავარი ის კი არაა, რომ უკეთეს კლუბთან გააფორმოს კონტრაქტი, არამედ სათამაშო პრაქტიკა უნდა ჰქონდეს, რომ გაიზარდოს.

**მერაბ მამულაშვილი**

### ფანკლუბი

# გლადიატორები: ხულიგნობას ვერავინ გაგვიხსენებს

## პოლიციამ იცოდეს, რა არის ტრიბუნაზე აკრძალული



23 დეკემბერს "ზესტაფონმა" თბილისის "დინამოს" უმასპინძლა და 2:1 მოუგო. მე-19 წუთზე მასპინძელთა ნახევარმცველმა **შოთა ბაბუნაშვილმა** „დინამოს" კარში გოლი გაიტანა. ამის შემდეგ დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე კონფლიქტი მოხდა, რასაც საქმეში პოლიციის ჩარევა მოჰყვა, მაგრამ საზოგადოებისათვის ბევრი რამ უცნობი დარჩა.

"დინამოს" ფან-კლუბის, "გლადიატორის" ლიდერი **როლანდ გაფრინდაშვილი** აპროტესტებს გავრცელებულ ხმებს, თითქოს, ყველაფერი გოლზე „დინამოს" ფანების განრისხებას მოჰყვა და ზესტაფონელ ფანებთან დაპირისპირება მოუვიდათ: *"გოლის მომენტში რამდენიმე კაცმა ემოცია ჩვენთვის შეურაცხმყოფელი ჟესტებით გამოხატა და ამაზე რეაქცია გვქონდა. პოლიცია საქმეში ამ დროს ჩაერია, მაგრამ გაშველების ნაცვლად, უხეშად გვექცეოდნენ. ამას მოჰყვა კონფლიქტი გლადიატორებსა და პოლიციას შორის, მაგრამ მალევე ამოიწურა და ტრიბუნებს დავუბრუნდით. ამიტომ, სულ მცირე ტყუილია, თითქოს სტადიონიდან გაგვაძევეს და ჩვენი გაცხარება "ზესტაფონის" გოლმა გამოიწვია.*

*14 წელია, რაც "დინამოს" ფან-კლუბი არსებობს და ჩვენს ხულიგნობას ვერავინ გაიხსენებს. "დინამოზე" ყველას კარგად ვხვდებით და კონფლიქტი არავისთან გვქონია. მაგრამ ჩვენს ღირსებას თუ შეეხებიან, უპასუხოდ არავინ დარჩება, რადგან გლადიატორების დევიზია "ტრადიცია-ღირსება-ძალა".*

გაფრინდაშვილის აზრით, ტრიბუნებზე არსებული პრობლემის მოგვარება სტიუარდების სამსახურის დანერგვას შეუძლია: *"აქვე ერთ მნიშვნელოვან თემას მინდა შევეხო. მსოფლიოში ფანებთან პოლიციელები თითქმის ალარსად დგანან. ჩვენთან კი პოლიციელთა დიდმა ნაწილმა არ იცის ტრიბუნაზე რა შეიძლება და რა – არა. ხშირ შემთხვევაში ისეთი რალაცების აკრძალვის მცდელობები აქვთ, რაც არც ერთი საფეხბურთო კანონით არ არის გათვალისწინებული. ამიტომ სასურველია, ყველა კლუბმა სტიუარდების სამსახური ჩამოაყალიბოს და თამაშებს ისინი მოემსახურონ. მათ ეცოდინებათ, რა არის სტადიონზე მიღებული და რა - აკრძალული.*

*ჩვენ ერთადერთი ფან-კლუბი არ ვართ, ვისაც ეს პრეტენზია გააჩნია. პოლიციასთან პრობლემები ყველა ქართული კლუბის მხარდამჭერებს აქვთ. 90-იან წლებში თითქმის ყველა თამაშში ხდებოდა შეჯახებები ფანებსა და პოლიციას შორის. ყველას გვინახავს სკამების წვიმა ფან-სექტორიდან - ძირითადად, რუსეთზე ვამბობ. მაგრამ სტიუარდების სამსახურების დაფუძნების შემდეგ მსგავსი ფაქტები მინიმუმამდე შემცირდა. იმიტომ, რომ ელემენტარულ რამეზე პრობლემებს ალარ უქმნიდნენ".*

ერთი თვის წინ, თბილისის "დინამოს" გულშემატკივართა ლიდერმა "ლელოსთან" "გლადიატორების" პრობლემაზე ილაპარაკა, რომ მათ მიერ ორგანიზებული "ფაერშოუს" გამო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კლუბს საკმაოდ დიდი ფინანსური სანქცია დააკისრა. მაგრამ დაიქადნა, "დინამოს" თამაშების გასალამაზებლად მომავალშიც იმავეს გავაკეთებთ, ფედერაციის ჯარიმები ხელს ვერ შეგვიშლისო: *"როგორც ვიცი, ამ განცხადების შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ჩვენთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა, რადიო "სტარ ეფ-ემ"-ის ეთერში ილაპარაკა, ავუხსნი, რატომ ვაჯარიმებთო. ჩვენც ეს გვინდა და იმედია, შეხვედრა გაიმართება".*

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერები

# პატო კორინთიანსში მიდის

მოგეხსენებათ, "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ბრაზილიაში იმყოფება, სადაც დაინტერესებულ კლუბებთან, **ალეშანდრე პატოსა და რობინიოს** შესაძლო ტრანსფერებზე მოლაპარაკებებს აწარმოებს.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, პატოსთან დაკავშირებით შეთანხმება უკვე მიღწეულია. 23 წლის ფეხბურთელი "კორინთიანსში" გადადის, "მილანი" კი მის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ "იხვი" (პორტუგალიურად "პატო" სწორედ იხვს ნიშნავს) "როსონერიში" 2007 წელს გადავიდა და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, სერიოზული ტრავმის გარეშე მხოლოდ ერთი სეზონი (2008/09) ჩაატარა. დანარჩენი დროის მანძილზე, პატოს სხვადასხვა სახის ტრავმები ჰქონდა, რის გამოც მისი სატრანსფერო ფასი ნელ-ნელა დავარდა (თავის დროზე "მილანმა" "ინტერნასიონალს" 22 მილიონი ევრო გადაუხადა).


ალეშანდრე პატო



რობინიო

ეს "კორინთიანსისთვის" უკვე მეორე სერიოზული ტრანსფერია. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, სან პაულოს წარმომადგენლებმა, ლევერკუზენის "ბაიერიდან" **რენატო აუგუსტო** გადაიბირეს.

მიღწეული შეთანხმებით ძალიან კმაყოფილი იყო გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **დუგლას მონტეირო ალვეში**:

*"მისი პოტენციალის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. ის საოცარი ფეხბურთელია, რომელიც ჩვენ გუნდს უდავოდ გააძლიერებს. იმედი გვაქვს, რომ პრეზენტაციას იანვრის დასაწყისში მოვაწყობთ და ამით ჩვენ ქომაგს კიდევ ერთ საახალწლო საჩუქარს გავუკეთებთ,"* – განაცხადა ალვეშმა.

სულ, სერია A-ში პატომ 117 მატჩი ჩაატარა და 51 გოლი გაიტანა. წლევანდელ სეზონში, ბრაზილიელი მოედანზე მხოლოდ 4-ჯერ გავიდა და რა გასაკვირია, რომ გოლის გატანა ვერ შეძლო.

## ფლამენგოსთან შეთანხმება არ შედგა

პატოს შემდეგ, ადრიანო გალიანი **რობინიოს** ტრანსფერზე გადაერთო. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფეხბურთელის შეძენით ყველაზე მეტად მისი ყოფილი კლუბი "სანტოსი" და "ფლამენგო" იყვნენ დაინტერესებულნი. წარსულ დროში იმიტომ ვსაუბრობთ, რომ "ფლამენგო" რბოლას უკვე ჩამოშორდა. თავიდან გალიანი რიო დე ჟანეიროში გაემგზავრა და ბრაზილიის ყველაზე პოპულარული კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდა. როგორც გაირკვა, ბრაზილიელებს რობინიოს შეძენა 6 მილიონ ევროდ სურდათ, რაზეც უარი მიიღეს, მეტის გადახდა კი "ფლამენგომ" არ ისურვა.

*"ფლამენგო" უკვე გამოირიცხა, მაგრამ რობინიოს შეძენა კვლავ ორ გუნდს სურს, ერთი "სანტოსი" გახლავთ, მეორე კლუბის შესახებ კი ახლა ვერაფერს გეტყვით"* – განაცხადა ადრიანო გალიანიმ.

ბრაზილიელი ჟურნალისტების ინფორმაციით, მეორე კლუბი "ატლეტიკო მინეირო" უნდა იყოს, რომელსაც 2013 წელს ლიბერტადორესის თასზე მოუწევს ასპარეზობა და კლუბის ხელმძღვანელებს შემადგენლობის გაძლიერება სურთ.

**ტატო ბაციკაძე**

ფიორენტინა

# ფიორენტინა არგენტინელებით ძლიერდება

"რივერ პლეიტის" პრეზიდენტი, **დანიელ პასარელა** იტალიაში, კერძოდ ფლორენციაში გაემგზავრა, რათა ყოფილი კლუბის, "ფიორენტინას" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები გამართოს.

"ფიორენტინა" წლევანდელი სერია A-ს ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა და ბევრისთვის გასაკვირად, 18 ტურის შემდეგ, 35 ქულით მესამე ადგილს იკავებს. **ვინჩენცო მონტელას** ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება სურს, ამისთვის კი გუნდის გაძლიერებაა საჭირო.

როგორც გაირკვა, ფლორენციელებს "რივერის" ორი ფეხბურთელის, 21 წლის **როხელიო ფუნეს მორის** და 20 წლის **ესეკილ სირილიანოს** შეძენა სურთ.

როხელიო ფუნეს მორი ტანმაღალი (1,85 მ,) ცენტრფორვარდი გახლავთ, რომელმაც არგენტინის უკანასკნელ ჩემპიონატში ყველა შეხვედრაში ითამაშა (19) და 5 გოლი გაიტანა. ესეკილ სირილიანო კი ძალიან ჭკვიანი ცენტრალური ნახევარმცველია, რომელსაც ჩაშლაც შეუძლია და შეტევის წამოწყებაც.

ფეხბურთელების გაყიდვის გარდა, "რივერ პლეიტი" გაძლიერებაზეც ფიქრობს. არგენტინის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა რამდენიმე ფეხბურთელი უკვე გაიფორმა. კერძოდ, "მილიონერთა კლუბმა" "ნიუელსიდან" ამ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი **ლეონელ ვანხიონი** შეიძინა. გარდა ამისა, გუნდში ბრაზილიის სერია A-დან გავარდნილ "პალმეირასში" განათხოვრებული მცველი, პარაგვაელი **ადალბერტო რომანი** დაბრუნდა.

არგენტინელი ჟურნალისტების ინფორმაციით, მალე "რივერში" **ხუან მანუელ იტურბეც** ჩაირიცხება. 19 წლის არგენტინელმა, რომელიც თავის დროზე ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად მიიჩნეოდა, "პორტუში" იმედები ვერ გაამართლა. იტურბემ წელს მხოლოდ 4 შეხვედრაში ითამაშა, ბოლო პერიოდი კი საერთოდ "პორტუს" დუბლებში გაატარა.

**ტატო ბაციკაძე**

მწვრთნელი



# ვერკოტრენი გაუშვეს

ბელგიელი **ფრენკი ვერკოტრენი** ლისაბონის "სპორტინგის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ისე გაათავისუფლეს, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა.

*"ფრენკი ვერკოტრენი "სპორტინგის" მწვრთნელი აღარ არის, მაგრამ მან ამის შესახებ ჯერ არ იცის"* – განუცხადა პორტუგალიურ "ა ბოლას" ლისაბონელთა პრეზიდენტმა **გოდინიო ლოპეშმა.**

ინფორმაცია მოულოდნელი ნამდვილად არ არის, რადგან "სპორტინგი", მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, საშინელ სეზონს ატარებს. პორტუგალიის 18-გზის ჩემპიონი, 12 ტურის შემდეგ მე-12 ადგილზეა და მხოლოდ 12 ქულა აქვს (ბენფიკას 20 ქულით ჩამორჩება!). გარდა ამისა, "სპორტინგმა" ჩააგდო ევროპის ლიგაც და არცთუ ისე ძლიერ ჯგუფში ("გენკი", "ბაზელი", "ვიდეოტონი") უკანასკნელი ადგილი დაიკავა და მხოლოდ ბოლო, არაფრის მომცემი თამაში მოიგო.

ჟურნალისტების ინფორმაციით, ლისაბონელთა ახალი მთავარი მწვრთნელი, "ბენფიკას", "ბრაგას", "პორტუს" და "მალაგას" ყოფილი დამრიგებელი, **ჟესუალდო ფერეირა** უნდა გახდეს.

**ტატო ბაციკაძე**

გასართობი

# ზლატანერი: ახალი სიტყვა შვედურ ენაში

საფრანგეთში გამოგონილი ტერმინი "ზლატანერი", შვედური ენის საბჭოს გადაწყვეტილებით, იმ ნეოლოგიზმთა სიაში მოხვდა, რომლებსაც შვედურ ლექსიკონში შეიტანენ. პირველად ეს სიტყვა, ფრანგული არხის, "კანალ +"-ის ერთ-ერთ შოუში, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** თოჯინამ "გამოიყენა". მას შემდეგ, ეს ტერმინი ძალიან პოპულარული გახდა, განსაკუთრებით შვედურ მედიაში.

შვედური ენის ლექსიკონში სიტყვა ასეა განმარტებული:

"ზლატანერი - დომინაცია, ვინმეს აშკარა დაჯაბვნა.

ეტიმოლოგია: ფრანგულიდან, ზლატან იბრაჰიმოვიჩის საპატივსაცემოდ, რომელიც მოედანზეც და მის მიღმაც დომინირებს".

**ტატო ბაციკაძე**


ზლატან იბრაჰიმოვიჩის თოჯინა

ამბები

## ბლექბერნმა ბერგი დაიფრინა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი **ჰენინგ ბერგი სტივ კინის** ნაცვლად "ბლექბერნის" მთავარ მწვრთნელად ოქტომბრის ბოლოს დანიშნეს. შოტლანდიელ მწვრთნელს კლუბის ხელმძღვანელობა იმაზე საყვედურობდა, რომ "ვარდები" იმ მომენტისთვის მე-7 ადგილზე იყვნენ. ნორვეგიელისგან კლუბი სწორედ პრემიერლიგაში დაბრუნებას ითხოვდა, მაგრამ... ზუსტად 57 დღის თავზე მასაც კარისკენ მიუთითეს. ხელშეკრულებები გაუუქმდათ მის მიერ "ივუდ პარკზე" მოყვანილ თანაშემწეებსაც. ორი თვის განმავლობაში ჩატარებულ 10 შეხვედრაში გუნდმა მხოლოდ 1 მოიგო და 4 ფრედ ითამაშა. მაქსიმალური 30-დან 7 ქულის აღების გამო "ბლექბერნი" მე-17 ადგილამდე დაეშვა. განსხვავება გასავარდნ ზონასთან მხოლოდ 7 ქულას შეადგენს.

## მანჩინი იანვარში ფულს ვერ მიიღებს

როგორც ჩანს, "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობა **რობერტო მანჩინის** ბრმად აღარ ენდობა და შესაბამისად, კლუბი იანვარში შემადგენლობის გასაძლიერებლად ფულის გამოყოფას არ აპირებს. მიზეზი დღესავით ნათელია. იტალიელის საკადრო პოლიტიკა მოიკოჭლებს. ამის მაგალითია ზაფხულზე 8 მილიონ ფუნტად ნაყიდი **სკოტ სინკლერი.** 23 წლის ფეხბურთელს ჩემპიონატის 19 ტურში მხოლოდ 6-ჯერ აქვს ნათამაშები და აქედან მხოლოდ 2-ჯერ ძირითადში. მანჩინის მიერ დაწუნებულმა **ადამ ჯონსონმა** კი "სიტის" უკანასკნელ ტურში თავბედი აწყევლინა. შეიხი **მანსური** მიიჩნევს, რომ მანჩინიმ მის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრა ამჟამინდელი შემადგენლობითაც უნდა შეძლოს. მით უმეტეს, რომ ქალაქელები ევროთასებზე უკვე აღარ თამაშობენ. ერთადერთი გამონაკლისი შესაძლოა "მალაგადან" **ისკოს** შეძენა გახდეს და ისიც იმიტომ, რომ 20 წლის ესპანელ პლეიმეიკერს რეკომენდაციას "სიტის" ახალი სპორტული მენეჯერი **ჩიკი ბეგირისტაინი** უწევს.

**ლევან ბიბილაშვილი**

აფრიკის თასი

# კოტ დივუარის შემადგენლობა

კოტ დივუარის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა **საბრი ლამუშიმ,** აფრიკის ერთა თასისთვის 23 ფეხბურთელი შეარჩია. გამოძახებულთა შორის არის **დიდიე დროგბა,** რომელმაც კარიერის ბოლო 6 თვე ჩინეთში გაატარა.

კოტ დივუარი აფრიკის ჩემპიონი მხოლოდ ერთხელ, 1992 წელს გახდა, შარშან კი ფინალში გავიდა, სადაც ზამბიის ნაკრებთან პენალტების სერიაში დამარცხდა. შემადგენლობის გათვალისწინებით, სპილოს ძვლის სანაპიროს წარმომადგენლები, წელსაც ფავორიტები იქნებიან.

**მეკარეები:** ბუბაქარ ბარი (ლოკერენი), დანიელ იებოა (დიჟონი), ბადრა ალი სანგარე (სევე სპორტსი).

**მცველები:** სულეიმან ბამბა (ტრაბზონსფორი), არტურ ბოკა (შტუტგარტი), ემანუელ ებუე (გალათასარაი), იგორ ლოლო (ყუბანი), სიაკა ტიენე (პარი სენ ჟერმენი), კოლო ტურე (მანჩესტერ სიტი), ისმაელ ტრაორე (ბრესტი).


დიდიე დროგბა

**ნახევარმცველები:** აბდულ რაზაკი (მანჩესტერ სიტი), ნდრო რომარიკი (სარაგოსა), მაქს-ალან გრადელი (სენტ ეტიენი), შეიკ ტიოტე (ნიუკასლი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი), დიდიე ზოკორა (ტრაბზონსფორი).

**თავდამსხმელები:** დიდიე დროგბა (შანხაი შენხუა), სალომონ კალუ (ლილი), არუნა კონე (უიგანი), ლასინა ტრაორე (ანჟი), ვილფრიდ ბონი (ვიტესი), ჟერვინიო (არსენალი), დიდიე ია კონანი (ჰანოვერი).

ლამუშის გუნდი ყველაზე ძლიერ, ე.წ. "სიკვდილის ჯგუფში" მოხვდა, სადაც კოტ დივუარის გარდა, ალჟირის, ტუნისის და ტოგოს ეროვნული გუნდები არიან.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის აფრიკის ერთა თასი სამხრეთ აფრიკაში, 19 იანვრიდან 10 თებერვლამდე გაიმართება და გამარჯვებული გუნდი ბრაზილიაში გასამართი კონფედერაციის თასის საგზურს მიიღებს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა


იტალია. სერია A. პირველი წრის შეჯამება

# შემტევთა დეფიციტი კალჩოში

## და იუვეს სრული დომინირება



ლეონარდო ბონუჩი, ჯორჯო კიელინი, ანდრეა ბარცალი და ჯანლუიჯი ბუფონი თავიანთ პოზიციაზე საუკეთესონი არიან

მართალია, სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ეკვატორს მომდევნო ტურში მიაღწევს, მაგრამ უკვე თამამად შეგვიძლია პირველი წრე შევაფასოთ, კერძოდ კი საუკეთესო ფეხბურთელები გამოვავლინოთ და სიმბოლური გუნდი შევადგინოთ. მით უმეტეს, კალჩოში ზამთრის პაუზა გამოცხადდა და საამისოდ საუკეთესო დროა. სიმბოლურ გუნდს 3-5-2 ტაქტიკა შევურჩიეთ, რადგან იტალიაში აღნიშნული სქემა ყველაზე პოპულარულია. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ თითოეული ფეხბურთელისთვის სწორი პოზიცია შეგვერჩია, რადგან მოთამაშეთა ნაწილი სხვა ტაქტიკურ მოდელზეა მორგებული. შედეგები იტალიური სპორტული პრესის გამოკითხვებზეა დაფუძნებული, რიგითობა კი დაცული. უმრავლეს პოზიციაზე ექვსი კანდიდატია, თუმცა იგივე შემტევი ნახევარმცველი, გნებავთ გამთამაშებელი მხოლოდ ოთხია - ამ ამპლუის ფეხბურთელები არა მარტო იტალიაში, მსოფლიოშიც ცოტანი დარჩნენ. დანარჩენზე ქვემოთ...

### მეკარეები

1. ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი)
2. სამირ ჰანდანოვიჩი (ინტერი)
3. ანდრეა კონსილი (ატალანტა)
4. ფედერიკო მარკეტი (ლაციო)
5. მაურო გოიკოეჩეა (რომა)
6. ჯანლუკა პეგოლო (სიენა)

**ჯანლუიჯი ბუფონი** პოზიციებს არ თმობს და ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ დათმობს. იტალიის ნაკრების ნომერი პირველი მეკარე მიმდინარე სეზონშიც მონოდების სიმაღლეზეა, შეცდომებს პრაქტიკულად არ უშვებს და ტურინელი მცველებისთვის საიმედო ზურგია.

მეორე ადგილზე "ინტერისტა" **სამირ ჰანდანოვიჩია**, რომელიც ასევე დამაჯერებლად ასპარეზობს და მასში გადახდილ 11 მილიონ ევროს სრულად ამართლებს. უნდა შევაქოთ **ანდრეა კონსილი** "ატალანტადან", რომელიც მესამე პოზიციას იკავებს. სხვათა შორის, **ჩეზარე პრანდელიმ** უკვე განაცხადა, რომ კონსილის თამაშს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალს. ამბობენ, რომ ანდრეა "მილანის" მესვეურთა სამიზნეშია, სადაც **კრისტიან აბიატისა** და **მარკო ამელიას** სახით, ორი ვეტერანი კიპერია.

### ცენტრალური მცველი (მარჯვენა)

1. ანდრეა ბარცალი (იუვენტუსი)
2. ფაკუნდო რონკალია (ფიორენტინა)
3. ანდრეა რანოკია (ინტერი)
4. უგო კამპანიარო (ნაპოლი)
5. ანჯელო ოგბონა (ტორინო)
6. მარკინიოსი (რომა)

როდესაც **ანტონიო კონტემ** დაცვაში სამეული გაამწესა, თავიდან **ანდრეა ბარცალი** ცენტრში იყო, **ლეონარდო ბონუჩი** და **ჯორჯო კიელინი** კი ფლანგებზე. მიმდინარე სეზონში, ცენტრი ბონუჩიმ დაიკავა, ბარცალი კი ოდნავ მარჯვნივაა და თავის მოვალეობას იდეალურად ასრულებს. აბსოლუტურად ყველა გამოკითხვაში ბარცალი საუკეთესოა და კონკურენტებს გვარიანად ჯაბნის.

მეორე ადგილზე **ფაკუნდო რონკალიაა**, 25 წლის არგენტინული წარმოშობის იტალიელი, რომელმაც **ჩეზარე პრანდელის** ყურადღებაც კი მიიპყრო. რონკალიამ მყისვე დაიმკვიდრა "ვიოლას" ძირითად შემადგენლობაში ადგილი და დაცვის ბურჯად მოგვევლინა. მესამეზე **ანდრეა რანოკიაა**, რომელსაც შეცდომების დაშვება სჩვევია, მაგრამ მიმდინარე სეზონში მკვეთრად მოუმატა.




სტეფან ელ შაარავი

### ცენტრალური მცველი (ცენტრი)

1. ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი)
2. პაოლო კანავარო (ნაპოლი)
3. გონსალო როდრიგესი (ფიორენტინა)
4. ვალტერ სამუელი (ინტერი)
5. ანდრე დიასი (ლაციო)
6. გაბრიელ პალეტა (პარმა)

ლეონარდო ბონუჩიმ გაცილებით გამოცდილი თანაგუნდელები გვერდზე ჩააჩოჩა და დაცვის ცენტრში გამაგრდა. ლეო ბრწყინვალედ ასპარეზობს მიმდინარე სეზონში და შეცდომებს პრაქტიკულად არ უშვებს. ამად არის, რომ თუნდაც "გაძეტა დელო სპორტის" გამოკითხვაში **პაოლო კანავაროს** გვარიანად აჯობა. ეს უკანასკნელი მეორე ადგილზეა, აი მესამე კი ფლორენციელ **გონსალო როდრიგესს** უჭირავს. "ვიოლას' ფეხბურთელი თითქმის ყველა პოზიციაზე გვხვდება, რაც ამ გუნდის პროგრესის ნათელი დადასტურებაა.

### ცენტრალური მცველი (მარცხენა)

1. ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი)
2. ჟუან ჟესუსი (ინტერი)
3. სტეფან სავიჩი (ფიორენტინა)
4. ჯუზეპე ბიავა (ლაციო)
5. ანდრეას გრანკვისტი (ჯენოა)
6. ნეტუ (სიენა)

მოკლედ, მთელი უკანა ხაზი თავის მეკარიანად "იუვენტუსის" ფეხბურთელებით დაკომპლექტდა, რაც სულაც არ არის გასაკვირი. დაცვის მესამე ხმა **ჯორჯო კიელინი** გახლავთ, რომელიც ახლახან დაშავდა და დაახლოებით ორი თვე მოუწევს უქმობა.

მეორე ადგილი "ინტერის" ახალგაზრდა მცველმა **ჟუან ჟესუსმა** დაიკავა, რომლის ნიჭიერებაზეც მთელი საფეხბურთო იტალია საუბრობს, მესამე პოზიცია კი ფლორენციელმა **სტეფან სავიჩმა** "ლაციალე" **ჯუზეპე ბიავას** არ დაუთმო.

### მარჯვენა ნახევარმცველი (მცველი)

1. შტეფან ლიხტშტაინერი (იუვენტუსი)
2. ხავიერ ძანეტი (ინტერი)
3. მატია დე შილიო (მილანი)
4. ხუან კუადრადო (ფიორენტინა)
5. კრისტიან მაჯო (ნაპოლი)
6. აბდულაი კონკო (ლაციო)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პოზიციაზე ყველაზე დიდი კონკურენცია გახლდათ. მაგალითად, ისეთი გამორჩეული ფეხბურთელი, როგორიც **კრისტიან მაჯოა**, მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა. პირველი აქაც "იუვენტინოა", რაც ამ გუნდის სრულ დომინირებაზე მიუთითებს. შტეფანს კარგა გვარიანად ჩამორჩა **ხავიერ ძანეტი**, რომელიც სეზონის განმავლობაში სხვა პოზიციებზე ირჯებოდა. აქვეა ახალგაზრდა **მატია დე შილიო**, რომელიც ჟურნალისტთა შეფასებით, სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენაა. ამ პოზიციაზე მართლაც დიდი კონკურენციაა.

### მარცხენა ნახევარმცველი (მცველი)

1. კვადვო ასამოა (იუვენტუსი)
2. ფედერიკო ბალცარეტი (რომა)
3. იუტო ნაგატომო (ინტერი)
4. მანუელ პასკუალი (ფიორენტინა)
5. ფედერიკო პელუზო (ატალანტა)
6. ლუკა ანტონელი (ჯენოა)

საპირისპირო ფლანგზე მთავარი ბრძოლა **კვადვო ასამოასა** და **ფედერიკო ბალცარეტის** შორის გაიმართა. გამარჯვება აქაც ტურინელს დარჩა, რომელმაც ძირითადი შემადგენლობიდან **პაოლო დე ჩელიე** ამოაგდო. არადა, ეს უკანასკნელი გასულ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო.

ექვსეულში ვხედავთ **იუტო ნაგატომოს**, რომელმაც სხვა ბევრი პოზიციაც გამოიარა და **მანუელ პასკუალი**, რომელსაც წარმატებულ "ფიორენტინაში" თავისი როლი აკისრია. აქვეა **ფედერიკო პელუზო**, რომლის გადაბირებაც "იუვენტუსს" და "მილანს" სურთ.

### საყრდენი ნახევარმცველი

1. ანდრეა პირლო (იუვენტუსი)
2. დანიელე დე როსი (რომა)
3. ესტებან კამბიასო (ინტერი)
4. კრისტიან ლედესმა (ლაციო)
5. დავიდ პისარო (ფიორენტინა)
6. გეკჰან ინლერი (ნაპოლი)

საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე **ანდრეა პირლო** გახლდათ ნომინირებული და რა გასაკვირია, რომ კონკურენტებს არანაირი შანსი არ დაუტოვა. სამაგიეროდ, მეორე ადგილისთვის მძაფრი კონკურენცია იყო და იმავე "გაძეტას" გამოკითხვაში, **დანიელე დე როსიმ ესტებან კამბიასოს** მცირედით აჯობა. არადა, დე როსის **ზდენეკ ზემანთან** პრობლემები აქვს, რის გამოც რამდენიმე მატჩის გამოტოვება მოუხდა, ექვსეულში თითქმის ყველა პოზიციაზე ვხედავთ "ლაციოს" და „ფიორენტინას" ფეხბურთელებს - აქ, **კრისტიან ლედესმა** და **დავიდ პისარო** უნდა გამოვარჩიოთ.



მარეკ ჰამშიკმა და ედინსონ კავანიმ ტურინული იდილია დაარღვიეს

### ცენტრალური ნახევარმცველი (კლასიკური)

1. არტურო ვიდალი (იუვენტუსი)
2. კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი)
3. ბორხა ვალერო (ფიორენტინა)
4. ფრედი გუარინი (ინტერი)
5. ანტონიო კანდრევა (ლაციო)
6. მირალემ პიანიჩი (რომა)

ცოტა უხერხულიც კია, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით - ამ ნომინაციაშიც საუკეთესო "იუვენტუსის" ფეხბურთელია. **არტურო ვიდალმა** სეზონის პირველი ნახევარი დიდებულად ჩაატარა და საერთოდ, გუნდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად იქცა. მეორე ადგილზე კიდევ ერთი "იუვენტინო" **კლაუდიო მარკიზიოა**, მესამეზე კი ფლორენციელი **ბორხა ვალერო**. ცნობისთვის, ესპანელს ყველაზე მეტი, რვა საგოლე გადაცემა აქვს გაკეთებული. აქვეა "ინტერის" მთავარი შენაძენი **ფრედი გუარინი** და "ლაციალე" **ანტონიო კანდრევა**, რომელმაც რომაულ გუნდში მკვეთრად მოუმატა. კანდრევა უფრო მარცხენა ფრთაზე ირჯება, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფეხბურთელისთვის პოზიციის შეცვლა მოგვიხდა.

### ცენტრალური ნახევარმცველი (გამთამაშებელი)

1. მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი)
2. ერნანესი (ლაციო)
3. ალესანდრო დიამანტი (ბოლონია)
4. ფრანჩესკო ლოდი (კატანია)

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გამთამაშებლები მსოფლიო ფეხბურთში სულ უფრო ცოტანი დარჩნენ და ამ მხრივ, გამონაკლისი არც იტალიაა. სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, ამ პოზიციაზე მაქსიმუმ ოთხი ფეხბურთელი ასპარეზობს და ოთხივე თქვენ წინაშეა. საუკეთესო **მარეკ ჰამშიკი** გახლავთ, რომელიც "ნაპოლის" შეტევების სულისჩამდგმელია, შემდეგ კი დანარჩენი სამიც მოდიან. აღსანიშნავია "კატანიელი" **ფრანჩესკო ლოდის** პროგრესი, რომელიც უკვე იტალიის ეროვნული ნაკრების კანდიდატად ითვლება.

### თავდამსხმელი (უკან დახეული)

1. სტეფან ელ შაარავი (მილანი)
2. სებასტიან ჯოვინკო (იუვენტუსი)
3. ფრანჩესკო ტოტი (რომა)
4. სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა)
5. ანტონიო კასანო (ინტერი)
6. ერიკ ლამელა (რომა)

თავდამსხმელები, რომლებიც ხშირად სიღრმიდან თამაშობენ, ან თუნდაც გარემარბად ირჯებიან. პირველ ადგილზე **სტეფან ელ შაარავია**, რომელიც ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას უდგას სათავეში და ამით ყველაფერი ნათქვამია. 19 წლის მილანელმა დიდი ფორით აჯობა **სებასტიან ჯოვინკოს**, რომელიც "იუვენტუსში" წარმატებულ სეზონს ატარებს. იქვე არიან **ფრანჩესკო ტოტი, სტევან იოვეტიჩი** და **ანტონიო კასანო**. იტალიაში ამ პოზიციაზე ყოველთვის უდიდესი ვარსკვლავები ასპარეზობდნენ და დღეს, ამ მხრივ, ვითარება არც ისე სახარბიელოა.

### თავდამსხმელი (ცენტრფორვარდი)

1. ედინსონ კავანი (ნაპოლი)
2. მიროსლავ კლოზე (ლაციო)
3. პაბლო ოსვალდო (რომა)
4. ანტონიო დი ნატალე (უდინეზე)
5. დიეგო მილიტო (ინტერი)

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, თითქმის ყველა ამბიციური გუნდი მაღალი კლასის ფირვარდის ძიებაში, ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს. ამ მხრივ, "ნაპოლის" აშკარად გაუმართლა, რომელსაც **ედინსონ კავანი** ჰყავს - ურუგვაელმა მეორე ადგილზე გასული **მიროსლავ კლოზე** გვარიანად ჩამოიტოვა. შემდეგ ისეთი ფორვარდები მოდიან, რომლებიც ძველ, კარგ დროს ალბათ ოცეულშიც ვერ მოხვდებოდნენ. ზოგადად, **დიეგო მილიტოს** საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მაგრამ ფაქტია, რომ საუკეთესო დროება უკან მოიტოვა. მოკლედ, კალჩოში ფორვარდთა დეფიციტია.

**ლაშა ნიკლაური**

ბაიერნი

# ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს!

## დონ იუპმა სეზონის პირველი ნახევარი შეაჯამა



იუპ ჰაინკესი კმაყოფილია

ზედიზედ ორ სეზონში უტიტულოდ დარჩენის შემდეგ, „ბაიერნმა" ზაფხულში შემადგენლობა გააფართოვა და ახალ სეზონში იდეალურად ასპარეზობს - რეკორდმაისტერმა ბუნდესლიგის პირველი წრე მეორეადგილოსან „ლევერკუზენთან" 9-ქულიანი უპირატესობით დაასრულა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც უპრობლემოდ, პირველადგილოსნის რანგში გავიდა. ბავარიული გრანდი მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში უაღრესად მოტივირებული იყო, რაც შედეგებზეც აისახა და გუნდის მთავარ მწვრთნელ **იუპ ჰაინკესს** იმედი აქვს, რომ „ბაიერნი" სეზონის ნახევარსაც ასეთი შემართებით ჩაატარებს.

*„ჩემი გუნდი ძალიან დამშეულია და საახალწლოდ მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ ასე გავაგრძელოთ,* - აცხადებს „დონ იუპი" „ბაიერნის" ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში, სადაც სეზონის პირველ ნახევარს აჯამებს და დასძენს, - *ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს, რაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ."*

ჰაინკესი იანვარში, ყატარის შეკრებაზე რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის წაყვანას აპირებს და იმედოვნებს, რომ რომელიმე ან რამდენიმე მათგანი პირველ გუნდში დასატოვებლად მოეწონება. მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნს" ამ სეზონში ჯერ არაფერი მოუგია და გამორიცხული არ არის, რომ ისევ უტიტულოდ დარჩეს, ჰაინკესი თავის შეგირდებს მაღალფარდოვანი სიტყვებით ამკობს: *„ჩემი გუნდის პროგრესით აღფრთოვანებული ვარ! მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ. გარდა მოგროვებული ქულებისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ბურთების შეფარდებასაც - გავიტანეთ 44 და გავუშვით მხოლოდ 7 გოლი, რის გამოც მთელი გუნდი კომპლიმენტს იმსახურებს,"* - შეგახსენებთ, რომ აგვისტოდან დღემდე რეკორდმაისტერმა მხოლოდ ორი მატჩი წააგო: ბუნდესლიგაში „ლევერკუზენთან" (1:2) და ჩემპიონთა ლიგაში ბატე-სთან (1:3).

### რა შეიცვალა ბაიერნში?

შარშან მიუნხენელებმა პირველი წრე 37 ქულით, ასევე პირველ ადგილზე დაასრულეს და მეორე წრეშიც ნორმალური შედეგი ჰქონდათ (36) ქულა, მაგრამ ბოლოს გერმანიის ჩემპიონი ისევ „დორტმუნდი" გახდა - „ბორუსიამ" „ბაიერნს" 8 ქულით გაასწრო.

*„ამბობენ, წინა სეზონის მეორე წრეში „ბაიერნი" ჩაფლავდაო. მე ამ მოსაზრებას კატეგორიულად ვერ დავეთანხმები, რადგან წინა სეზონის მეორე წრეში პირველზე ერთით ნაკლები ქულა ავიღეთ. საქმე ის იყო, რომ მეორე წრეში „დორტმუნდმა" ითამაშა გრანდიოზულად, 15 თამაში მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და არც ერთში არ დამარცხებულა, რამაც ის გამოიწვია, რომ „ბორუსიამ" პირველი წრის მონაგარს 47 ქულა შემატა. ასე რომ, ჩვენ კი არ ჩავფლავდით, დორტმუნდელები თამაშობდნენ ფანტასტიკურად,"* - აცხადებს ჰაინკესი და დასძენს, - *ამ სეზონში ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ასეთი რამ აღარ მოხდეს. ახლა ყველანი ფხიზლად ვართ და არა მგონია, კონცენტრაცია დავკარგოთ. გუნდური სულისკვეთება უმაღლეს დონეზეა!"*

ჰაინკესი იანვარში დაგეგმილ შეკრებას, რომელსაც „ბაიერნი" 2-დან 9 იანვრამდე ყატარში გაივლის. ამ შეკრებაზე რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს იახლებს. 19 წლის **ლუკას რედერი** პირველი გუნდის განაცხადში ისედაცაა - ნიჭიერი მეკარე ტრავმირებული იყო, გამოჯანმრთელდა და რეკორდმაისტერს ყატარში გაჰყვება. მასთან ერთად, შეკრებაზე წავლენ 18 წლის **ლეოპოლდ ცინგერლე, დანიელ ვაინი** (18), **პიერ-ემილ ჰიობიერგი** (17) და **პატრიკ ვაირაუში** (18). „დონ იუპი" შეკრებაზე პირველი გუნდიდან მხოლოდ მძიმედ დაშავებულ **ჰოლგერ ბადშტუბერს** ვერ იახლებს.

ბუნდესლიგის მეორე წრე 19 იანვარს, „ფიურტთან" მატჩით იწყება. მანამდე კი ბავარიელები რამდენიმე ტესტ-მატჩს ჩაატარებენ - გადაწყვეტილია ამხანაგური შეხვედრები „შალკესთან" (8 იანვარს), „ბაზელთან" (12 იანვარს) და „უნტერჰახინგთან" (13 იანვარს).

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლევანდოვსკი ფერგის უახლოვდება

## იუნაიტედი პოლონელს ხუთწლიან კონტრაქტს და 25 მილიონს სთავაზობს!

ადრეც არაერთხელ დავწერეთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" დორტმუნდის „ბორუსიას" პოლონელი გოლეადორის, **რობერტ ლევანდოვსკის** გადაბირება უნდა და იმასაც ვწერდით, რომ გერმანიის ჩემპიონს 24 წლის თავდამსხმელის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. უახლესი ინფორმაციით, პოლონელი ფორვარდის დღეები დორტმუნდში დათვლილია...

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მანჩესტერულმა სუპერგრანდმა ლევანდოვსკის იდეალური შეთავაზება მოუმზადა - „იუნაიტედი" მზადაა, რობერტს ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს და წელიწადში 5 მილიონი ევრო გადაუხადოს. პოლონელს „ბორუსიასთან" ხელშეკრულება 2014 წლამდე აკავშირებს და ცნობილია, რომ მანჩესტერში გადასვლა უნდა. გერმანული პრესის ცნობით, „იუნაიტედი" „დორტმუნდს" ლევანდოვსკის სანაცვლოდ 22 მილიონ ევროს გადაუხდის.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულში „დორტმუნდმა" „მანჩესტერს" 23 წლის იაპონელი **შინჯი კაგავა** 17 მილიონ ევროდ მიჰყიდა. დორტმუნდში რობერტი წელიწადში 2.5 მილიონ ევროს იღებს და ფაქტია, რომ „ბორუსია" მას წელიწადში 5 მილიონს ვერ გადაუხდის. გერმანიის ჩემპიონში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები **მარიო გიოტცე** და **მარკო როისი** არიან - მათი ჯამაგირი წელიწადში 4 მილიონს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ლევანდოვსკის ბუნდესლიგის ამ სეზონის 16 მატჩში 10 გოლი აქვს გატანილი, დორტმუნდელები მას ხელფასს 4 მილიონამდეც კი ვერ გაუზრდიან. „ბილდის" ცნობით, ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია...

რობერტ ლევანდოვსკი „დორტმუნდში" 2010 წელს, „ლეხიდან" გადავიდა და მაშინ „ბორუსიას" ეს ტრანსფერი 4.5 მილიონი ევრო დაუჯდა. მას მერე რობერტმა 116 ოფიციალურ მატჩში 55 გოლი გაიტანა და მისი ფასი თითქმის ხუთჯერ გაიზარდა...



სერ ალექს ფერგიუსონი რობერტ ლევანდოვსკის მანჩესტერში ეპატიჟება

მოსალოდნელი ტრანსფერი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუის ჰოლტბი შეიძლება ბაიერნში გადავიდეს

# ბაიერნს ჰოლტბი აინტერესებს!

## წავა გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი მიუნხენში?

**კლაას-იან ჰუნტელაართან** კონტრაქტის გაფორმების შემდეგ „შალკეს" ქომაგებმა შვებით ამოისუნთქეს, ახლა კი ახალი სადარდებელი გაუჩნდათ: 22 წლის **ლუის ჰოლტბის** გელზენკირხენულ კლუბთან ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უმთავრდება და წესით, ახალი კონტრაქტი ახალ წლამდე უნდა გაეფორმებინა, მაგრამ ეს ჯერ არ მომხდარა. არადა, ჰოლტბი „შალკეს" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია, რაზეც, სხვა თუ არაფერი, ის ფაქტი მეტყველებს, რომ ლუისი გელზენკირხენულ კლუბში ათნომრიანი მაისურით თამაშობს.

უახლესი ინფორმაციით, „შალკესთან" მოლაპარაკებების გაწელვის მიზეზი ის არის, რომ ჰოლტბის გადაბირებით თვით მიუნხენის „ბაიერნი" დაინტერესდა. აქამდე ლუისს მხოლოდ პრემიერლიგის გუნდები ეპატიჟებოდნენ. „ბილდის" ინფორმაციით, გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების კაპიტანზე რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები სერიოზულად ფიქრობენ. მიუნხენელთა გეგმა ასეთია: მათ ჰოლტბის გადაბირება ზაფხულში, უფასოდ უნდათ, რის შემდეგაც ლუისს რომელიმე კლუბში გაანათხოვრებენ. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნის" ლიდერობამდე სწორედ ასეთი გზა გაიარეს **ტონი კროოსმა** („ლევერკუზენში" იყო განათხოვრებული) და კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** (შტუტგარტში). ინგლისური კლუბებიდან კი ჰოლტბის გადაბირებით „ტოტენჰემი" და „ლივერპული" არიან დაინტერესებული.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ჰოლტბიმ „შალკეს" ახალი კონტრაქტის სანაცვლოდ წელიწადში 6 მილიონი ევრო (შედის ყველა პრემია და ბონუსი) მოსთხოვა, რაზეც მას გელზენკირხენული კლუბის მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** მტკიცე უარი უთხრა.

*„ჰოლტბის შეთავაზებულზე უკეთეს პირობებს ნამდვილად ვერ შევთავაზებთ. დეკემბრის ბოლომდე მისგან საბოლოო პასუხს ველი,"* - აცხადებს ჰელდტი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ლუისი ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარს იტყვის, „შალკე" მას ზაფხულში უფასოდ დაკარგავს. შესაძლებელი გახდება მისი ზამთარში გაყიდვაც („შალკე" 15 მილიონ ევროს მოითხოვს), მაგრამ თუ „ბაიერნი" ლუისს შეუთანხმდა, გელზენკირხენელებს ამის შანსიც არ ექნებათ, რადგან ჰოლტბი უბრალოდ არსად გადავა და ზაფხულამდე მოიცდის.

ამბები

### ვერდერის ახალი ალოფსი

ბუნდესლიგის ყოფილი მოთამაშე **თომას აიხინი**, რომელიც 13 წლის განმავლობაში ჰოკეის კლუბ „კიოლნერ ჰაიეს" მენეჯერი გახლდათ, ბრემენის „ვერდერის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე მან „ვოლფსბურგში" გადასული **კლაუს ალოფსი** შეცვალა. 46 წლის სპეციალისტი ბრემენულ კლუბში მუშაობას გერმანიის ჰოკეის ლიგის სეზონის დამთავრებისთანავე შეუდგება.

*„მიხარია, რომ მომეცა შანსი, ფეხბურთში დავბრუნდე და ისეთ ბრწყინვალე გუნდში ვიმუშაო, როგორიც „ვერდერია",* - აცხადებს აიხინი, რომელიც „მუსიკოსებთან" კონტრაქტს 2016 წლამდე გააფორმებს. აქვე გეტყვით, რომ ფეხბურთელობის დროს აიხინის ყველაზე დიდი მიღწევა გერმანიის თასის ფინალში თამაში გახლდათ, რომელიც მისმა „გლადბახმა" 1992 წელს „ჰანოვერთან" წააგო. 1995 წელს მიონხენგლადბახელებმა გერმანიის თასი მოიგეს, მაგრამ მაშინ აიხინი „ნიურნბერგში" იყო განათხოვრებული.

### დორტმუნდმა ლევერკუზენს ტალანტი წაართვა

გერმანიის ჩემპიონმა „დორტმუნდის" „ბორუსიამ" „ლევერკუზენიდან" ახალგაზრდა მცველი **მარიან სარი** გადაიბირა. 17 წლის ფეხბურთელის ტრანსფერი გუშინ ორივე გუნდმა დაადასტურა. არ გახმაურდა სატრანსფერო თანხაც. სარი გერმანიის იუნიორთა ნაკრების ფეხბურთელია და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

### აუგსბურგში როიტერი დაინიშნა

„აუგსბურგის" მენეჯერად გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **შტეფან როიტერი** დაინიშნა. 46 წლის როიტერმა ამ თანამდებობაზე რამდენიმე დღის წინ გათავისუფლებული **ირგენ როლმანი** შეცვალა. შტეფანმა აუგსბურგელებთან კონტრაქტი 2015 წლის ივნისამდე გააფორმა, მუშაობას კი 2 იანვრიდან შეუდგება. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი 2006-დან 2009 წლამდე „მიუნხენ 1860"-ის მენეჯერი გახლდათ, ბოლოს კი მოედნის საფრის ბიზნესში მუშაობდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტურის შეჯამება

# მსაჯობით ყველა უკმაყოფილოა



ბედნიერი ჯონათან უოლტერსი გოლის შემდეგ კენუაინ ჯონსის მაკრატელას უყურებს

23 ავტოგოლი
468 ფეხბურთელი
26.0 საშუალო ასაკი
303 ლეგიონერი
71 ეროვნების მოთამაშე
578 ყვითელი ბარათი
25 წითელი ბარათი
8 გაძევება ორი ყვითლით
17 გაძევება წითელი ბარათით

### ტურის მწვრთნელი

"სტოკ სიტის" თავკაცი **ტონი პულისი** მატჩის შემდეგ გახარებული იყო. უელსელი ყველაზე მეტად იმით ამაყობდა, რომ მისმა გუნდმა ყველა დავალება პირნათლად შეასრულა. აქამდე "მეთიხეებს" შეკრულ, უხეშობამდე მისულ ხისტ გუნდად იცნობდნენ. "ლივერპულთან" ისინი მოედანზე თითქოს ნილაბჩამოხსნილები გამოვიდნენ. ჩვენ სულ სხვა "სტოკი" ვიხილეთ. მას შემდეგ, რაც "წითლებს" თამაში არ ნაუვიდათ, მეტოქეების პროვოკაციაზე წამოკიდებაც სცადეს. მაგალითად, **ჯონჯო შელვი** **რობერტ ჰუთს** "გაეჭიმა", მაგრამ მასპინძლებმა ეს გამოცდაც ჩააბარეს და ალალად დაიმსახურეს კარგი ბიჭების სახელი. *"სეზონის განმავლობაში არაერთი მატჩი იყო, რომელშიც უფრო მეტი მომენტი შევქმენით, მაგრამ მაინც 0:0 დავასრულეთ. "ლივერპულს" დიდ პატივს ვცემთ და მასზე გამარჯვება მეტ ღირსებას გვმატებს,"* – განაცხადა ტონი პულისმა.

### ტურის გმირი

ცხადია, როცა ფეხბურთელს ერთ შეხვედრაში სამი გოლი გააქვს და მისი გუნდიც დამაჯერებლად იგებს ამ მატჩს, ჰეთთრიკის ავტორი უფლებას ალარ გიტოვებს, რომ ტურის საუკეთესო მოთამაშეზე დიდხანს იფიქრო. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მორალურად განადგურებულ "ასტონ ვილასთან" მოგება არ არის ყველაზე რთული საქმე, მაგრამ... 23 წლის უელსელი ნახევარმცველის ღვაწლს ნამდვილად სჭირდება დაფასება.

## სიმამაცე ბრძოლაში

"მანჩესტერ იუნაიტედის" განუმეორებელ ხასიათზე წერა ხშირად გვიწევს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. გამარჯვებისკენ სწრაფვა "წითელ ეშმაკებს" სხვებზე ალმატებულად აქვთ სისხლში. ამას წლევანდელი სტატისტიკაც მოწმობს. პრემიერლიგის 19 ტურში "იუნაიტედი" 14-ჯერ აგებდა მატჩს, აქედან 9 მოიგო, 2-ჯერ კი ფრედ დაასრულა. სულაც არ გვიკვირს, რომ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს ჩემპიონატში საუკეთესო თავდასხმა ჰყავს. **რობინ ვან პერსისა** და კომპანიის საშუალო შედეგიანობა 2.5-ს ალემატება.

"ნიუკასლთან" შეხვედრის დასრულების შემდეგ დიადმა შოტლანდიელმა თავისი გუნდის გამოსვლა შეაჯამა: *"დღეს კიდევ ერთხელ ვნახეთ, რამდენად გამბედავია ჩემი გუნდი. ეს ფანტასტიკურია. ფეხბურთელებს უბრალოდ არ უნდოდათ დანებება. პირველი ტაიმის წაგების შემდეგ თამაში მთლიანად შემოვატრიალეთ. "ნიუკასლის" მეორე გოლი მსაჯმა იმიტომ ჩათვალა, რომ ავტოგოლი იყო, მაგრამ პაპის სისე ამ მომენტში მაინც იყო თამაშში ჩართული, რამდენიმე წამით ადრე მან ჯონი ევანსს ხელზე დაქაჩა. ასე რომ, მასზე პასიური თამაშგარე არ უნდა დაფიქსირებულიყო. მთავარი არბიტრმა თუ ვერ დაინახა, ლაინსმენს უნდა მიექცია ყურადღება. ვფიქრობ, მაიკ დინის მიერ მომენტის ერთპიროვნულად განსჯა ცუდი გადაწყვეტილება იყო".*

## იტალიელი დამნაშავეს ეძებს

**რობერტო მანჩინისა** და "სიტის" ბოსებს შორის ურთიერთობათა გაუარესებაზე ჭორი არაერთხელ გვსმენია. განსაკუთრებით გააქტიურდა ეს ხმები მას მერე, რაც იტალიელმა ზედიზედ მეორედ ვერ მოახერხა უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდის ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში გაყვანა. შარშან "ქალაქელები" ევროპის ლიგაზე მაინც გადაერთვნენ, წელს კი ბოლო ადგილზე გავიდნენ, თანაც ისე, რომ 6-დან ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგეს. რამდენად იმოქმედებს ევროპული წარუმატებლობები მანჩინის მანჩესტერულ მომავალზე, მომავალი გვიჩვენებს. ყველაზე დამთრგუნველი, რაც სანდერლენდის "სტედიუმ ოფ ლაითსზე" მოხდა, იყო ის, რომ "სიტის" მისმა ყოფილმა ფეხბურთელმა **ადამ ჯონსონმა** გაუტანა. ინგლისის ნაკრების წევრი კი "ეტიჰადზე" მანჩინის წყალობით ღრმა რეზერვისტად იყო ქცეული.

მატჩის დასრულების შემდეგ "ქალაქელთა" მთავარი მწვრთნელი წაგებაში დამნაშავეს ტრადიციულად სხვაში ეძებდა. მაგალითად, რითია ცუდი, თუკი ყველაფერი არბიტრ **კევინ ფრენდს** დაბრალდება? *"ჰკითხეთ მთავარ მსაჯს, იქნება პედრო საბალეტასთვის წითელი ბარათი უნდა ეჩვენებინა და დაავიწყდა. ჰკითხეთ, რატომ ვერ დაინახა მან წესის დარღვევა მანამ, ვიდრე ადამ ჯონსონი ბურთს მიიღებდა და გაგვიტანდა. უცნაურია, რომ მსაჯებმა ეს ეპიზოდი უყურადღებოდ დატოვეს. ვფიქრობ, რომ შობის დღესასწაულის შემდეგ ისინი ჯერაც ვერ მოსულან გონს.*

*არ ვიცი, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა წააგო ასეთი თამაში. თავიდან კარგად გამოვიყურებოდით, მერე გავუშვით და გათანაბრება ველარ მოვახერხეთ. ჩემს თავდამსხმელებს ბევრი შრომა მოუწევთ, რათა ფორმაში ჩადგნენ. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ აქვს მნიშვნელობა რამდენი ქულაა განსხვავება ჩვენსა და "იუნაიტედს" შორის, ხუთი, ექვსი თუ შვიდი. მეტოქე ბევრს გოლს უშვებს, სეზონი კი გრძელია და სხვაობის გაბათილება შეგვიძლია,"* – განაცხადა მანჩინიმ.

### ბომბარდირები

13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
11 - **დემბა ბა** (ნიუკასლი), **ლუის სუარესი** (ლივერპული)
10 – **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი)
9 – **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი)
8 - **მარუან ფელაინი** (ევერტონი), **სტივენ ფლეტჩერი** (სანდერლენდი)
7 - **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **სანტი კასორლა** (არსენალი), **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი) **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ხუან მატა** (ჩელსი), **რიკი ლამბერტი** (საუთჰემპტონი)

### ასისტენტები

7- **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ხუან მატა** (ჩელსი)
6 - **ედენ აზარი** (ჩელსი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
5 - **ბრაიან რუისი** (ფულჰემი), **ადამ ლალანა** (საუთჰემპტონი), **დემიენ დაფი** (ფულჰემი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული)

### გოლი+პასი

19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 13+6
14 - **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი) 7+7, **მიგელ მიჩუ** (სუონსი) - 13+1, **ხუან მატა** (ჩელსი) – 7+7
13 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 11+2
12 - **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი) – 7+5, **დემბა ბა** (ნიუკასლი) – 11+1, **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი) 10+2
11 - **მარუან ფელაინი** (ევერტონი) – 8+3, **სანტი კასორლა** (არსენალი) 7+4, **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი) 9+2
10 – **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი) 5+5, **ედენ აზარი** (ჩელსი) 4+6

### გაფრთხილებები

7 – **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი), **ანხელ რანხელი** (სუონსი), **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ლუის სუარესი** (ლივერპული)
6 – **მარკ ნოუბლი** (ვესტ ჰემი), **პოლ სქოულზი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი)

სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი
EA SPORTS-ის მიხედვით
1. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნ.)
2. **იაია ტურე** (მანჩესტერ სიტი)
3. **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი)
4. **სანტი კასორლა** (არსენალი)
5. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)

### ზოგადი სტატისტიკა დღეისთვის

188 მატჩი
131 მოგება
57 ფრე
95 მშრალად შენახული კარები
17 უგოლო მატჩი
526 გოლი
5 ჰეთთრიკი
31 პენალტი
16 ჯარიმა
105 თავით
374 ფეხით (+სხვა)
2.80 საშუალო შედეგიანობა

### მომდევნო ტური

**29 დეკემბერი:**

| | |
|---|---|
| სანდერლენდი-ტოტენჰემი | 16:45 |
| ასტონ ვილა-უიგანი | 19:00 |
| ფულჰემი-სუონსი | 19:00 |
| იუნაიტედი-ვესტ ბრომვიჩი | 19:00 |
| ნორვიჩი-სიტი | 19:00 |
| რედინგი-ვესტ ჰემი | 19:00 |
| სტოკ სიტი-საუთჰემპტონი | 19:00 |
| არსენალი-ნიუკასლი | 21:30 |

**30 დეკემბერი:**

| | |
|---|---|
| ევერტონი-ჩელსი | 17:30 |
| ქუინზ პარკი-ლივერპული | 20:00 |

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




### ამბები



## სუარესი ქუინზ პარკთან ვერ ითამაშებს

"სტოკ სიტისთან" მატჩის დასრულების შემდეგ **ლუის სუარესს** ტერფის ტკივილი გაუმწვავდა. შესაძლოა, ის 30-ში "ქუინზ პარკთან" XX ტურის შეხვედრას დააკლდეს. 25 წლის ურუგვაელი თავდამსხმელი ამ პრობლემას უკვე დიდი ხანია ებრძვის, მაგრამ უპირველესად გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ოპერაციაზე უარს ამბობს. მოგეხსენებათ, "წითლებს" მის გარდა სუფთა თავდამსხმელი შემადგენლობაში არ ჰყავთ. თუკი ლუისი ლონდონელებთან შეხვედრისთვის მწყობრში ვერ ჩადგება, მისი შეცვლა ამპლუით ნახევარმცველ **ჯონჯო შელვის** მოუწევს. საბოლოო გადაწყვეტილებას **ბრენდან როჯერსი** მხოლოდ შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მიიღებს.

## გიბსონის წითელი ანულირებულია

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა "ვესტ ჰემი"-"ევერტონის" შეხვედრის დასრულების შემდეგ მერსისაიდული კლუბისგან საჩივარი მიიღო. ლივერპულელები არბიტრ **ენტონი ტეილორის** მიერ **დარონ გიბსონის** გაძევებას ასაჩივრებდნენ. კომიტეტმა მოისმინა მხარეთა არგუმენტები და დაასკვნა, რომ 34 წლის არბიტრმა შოტლანდიელი ფეხბურთელი დაუმსახურებლად გააძევა. შესაბამისად, მისთვის ნაჩვენები წითელი ბარათი და 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ავტომატურად გაუქმდა.

გვერდი მოამზადა **ლევან ბიბილაშვილმა**

ესპანური ამბები


პეპემ თქვა, რომ თუ რონალდო გუნდიდან წავა, ის „რეალში" დარჩება

## რონალდოს სეზონში 15 მილიონიც არ ხიბლავს

ესპანური მედიის ცნობით, 27 წლის **კრიშტიანო რონალდო** მადრიდის „რეალთან" ხელშეკრულების გაგრძელებას არ აპირებს. **ფლორენტინო პერესი** სეზონის ბოლოსკენ რონალდოს კარგ პირობებს შესთავაზებს, მაგრამ აქედანვე ცნობილია პორტუგალიელის პასუხი - არა! რონალდო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის შემდეგ „სამეფო კლუბიდან" წასვლას აპირებს. პერესის წინადადებას კი ნამდვილად არაფერი დაეწუნება - რონალდოს 2018 წლის ზაფხულამდე კონტრაქტს შესთავაზებენ, წელიწადში 15 მილიონი ევროს ანაზღაურებით. შეგახსენებთ, რომ **ლიონელ მესიმ** ახლახან გააფორმა ხელშეკრულება 2018 წლამდე „ბარსელონასთან". მისი ანაზღაურება წელიწადში 16 მილიონი ევროა.

ამასობაში „რეალის" კიდევ ერთმა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა, **პეპემ** განაცხადა, რომ „სამეფო კლუბში" დარჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ „რეალს" რონალდო და **ჟოზე მოურინიო** დატოვებენ. სხვათა შორის, პეპე პორტუგალიის წლის პერსონა გახდა და არტურ აგოსტინიოს სახელობის პრიზი მიიღო. ეს პრიზები ადრე ჟოზე მოურინიოს და კრიშტიანო რონალდოსაც აქვთ მოგებული. პრიზი გაზეთ „რეკორდის" დაწესებულია. შეგახსენებთ, რომ 30 წლის პეპე ბრაზილიური წარმოშობისაა და „კორინთიანსის" აღზრდილია, საიდანაც ის კუნძულ მადეირაზე, „მარიტიმუში" მოხვდა (მადეირელია რონალდოც), იქიდან კი - „პორტუში".

## მესის რუსეთზე და 30 მილიონზე უარი უთქვამს

ამასობაში ესპანური პრესა არკვევს, რომ 25 წლის **ლიონელ მესის**, სანამ „ბარსელონასთან" ხელშეკრულებას გააგრძელებდა, რუსეთიდან ისეთ წინადადებაზე უთქვამს უარი, რომ წარმოდგენაც კი ძნელია. კლუბი არ სახელდება. ამ უცნობ კლუბს მესის სანაცვლოდ კატალონიელებისთვის 250 მილიონი ევრო შეუთავაზებია, მესისთვის ხელფასად კი 30 მილიონ ევროს შეჰპირებია. სავარაუდოდ, წინადადება მახაჭყალის „ანჟიდან" მოდიოდა.


ლიონელ მესი

## ატლეტიკოს უცნაური გაძლიერება

მადრიდის „ატლეტიკო" ზამთრის სატრანსფერო სეზონში ორი ფეხბურთელით აპირებს გაძლიერებას. გუნდის არგენტინელი თავკაცი **დიეგო სიმეონე** ამბობს, რომ გაძლიერება გუნდს ხელს არ შეუშლის, პირიქით, აუცილებელიც კია, რათა „ატლეტიკომ" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს. ცნობილია, პოზიციებიც, რომლებიც გაძლიერებას ითხოვს: დაცვის მარცხენა ფლანგი და მარჯვენა ფლანგი მთლიანად. მაგრამ არის ერთი „დეტალი" - „ატლეტიკოს" ფინანსურად არ ულხინს და ცდილობს, ისეთი ფეხბურთელები აიყვანოს, რომელთა ყიდვა საჭირო არ იქნება (თავისუფალი აგენტები). შეგახსენებთ, რომ „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** აღნიშნა, რომ 2012 წელს მიღწეული შედეგებით ძალიან კმაყოფილია.

## კარვალიო მილანში მიდის

ეტყობა „მილანში" სიტყვა „გაახალგაზრდავება" სხვაგვარად ესმით. ამას წინათ, კლუბის ბოსები მხოლოდ ამ სიტყვას ახსენებდნენ და... ახლა გაირკვა, რომ იტალიური გრანდი „რეალიდან" 34 წლის პორტუგალიელი მცველის, **რიკარდო კარვალიოს** გადაყვანას ჩალიჩობს. სხვათა შორის, „როსონერის" ინტერესებში კარვალიო ადრეც იყო, ახლა კი ინტერესი თავიდან გამოიჩინა. წლეულს, **ჟოზე მოურინიო** თანამემამულეს საერთოდ აღარ ენდობა. სეზონის წინ მან რიკარდოს თავადვე ურჩია სხვა გუნდის მოძებნა. კარვალიოს გაყიდვა (თუნდაც ძალიან იაფად) „სამეფო კლუბს" ფინანსურადაც ხელს აძლევს - ის ხომ წელიწადში 4,2 მილიონ ევროს იღებს ხელფასის სახით.

ეკიპის რჩეული ნაკრები

## ეკიპი ლა ლიგამ დაიპყრო




ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა" 2012 წლის სიმბოლური ნაკრები გამოაქვეყნა, რომელშიც 11-დან 8 ლა ლიგის წარმომადგენელია - 4 ფეხბურთელი „ბარსელონადანაა", ამდენივე „რეალიდან". „ბარსელონადან" „ეკიპის" გუნდში მოხვდნენ: **ლიონელ მესი, ჟორდი ალბა, ანდრეს ინიესტა** და **ჩავი ერნანდესი.** „რეალიდან" - **კრიშტიანო რონალდო, იკერ კასილიასი, სერხიო რამოსი** და **ჩაბი ალონსო.**

სიმბოლურ გუნდში „ბაიერნიდან" **ფილიპ ლამი** მოხვდა, „მანჩესტერ სიტიდან" **ვენსან კომპანი** და „ჩელსიდან" **რამირესი.**

ვილიარეალი

## ფარინოსი წყალქვეშა ნავშია


ხავიერ ფარინოსი

ცნობილი ესპანელი ვეტერანი ფეხბურთელის, **ხავიერ ფარინოსის** უგუნდოდ ყოფნა დასრულდა - 34 წლის ფარინოსი, რომელსაც საუკუნეების მიჯნაზე ესპანეთის ნაკრებშიც კი უთამაშია, გასინჯვაზე (!) იყო სეგუნდა დივიზიონის „ვილიარეალში". „ელ სუბმარინოს" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ფარინოსის გამოცდილება კლუბს გამოადგება და მასთან სეზონის ბოლომდე გააფორმა ხელშეკრულება. ზაფხულიდან ის თავისუფალი აგენტია, რაც „ლევანტესთან" ხელშეკრულება დაუსრულდა. ფარინოსი „ვალენსიას" აღზრდილია, კარიერის განმავლობაში მას „ღამურების" გარდა, მილანის „ინტერში", „ვილიარეალში", „მალიორკაში", „ერკულესსა" და „ლევანტეში" უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ჩვენ გჩუქნით წიგნებს!
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L."-ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ბომბარდირი

# დონეცკელი ბექჰემი

## ჰენრიხ მხითარიანის ყველა მოგზაურობა, რომელიც ბრაზილიელებს შორისაც „შახტარის“ შეტევის ლიდერი გახდა და ნახევარ სეზონში 20 გოლი გაიტანა

ჰენრიხ მხითარიანს “შახტარში” ხუმრობით “ბაზის დირექტორს” ეძახიან, თუმცა მეორე მეტსახელიც აქვს - ყოველგვარი ირონიის გარეშე მას “ჩვენი ბექჰემი” შეარქვეს. სინამდვილეში, მხითარიანი საერთოდ არ ჰგავს ინგლისელ ვარსკვლავს, მაგრამ “შახტარის” თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ დონეცკური კლუბის ფორვარდი უკვე შემდგარი ვარსკვლავია (ამაზე მეტყველებს დღეს სახალხო სიყვარულის ყველაზე საიმედო და მოდური საზომი - “ლაიქების” რაოდენობა “ფეისბუკში”).

იმ ადამიანებისთვის, რომლებიც პურის ფულს ფეხბურთით შოულობენ, მდიდარი გეოგრაფიული ბიოგრაფია უცხო არ არის, მაგრამ თავისი 24 წლის ასაკში, ჰენრიხმა მოასწრო საკმაოდ უცნაური მარშრუტებით მოგზაურობა და საბოლოოდ, ცხოვრებამ დონეცკური ბაზის დირექტორობამდე და “შახტარის” გულშემატკივრების საყვარელ ფეხბურთელობამდე მიიყვანა.

### პარიზი-ერევანი

მხითარიანს ჰქონდა კარგი შანსი იმისა, რომ გაემეორებინა **ალენ ბოგოსიანის** ან **იური ჯორკაეფის** ბედი - ის საფრანგეთში აღმოჩნდა მაშინ, როცა ერთი წლისა შესრულდა. ჰენრიხის მამამ - **ჰამლეტმა** 1984 წელს „არარატში“ თამაშისას გაითქვა სახელი, როცა 18 გოლი გაიტანა (მან სეზონში სამი ჰეთ-თრიკი და ერთი პოკერი შეასრულა). უფროსმა მხითარიანმა მიიღო საფრანგეთის მესამე დივიზიონის კლუბის „ვალანსის“ წინადადება. ამ გუნდის რიგებში მან ხუთი წელი ითამაშა, რის შემდეგაც რამდენიმე თვე გაატარა პარიზის ახლოს მდებარე ისი-ლე-მულინოს „არარატში“.

*„მამას ხანდახან დავყვებოდი ვარჯიშებზე, ვერთობოდი, მაგრამ შემდეგ ფეხბურთში მეცადინეობის დრო აღარ იყო, რადგან მამა დაავადდა. სამაგიეროდ, ფრანგული შევისწავლე - თავისუფლად შემიძლია ლაპარაკი“*, - ამბობს ჰენრიხი.

უფროსი მხითარიანის ავადმყოფობის გამო, ოჯახს სომხეთში დაბრუნებამ მოუწია, სადაც 1996 წელს ჰამლეტ მხითარიანი გარდაიცვალა. მამის სიკვდილის შემდეგ, ჰენრიხმა სერიოზულად დაიწყო ფეხბურთში ვარჯიში.

- მაშინ ცხოვრება რთული იყო. შუქს ხშირად რთავდნენ, წყალს დღე-ღამეში ოთხი საათი გვაძლევდნენ. ვხედავდით, რომ საფრანგეთის შემდეგ, სომხეთში რთული იყო ცხოვრება, მაგრამ გვესმოდა, რომ სირთულეებს უნდა გავმკლავებოდით. ფეხბურთს არა მინდორზე, არამედ მიწაზე ვთამაშობდით. მაშინ ბალახიც არ იყო. არც პირობები: ვარჯიშის შემდეგ ძლივს ვშოულობდით წყალს, რომ დაგვებანა და შინ წავსულიყავით.

**- ბავშვობაში კარგი მწვრთნელები გყავდათ?**

- ადრეულ ასაკში მწვრთნელი გასწავლის, როგორ დაარტყა და როგორ მიიღო ფეხბურთისგან სიამოვნება, ამიტომაც, ასეთ ასაკში რაღაც სერიოზულ ვარჯიშს აზრი არ აქვს.

**- ამბობენ, რომ ტექნიკა სწორედ ბავშვობაში იხვეწება...**

- ასეა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელს სწავლა უნდა. გარდა იმისა, რომ მინდორზე ვარჯიშობ, დამატებით სახლში ან ეზოშიც უნდა იმეცადინო, რათა რაღაც შეისწავლო, რადგან დღეში ერთი საათი ან საათ-ნახევარი ბურთის დევნა საკმარისი არ არის.

■ ■ ■

მხითარიანმა ვერ მოასწრო ფრანგული საფეხბურთო სისტემის გაცნობა, სამაგიეროდ, პარიზიდან ჩამოიტანა “კულტურული” ხასიათის ტვირთი.

- ვუყურებდი ათასგვარ ფილმს ტექნიკაზე, ვარჯიშებზე. ბევრი კასეტა მქონდა. მაგალითად, 1500 საუკეთესო გოლი ან ფრანკ ლებეფის ვარჯიშები პატარა ბიჭებთან. ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის „სტრასბურში“ თამაშობდა.

**- სავარაუდოდ, ლებეფი არ ყოფილა თქვენი საყვარელი ფეხბურთელი.**

- როგორც ფეხბურთელი, ჩემთვის იდეალი ზიდანი იყო. შეიძლება ეს იმას უკავშირდება, რომ ის ფრანგი იყო. დიდი როლი ითამაშა იმან, რომ ადრე საფრანგეთში ვცხოვრობდით და ჩემთვის ეს ქვეყანა სამშობლოსავითაა.

### ერევანი-სან პაულუ

13 წლის მხითარიანმა უცნაური მარშრუტით დაიწყო წინსვლა - მის პირველ უცხოურ კლუბად უნდა მივიჩნიოთ ბრაზილიის „სან პაულუ“. თუმცა იქ ჰენრიხმა მხოლოდ ოთხი თვე გაატარა.

- „პიუნიკსა“ და „სან პაულუს“ შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლის მიხედვითაც ყოველ ექვს თვეში უნდა გაეცვალათ მოთამაშეები. იქ ბევრი რამ ვისწავლე, რადგან ბრაზილიელ ფეხბურთელებთან ერთად თამაში ძალიან სასარგებლოა. ისინი ძალიან ტექნიკურები არიან. ვარჯიშებზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ დარტყმებს: როგორ უნდა მოიქნიო ფეხი, როგორ უნდა მოჭრა ბურთი... ბაზაზე ვცხოვრობდით და სკოლაშიც ბაზიდან დავდიოდით. ორ კვირაში ერთხელ ბრაზილიელ ბიჭებთან ერთად ქალაქში გავდიოდით.

**- პორტუგალიურის შესწავლა მოასწარით?**

- მანამ, სანამ ბრაზილიაში გავემგზავრებოდით, პორტუგალიურის შესწავლა ერევანში დავიწყეთ - მასწავლებელი დაგვიქირავეს. მაგრამ ერთია სწავლა და მეორე - ურთიერთობა. პორტუგალიურად ლაპარაკი უკვე ბრაზილიაში ჩასვლის შემდეგ დავიწყეთ.

■ ■ ■

„პიუნიკში“ მხითარიანს 17 წლისას ჰქონდა დებიუტი და მან პირველივე მატჩში გაიტანა. სამი კალენდარული წლის განმავლობაში, ფორვარდი ოთხჯერ გახდა სომხეთის ჩემპიონი, პარალელურად, ორი წელი არმიაში იმსახურა.

- სპორტსმენებს ცალკე ნაწილი ჰქონდათ - იქ ცხოვრობდნენ და ვარჯიშებზე დადიოდნენ. ყოველდღე იქ ღამით დარჩენა არ გვიწევდა, მაგრამ როცა საჭირო იყო, ნაწილში ზედიზედ რამდენიმე ღამეს ვატარებდით. ამ დროს ნამდვილ სამხედროებს ვგავდით - შვიდ საათზე ადგომა, საუზმე, 40 წამში ჩაცმა...

**- ნუთუ სომხეთში შეუძლებელი იყო ბრტყელტერფიანობის ან კუჭის წყლულის „ყიდვა“?**

- რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო, მაგრამ თუ სომხეთის მოქალაქე ხარ, სხვებივით უნდა იმსახურო. სხვებისგან არაფრით გამოირჩევი. ჩვენთან ყველა ადამიანი ერთ დონეზე დგას.

■ ■ ■

მხითარიანით დაინტერესებას გამოთქვამდნენ ისეთი კლუბები, როგორებიც არიან კიევის „დინამო“, „ლიონი“ და რატომღაც „ბოკა ხუნიორსი“. ჰენრიხი ამ სიას ადასტურებს, მაგრამ თან აზუსტებს:

*„ინტერესი და წინადადების მიღება - განსხვავებული ცნებებია,* - ამბობს მხითარიანი. - *რატომ მივიღე დონეცკის „მეტალურგის“ წინადადება? კარგად ვიცნობდი მის მწვრთნელს ნიკოლაი კოსტოვს, რომელიც მანამდე სომხეთის „ბანანცში“ მუშაობდა. არმიაში სამსახურის დროს ქვეყნის დატოვება მეკრძალებოდა. როცა იქ სამსახურს მოვრჩი, „მეტალურგმა“ ტრანსფერი შემომთავაზა. იქ გადასვლა კიდევ იმის გამო მინდოდა, რომ კლუბში რამდენიმე სომეხი ფეხბურთელი თამაშობდა.*

### დონეცკი-დონეცკი



„მეტალურგში“ პირველივე სეზონის შემდეგ, მხითარიანი გუნდის კაპიტნად აირჩიეს, მაგრამ ეს პოსტი მან მხოლოდ თვე-ნახევარი შეინარჩუნა. „შახტარს“ 7.5 მილიონი დოლარი დაუჯდა ფორვარდის ერთი დონეცკური ბაზიდან მეორეში გადაყვანა.

*„მოლაპარაკებები ორი-სამი დღე გრძელდებოდა და მე დამეხმარა „მეტალურგის“ სპორტული დირექტორი ვარდან ისრაელიანი. ისიც სომეხი გახლავთ. ჩემთვის კარგი უნდოდა, ამიტომაც ერთად განვიხილავდით კონტრაქტის პირობებს“*, - ჰყვება მხითარიანი.

თუ დევიდ ბექჰემთან შედარება გულშემატკივართა შორის პოპულარობიდან გამომდინარეობს, მეორე მეტსახელი - „ბაზის დირექტორი“ მხითარიანმა იმის გამო მიიღო, რომ სულ რაღაც სამ წელიწადში იცხოვრა „მეტალურგისა“ და „შახტარის“ ბაზებზე.

- ჩემთვის აქ მოსახერხებელია. ყველაფერი მაქვს ვარჯიშების შემდეგ დასვენებისთვის, ვარჯიშების წინ მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრისთვის. იმას არ ვამბობ, რომ ყოველდღე მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ და თავში სხვა აზრები არ მიტრიალებს. უბრალოდ, მინდა კარგ ფეხბურთელად გავიზარდო, ამიტომაც მირჩევნია ბაზაზე ცხოვრება.

**- არ გბეზრდებათ?**

- არა, რადგან თუ დრო და სურვილი გაქვს, თუ ვარჯიშის შემდეგ დაღლილი არ ხარ, ქალაქში გასეირნებას არავინ გიკრძალავს. დონეცკში ბევრი მეგობარი და ნაცნობი მყავს და სწორედ მათთან ვატარებ დროს.

**- დონეცკში არ არის ბევრი გასართობი ადგილი.**

- რატომაც არა. ასეთი ადგილი ბევრია. მაგალითად, მე მაინტერესებს მაღაროების მონახულება. იქ ჯერ არ ვყოფილვარ. საკმაოდ სახიფათო ადგილია, მაგრამ მინდა ვნახო, როგორ მუშაობენ ადამიანები და როგორ იბრძვიან გადარჩენისთვის. ჩემი რიგი ჯერ არ მოსულა. კლუბი ვერ გარისკავს და ყველა ფეხბურთელს ერთად არ ჩაუშვებს მაღაროში (იცინის).

**- თქვენ თქვით, რომ მხოლოდ ფეხბურთზე არ ფიქრობთ. კიდევ რა გაინტერესებთ?**

- ვფიქრობ ცხოვრებაზე... რა მაინტერესებს? გაზეთებში ახალ ამბებს ვკითხულობ, მიყვარს წიგნის კითხვა, ახალ ფილმებს ვუყურებ, მეგობრებთან „სკაიპის“ მეშვეობით ვლაპარაკობ...

■ ■ ■

წლევანდელ სეზონში „შახტარი“ გვაკვირვებს არა მხოლოდ შედეგებით, არამედ თავდაჯერებული და აგრესიული თამაშით ისეთი კლუბების წინააღმდეგ, როგორებიც არიან „იუვენტუსი“ ან „ჩელსი“.

- ეს იმით არის გამოწვეული, რომ ყოველ წელს ფეხბურთელები უფრო მეტ გამოცდილებას იღებენ. შეუძლებელია არ გაიზარდო ისეთ მწვრთნელთან, როგორიც „მისტერია“ (მირჩა ლუჩესკუ), თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი გაგაჩნია. იმან, რომ ძალიან ახალგაზრდა გუნდი გვყავდა და ყველას უნდოდა სწავლა, ნაყოფი გამოიღო. ჩვენ ახლა კარგად ვიცით, კონკრეტულად რომელ ეპიზოდში როგორ უნდა ვითამაშოთ. გვესმის, რომ იმავე “ჩელსის” წინააღმდეგ უბრალოდ ბურთი კი არ უნდა მოვიგერიოთ, არამედ უნდა ვითამაშოთ, რადგან ეს შეგვიძლია. „მისტერიც“ უფრო გვენდობა და უფრო იშვიათად იმაღლებს ხმას ჩვენთან ურთიერთობისას.

**- სიმართლე თქვით, მოსაწყენი არ არის უკრაინის ჩემპიონატში თამაში? ბევრი მატჩი საშინელი სანახავია.**

- ჩემთვის მოსაწყენი არ არის, რადგან ვთამაშობ და არა ვუყურებ. შესაძლოა, ზოგიერთისთვის მოსაწყენი იყოს, ვინაიდან ჩვენ ქულებს არ ვკარგავთ აუტსაიდერებთან. არის რამდენიმე გუნდი, ამას აკეთებს და ამიტომაც ეკარგება აზრი მათთვის ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ვფიქრობ, „მისტერი“ კარგად ახერხებს ჩვენს საბრძოლოდ განწყობას იმ გუნდების წინააღმდეგ, რომლებიც ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან.

**- მაგრამ თქვენ ხომ წინასწარ იცით, რომ მოიგებთ შეხვედრას.**

- არ, არ ვიცით, რომ მოვიგებთ. წინასწარ შედეგის გამოცნობა შეუძლებელია.

**- ანუ ამტკიცებთ, რომ “შახტარს” რეალურად უჭირს ჩემპიონატში თამაში?**

- არ უჭირს, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩემპიონატში და შემდეგ ჩემპიონთა ლიგაზე თამაში - მართლაც რთულია, რადგან სხვაგვარად უნდა განეწყო. არავისთვის დასამალი არ არის, - ჩემპიონატში არიან გუნდები, რომლებიც მოედანზე მხოლოდ იმისთვის გამოდიან, რომ დიდი ანგარიშით არ წააგონ, ჩემპიონთა ლიგაზე კი ერთი პატარა შეცდომაც კი შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს.

**- რატომ მიდიხართ სომხეთის ნაკრებში სათამაშოდ? ეს ხომ დროისა და ენერგიის ფუჭი ხარჯვაა, თან იქ ფულს ვერ გამოიმუშავებ.**

- იმიტომ, რომ ჩემმა ქვეყანამ ბევრი რამ მომცა და მინდა ვალი დავუბრუნო. ჩემთვის ნაკრებში თამაში - ყოველთვის დიდი სიამოვნებაა, რადგან ახლო მეგობრების მხარდამხარ ვთამაშობ. ჩვენ იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. მინდა, რომ ჩემი ნაკრები ყოველთვის კარგად გამოიყურებოდეს ევროპაში და მთელ მსოფლიოში ლაპარაკობდნენ სომხეთზე. ფული კი ჩემთვის ცხოვრებაში პირველ ადგილზე არ არის. ჩემთვის მთავარია ჯანმრთელობა, დიდება, რომელსაც ფეხბურთი მაძლევს. ფულს გაუგებრად არ ვხარჯავ. ფული საკმარისად მაქვს, მაგრამ მას თანდათანობით ვხარჯავ. ვიცი სად დავხარჯო და სად არა.

გია თვალაბეიშვილი

---

**ჰენრიხ მხითარიანი**

**დაიბადა:** 21 იანვარი 1989
**დაბადების ადგილი:** ერევანი, სომხეთი
**სიმაღლე:** 1.78 მ
**პოზიცია:** შემტევი ნახევარმცველი, ფორვარდი

**კარიერა**

2006-2009 პიუნიკი 70 (30)
2009-2010 მეტალურგი (დ) 37 (12)
2010- შახტარი 60 (31)

**ნაკრები**

2006 სომხეთი U-17 5 (1)
2006-2007 სომხეთი U-19 6 (1)
2006-2010 სომხეთი U-21 13 (9)
2007- სომხეთი 35 (10)

**ტიტულები**

**სომხეთის ჩემპიონი (4):** 2006, 2007, 2008, 2009
**სომხეთის სუპერთასი (2):** 2007, 2009
**სომხეთის თასი (1):** 2009
**უკრაინის ჩემპიონი (2):** 2011, 2012
**უკრაინის თასი (2):** 2011, 2012
**უკრაინის სუპერთასი (1):** 2012
**სომხეთის წლის ფეხბურთელი:** 2009, 2011

● სეოკ-ის ლაურეატები

# 2012 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვერსიით


ლაშა შავდათუაშვილი ძიუდო


დავით მოძმანაშვილი თავ. ჭიდაობა


ვლადიმერ ხინჩეგაშვილი თავ. ჭიდაობა


რევაზ ლაშხი ბ/რ ჭიდაობა


დავით მარსაგიშვილი თავ. ჭიდაობა


მანუჩარ ცხადაია ბ/რ ჭიდაობა


გიორგი გოგშელიძე თ. ჭიდაობა


ვარლამ ლიპარტელიანი ძიუდო


ელენე გედევანიშვილი ფიგ. ციგურაობა


მამუკა გორგოძე რაგბი

● წლის მონაგარი. ინტერვიუ სოსო ლიპარტელიანთან

# ყველაფერი ქართულით დაიწყო

**2012 წლის სპორტულ სეზონში ჩვენმა სამბისტებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე (დიდები, ახალგაზრდები, ჭაბუკები, კადეტები) ისე იასპარეზეს, რომ გუნდურ ჩათვლაში სამეულს მიღმა არ დარჩენილან. ჭაბუკთა და კადეტთა ნაკრებები კი სულაც ევროპის გუნდური ჩემპიონები გახდნენ...**

წლეულს, სამბისტებმა ოფიციალურ შეჯიბრებებზე - 50, საერთაშორისო ტურნირებზე კი - 21 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს. 2012 წლის 30 მარტიდან, ფედერაციის პრეზიდენტია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ქართველი ოლიმპიური მედალოსანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი, **სოსო ლიპარტელიანი.**

2012 წელს სამბისტებს მსოფლიოს ჩემპიონი გაუხდათ **გიორგი ბაინდუროვი** (90 კგ), ვიცე-ჩემპიონი **ლევან ჟორჟოლიანი** (100 კგ), ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: **ნუკრი ბერაიამ** (52 კგ), **ბესარიონ ბერულავამ** (74 კგ), **ნიკო კუციამ** (82 კგ) და **ირინე ლეონიძემ** (80 კგ).

**- როგორ შეაფასებდით განვლილ სპორტულ სეზონს? ასეთი იყო ჩვენი პირველი შეკითხვა ფედერაციის პრეზიდენტთან.**

- როდესაც გვყავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები, გუნდური პირველი ადგილები ევროპის პირველობებზე ჭაბუკებსა და კადეტებს შორის, თანაც იმ დროს, როცა სამბოს გეოგრაფია მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა, საერთაშორისო შეჯიბრებებზე მოპოვებული 71 მედალი წარმატებად უნდა ჩაითვალოს. თუმცა კიდევ მეტია საჭირო და ამისათვის უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ.

**- ცოტა რამ თქვენ შესახებაც გვითხარით.**

- დავიბადე 1971 წლის 3 თებერვალს სოფელ ხოფურში (ლენტეხი). ვსწავლობდი ხოფურის რვაწლიან და შემდეგ ლენტეხის საშუალო სკოლებში. დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. ვიყავი ახალგაზრდული და ძიუდოს ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

მყავს მეუღლე და სამი შვილი. უფროსი ვაჟი 15 წლის ირაკლი საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრების წევრია. ის შარშან თანატოლებში გახდა საქართველოს ჩემპიონი.

**- თქვენი ყველაზე დიდი სპორტული მიღწევის შესახებ...**

- ეს იყო 1996 წელს, როცა საქართველო პირველად გამოვიდა დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში ატლანტაში (აშშ). ძიუდოისტთა ტურნირში ექვსიდან ხუთი ორთაბრძოლა იპონით მოვიგე და ჩვენებიდან ერთადერთი და როგორც აღმოჩნდა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური მედალი „ბრინჯაო“ მოვიპოვე (78 კგ). ის წარმატება მივუძღვენი მამაჩემს, ჯიბილო ლიპარტელიანს, რომელიც 3 დღე და ღამე მკერდით ატარებდა იმ ჩემს მედალს...

**- ქართულ ჭიდაობაში თუ გიცდია ძალა.**

- მეოთხე თუ მეხუთეკლასელი ვიყავი ხოფურის რვაწლიან სკოლაში, როცა ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებლისა და მწვრთნელის, თენგიზ ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით, დავიწყე ქართული ჭიდაობა. მერე ლენტეხში გადავედი და იქ ჯერ გურამ, მერე ბერდია გუგავასთან გავაგრძელე ძიუდოში წვრთნა. ასე რომ, ყველაფერი ქართულით დაიწყო...

**- სამბო?**

- ძიუდოს პარალელურად სამბოს შეჯიბრებებზეც გამოვდიოდი საქართველოს პირველობებში. ოლიმპიური თამაშების პრიზიორობამდე სამი წლით ადრე, 1993 წელს ქ. ომსკში (რუსეთი), სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოვიპოვე (82 კგ). სხვათა შორის, იმავე წელს ათენში (საბერძნეთი) გავხდი ევროპის ვიცე-ჩემპიონი ძიუდოში (78 კგ).

**- ხოფურში თუ ადიხარ ხოლმე?**

- 1988 წლის ზამთარში სვანეთს დიდი სტიქია დაატყდა თავს. ბევრი სახლი განადგურდა. მათ შორის ჩვენიც. ამჟამად იქ 3-4 ოჯახიღა შემორჩა. ყოველ ზაფხულს ავდივარ ძველ ნასახლარის მოსანახულებლად. ჩვენი ოჯახი და სხვა ხოფურელები კი 1988 წელსვე კასპის რაიონის სოფელ საქადაგიანოში ჩაგვასახლეს...

**- ლენტეხში როგორ მიდის ჩოხიანი ჭიდაობების საქმე.**

- ჩვენს რაიონში ბევრი კარგი მოჭიდავე აღიზარდა - ჯიბილო ნიჟარაძე, დილარ ხაბულიანი, ოლეგ ზურაბიანი, ბერდია გუგავა... საჭიდაო დარბაზს ამჟამად არა უშავს, მწვრთნელების საქმე კი მოსაგვარებელია...

**- ცხრა თვეა, რაც სამბოს თავკაცობთ. რისი გაკეთება მოასწარით და რას გეგმავთ უახლოეს მომავალში?**

- რეგიონებში დავნიშნეთ სამბოს ფედერაციის ხელმძღვანელები.

დიდი ყურადღება დავუთმეთ ქალთა სამბოს და შედეგიც გვაქვს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე - 3 მედალი მოვიპოვეთ 2012-ში.

ახალგაზრდების და მოზრდილების მსგავსად წარმატებული სამბისტებისთვის დაწესდა ფულადი პრემიები ჭაბუკებისთვისაც.

შევქმენით მწვრთნელთა ახალი შტატები.

მალე შევიძენთ ახალ საჭიდაო ლეიბებს, საჭიდაო ჩოხებს, საჭიდაო ფეხსაცმელებს და ყველა ასაკობრივ ნაკრებ გუნდში დავნიშნავთ ახალ მწვრთნელებს. პრიორიტეტულად მივიჩნევთ რეგიონებში სამბოს, რაც შეიძლება მეტი ჯგუფის ამოქმედებას. გვქონდა წარმატებები, გვექნება უფრო მეტი...

ესაუბრა
**გაბრიელ ბარჯაძე**


სოსო ლიპარტელიანი

### საქართველოს 2012 წლის საუკეთესო სამბისტები და მწვრთნელი

საუკეთესო სპორტსმენი: **გიორგი ბაინდუროვი** (90 კგ) მსოფლიოს ჩემპიონი.

საუკეთესო ახალგაზრდებს შორის: **ამირან იანვარაშვილი** (82 კგ) მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში.

საუკეთესო ჭაბუკებს შორის: **ომარ ნიაზაშვილი** (70 კგ) მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის.

საუკეთესო მწვრთნელი: **ელიზბარ ბიგანიშვილი** (თბილისი).

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

ზამთრის XXII ოლიმპიურ თამაშებზე (სოჭი, 2014 წლის 7-23 თებერვალი) დასასწრებად და მის გასაშუქებლად საჭირო აკრედიტაციის მისაღებად ქართული სპორტული მასმედიის წარმომადგენლებმა განაცხადით უნდა მიმართონ სეოკ-ის პრესსამსახურს.

სოჭში ჟურნალისტის მგზავრობის, ცხოვრების, კვებისა და სხვა აუცილებელ ხარჯებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

სეოკ-ში განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2013 წლის 25 იანვარი. მისამართი: მაჩაბლის ქ. №11; ტელ: 2 510057; 577 405030.

**სეოკ-ის პრესსამსახური**

● ჩოგბურთი

# ქართულ-სლავური დუელი სტამბოლში

## ანა ტატიშვილი ბრისბენით დაიწყებს

თურქულ სტამბოლში დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც სამი ქართველი ჩაება. **ნათია გეგია,** რომელიც ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან მოხვდა (იქ იტალიელ კარლოტა სარტორის სძლია 6:1,7:6), სტარტზევე მასპინძელ ირეკ სოილუსთან დამარცხდა 7:5, 3:6, 3:6. თურქმა ჩოგბურთელმა მეორე წრეში მე-6 ნომრად განთესილ **ეკატერინე გორგოძესაც** აჯობა 6:3, 6:3. სავარაუდო იყო, რომ იგი ნახევარფინალში მე-3 ნომრად განთესილ **სოფიო ქვაცაბაიასაც** შეხვედროდა, რადგან მეოთხედფინალში ტურნირის მე-2 ნომერი იაპონელი ერი ჰოზუმი დაჯაბნა 6:3,6:3. სამწუხაროდ, ქვაცაბაიამ, რომელმაც პირველ წრეში რუმინელი ქრისტინა ადამესკუ ჩამოიშორა გზიდან, მეორეში მის გზას გაუყენა ბულგარელი ვივიან ზლატანოვა, მესამე ბარიერის გადალახვა ვერ შეძლო, იოლად დანებდა ბორისლავა ბოტუშაროვას 1:6, 2:6. სლავმა ჩოგბურთელმა წყვილთა ტურნირში მარცხისთვის ჯავრი იყარა ჩვენებურზე. მეორე ნახევარფინალში ტურნირის რეიტინგფავორიტი ისაბელა შინიკოვა (ბულგარეთი) და ჰულია ესენი (თურქეთი) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

წყვილთა ფინალში ითამაშებს სოფიო ქვაცაბაიას და ეკატერინე გორგოძის დუეტი, რომელიც სტამბოლის ტურნირზე მეორე ნომერია. ქართველებმა პირველ წრეში სანდრა ჰონიკოვა (ჩეხეთი) და პოლინა ლეიკინა (რუსეთი) დაამარცხეს 6:1, 6:4, შემდეგ ბულგარელებს ბორისლავა ბოტუშაროვას და იულია სტამატოვას აჯობეს 5:7, 7:5, 10:6, გუშინ კი ანა ბიანკა მინალა (რუმინეთი) და დიანა ოსპინა (აშშ) ჩამოიშორეს გზიდან 6:4,6:2. ფინალში პირველ ნომრად განთესილ სლავებს ლიძია მაროზავას (ბელარუსი) და ეკატერინა იაშინას (რუსეთი) დაუპირისპირდებიან.

ინდოეთის ქალაქ პუნეს 25.000-იან ტურნირში ცდიდა ძალებს **ოქსანა კალაშნიკოვა.** სტარტზე მიღწეული წარმატების (მასპინძელი ნატაშა პალანა დაამარცხა) შემდეგ თურქ ბასაკ ერაიდინს შეხვდა. პირველი ხელი თბილისელმა ჩოგბურთელმა მოიგო 7:6, მაგრამ მომდევნო ორი დათმო და შეჯიბრებას გამოეთიშა.


სოფიო ქვაცაბაია

ავსტრალიურ ბრისბენში 30 დეკემბრიდან დაიწყება და 2013 წლის 6 იანვარს დასრულდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი 1.000.000 დოლარის საპრიზო ფონდით (შარშან 655.000 დოლარი იყო). ამ შეჯიბრებას დღემდე ქალებში ოთხი გამარჯვებული ჰყავს: ვიქტორია აზარენკა (2009), კიმ კლაისტერსი (2010), პეტრა კვიტოვა (2011) და კაია კანეპი (2012). წლეულს ბრისბენში თამაშს აპირებენ ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი), სერენა უილიამსი (აშშ), მარია შარაპოვა (რუსეთი), სემ სტოსური (ავსტრალია), პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი), კაროლინ ვოზნიაცკი (დანია), დომინიკა ციბულკოვა, დანიელა ჰანტუხოვა (ორივე სლოვაკეთი) და სხვები, მათ შორის 22 წლის **ანა ტატიშვილი,** რომელიც 1140 ქულით მსოფლიო რეიტინგში 51-ე ადგილზეა. ბოლო პერიოდში მას არსად უთამაშია, რადგან ტრავმებს იშუშებდა. ამჟამად ანა ავსტრალიაში იმყოფება და ახალ სეზონს მსოფლიოს ჩოგბურთელ ქალთა თანავარსკვლავედთან ერთად მილიონიანი ტურნირით დაიწყებს.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი

**მშვილდოსნობა. ხელვაჩაურის ტურნირი**



# ხელვაჩაურში ასპინძაც გამოჩნდა

ამ დღეებში ხელვაჩაურში ჩატარდა ამ რაიონის სასპორტო სკოლის ღია პირველობა მშვილდოსნობაში, რომელსაც ახალსოფლის სპორტულმა დარბაზმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში მოწვეული იყვნენ აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც, რომლებიც ნოემბერში უკვე იმყოფებოდნენ ბათუმში საასპარეზოდ, მერე ჩვენებიც ეწვივნენ ბაქოში, ახლა კი ჩამოსვლა ვერ მოახერხეს.

ამდენად, ღია ტურნირს მონაწილეებად მხოლოდ ქართველები შემორჩნენ - 24 სპორტსმენი. ხელვაჩაურს აჭარის რეგიონის სპორტსმენთა გარდა ქუთაისელი და თბილისელი მშვილდოსნებიც ეწვივნენ, რომლებიც ყოველთვის ისვრიან იქაურ შეჯიბრებებში, ამჯერად კი მათ ასპინძის გუნდიც დაემატა, რაც ფრიად სასიხარულოა. სამწუხაროდ, თბილისიდან მხოლოდ ორი სპორტსმენი გამოვიდა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბიდან, თორემ მონაწილეთა რაოდენობა ბევრად მეტი იქნებოდა. თუმცა ნაოლიმპიადევია, თანაც - წლის ბოლო და მშვილდოსანთა უმეტესობა ისვენებს, ახალი სეზონისთვის ემზადება. სწორედ ამ მიზეზით ამჯერად შეჯიბრებაში ბათუმელთა წამყვანი მსროლელებიც არ გამოსულან, თუმცა **ხათუნა ნარიმანიძის** შემთხვევაში ამას სამსახურებრივი მოუცლელობაც დაემატა (ის ხელვაჩაურის საკრებულოს წევრია), **ასმათ დიასამიძე** კი ამჯერად მწვრთნელობას დასჯერდა.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში - უფროსებსა და ახალგაზრდებში ჩატარდა. უმცროსებში, გოგონებში, სამივე საპრიზო ადგილი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა დაიკავეს - ჩემპიონი **ციალა ფუტკარაძემ** აჯობა, მეორეზე **ნინო დევაძე** გავიდა, მესამეზე - **მედეა აბულაძე**. ამავე ასაკის ბიჭებში ხელვაჩაურელებს მხოლოდ ოქრო დარჩათ - **არჩილ ფარსენაძემ** გაიმარჯვა, სხვა მედლები კი სტუმრებმა წაიღეს - ვერცხლს თბილისელი **ლევან ჩიტიშვილი** დაეუფლა, ბრინჯაოს - ქუთაისელი **ჯაბა მოსეშვილი**.

ხელვაჩაურელთა გასახარად, უფროსთა შორის ქალებში მასპინძელმა **ლანა ვერულიძემ** გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში თანაგუნდელი **თეონა ფარსენაძე** დაამარცხა, მესამეზე კი ასპინძელი **მარიამ ბერიძე** გავიდა. ვაჟთა შორისაც კვარცხლბეკზე მხოლოდ ხელვაჩაურელები ავიდნენ - პირველობა **კახაბერ ტრეტიაკოვმა** მოიპოვა, რომელმაც ფინალში **ტარიელ ქადიძეს** აჯობა, ბრინჯაო კი **ტარიელ ბასილაძემ** მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ აბულაძე და ბასილაძე დიასამიძის პირადი შეგირდები არიან.

მედალოსნები დიპლომებითა და სიგელებით დააჯილდოეს, ჩემპიონებს დამატებით თასებიც გადაეცათ, პრიზები კი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლამ უზრუნველყო. ამავე ტურნირის მიმდინარეობისას აირჩიეს აჭარის მშვილდოსნობის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი - ბათუმის სასპორტო სკოლის დირექტორის მოადგილე **ლევან ჯიოშვილი**, რომელიც ავტორია წიგნისა „სპორტი აჭარაში".

ახლა ქართველ მშვილდოსნებს მთავარ საზრუნავად საქართველოს ზამთრის პირველობა რჩებათ, რომელმაც თებერვლის ბოლოს პოლონეთში, ევროპის ასევე ზამთრის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა უნდა გამოავლინოს. ფედერაციის ძველ ხელმძღვანელობას ეს ტურნირი 5 იანვრისთვის ჰქონდა დანიშნული, მაგრამ თვის ბოლოსთვის გადაიწევს. ხვალ საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართება, სადაც ახალი პრეზიდენტი **თენგიზ ტერუნაშვილი** ფედერაციის მმართველ გუნდსაც წარადგენს და კალენდარსაც დაამტკიცებს (დებულებით, მას ამის უფლება აქვს). ქვეყნის პირველობის ზუსტი თარიღიც იქ გაირკვევა.

**ირაკლი თავაძე**

**თარიღები და მოვლენები**

## 28 დეკემბერი

**1952 წელი.** დონის როსტოვში გაიმართა 1952 წლის პირად-გუნდური პირველობა სამბოში. თავიანთ წონებში საქართველოდან ვ. ბალავაძე და ა. მეკოკიშვილი ჩემპიონები გახდნენ, ლ. კაციაშვილს და ო. სინჯიკაშვილს მეორე ადგილი ხვდათ წილად, ნ. ნინიაშვილს, ქ. ნინიაშვილს და გ. როსტიაშვილს - მესამე.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველო, 2. მოსკოვი, 3. ლენინგრადი.

**1968 წელი.** თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთში სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი. თბილისის „ბურევესტნიკმა" 72:64 (38:35) დაამარცხა რიგის ასკ.

**1972 წელი.** რაგბიში თბილისის ჩემპიონატის ბოლო მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი „ლოკომოტივი" და 1973 წლის საქართველოს ჩემპიონატის დებიუტანტი „დინამო". ლიდერთა ამ შეხვედრას უნდა გამოევლინა თბილისის ჩემპიონი. 21:9 გაიმარჯვეს რკინიგზელებმა.

მესამე ადგილზე გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მორაგბეები.

**19972 წელი.** საქართველოს აბსოლუტურ ჩემპიონატს ქართულ ჭიდაობაში თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ამჯერად ეს ტრადიციული ასპარეზობა ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის გამარჯვებით დასრულდა.

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.**

**დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**

## TimeLine

# 2012-ე გზატკეცილი...

## წლის 13 მოვლენა

ხვალ დასრულდება გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც „ლელო" მკითხველის რჩეულ წლის სპორტსმენს გამოავლენს. როგორც ყველა წელიწადი, 2012-იც თავისებურად გამორჩეული იყო.
მოდით, ერთად დავსხდეთ დროის მანქანაში, გადავიფიროთ ღვედები, გავიაროთ 2012-ე გზატკეცილზე და ფანჯრიდან 13 მთავარი მოვლენა შევათვალიეროთ. რატომ 13? ტელევიზორში თუ ტრანსპორტის ფანჯრიდან, ყველგან 13 მოჩანს, ოღონდ წინ 20 უწერია - 2013 წელი მოდისო. კალენდარიც ასე ამბობს.

### ბრინჯაოს დასაწყისი



2012 წლის ჩვენთვის საინტერესო პირველი საერთაშორისო შეჯიბრება ევროპის მოციგურავეთა ჩემპიონატი იყო, რომელიც 23-29 იანვარს ინგლისის ქალაქ შეფილდში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთში ავტომობილებს საჭე მარჯვნივ აქვთ, **ელენე გედევანიშვილმა** „მოყინულ გზაზე" უამრავ ხარისხიანი მარკის მოციგურავეს აუარა გვერდი და ფინიშის ხაზთან მესამე მივიდა.

### კამაზი და ნივა



რუსული წარმოების რომელი მანქანაა ყველაზე გამძლე? მოდით, ავიღოთ „ნივა" და დავაჯახოთ ქუთაისში წარმოებულ „კამაზს" (იმედია, მანქანათმშენებლობის დარგი საქართველოში ოდესმე კიდევ ამოქმედდება). რა შედეგს მივიღებთ? დაახლოებით ისეთს, როგორიც 17 მარტს, საქართველო-რუსეთის სარაგბო დაპირისპირებისას გვქონდა. მეტოქე 46:0 გავჭყლიტეთ.

საქართველოს ნაკრებმა ერთა თასი წლეულსაც მოიგო.

### თავისუფლად...



7 მარტს დაიწყო და 11-ში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. ახალგაზრდა ყაზბეგელმა **დავით მარსაგიშვილმა** ფინალში ბულგარელი **მიხაილ განევი** დაამარცხა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, 2012 წლის გაზაფხულზე ერთი ევროპირველობა არ დაგვიტოვებია, ოქრო რომ არ წამოგველო თუ არ ჩავთვლით 17-წლამდელთა საფეხბურთო ევროპის ჩემპიონატს, რომლის ნახევარფინალში ქართველებმა ჰოლანდიასთან ღირსეულად დათმეს. ფეხბურთში კი ევროპაზე ნახევარფინალში გასვლა მედლის მოპოვების ტოლფასია.

### ისევ რუსეთი



ქართულ-რუსული თემა ამ ქვეთავშიც განვაგრძოთ, მაგრამ ფორმა უნდა შევიცვალოთ: ან თეთრი ჩოხა მოვირგოთ, ან ლურჯი - ძიუდოში ასეა, სპორტსმენები ერთმანეთს ამ ორი ფერის ფორმებით ეჭიდავებიან.

რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში გამართული ევროპის ჩემპიონატი ქართველთა ტრიუმფით დასრულდა - მოვიგეთ გუნდური ოქრო, ხოლო **ვალერი ლიპარტელიანმა** ინდივიდუალურ ჩათვლაში მონაგარს კიდევ ერთი უმაღლესი სინჯის მედალი მიათვალა.

### 365



მარსაგიშვილის წარმატებიდან ზუსტად ერთ კვირაში მას მიჰბაძა ძალოსანმა **რაულ ცირეკიძემ** (85კგ) - მძიმე შტანგასთან ერთად ერთად ევროპის ჩემპიონის ტიტული ასწია. რაულმა ჯერ 165-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა, აკვრისას კი 200 კგ დასძლია და უკან მოიტოვა მასპინძელი **ფატიჰ ბაიდარი**. რაულის მონაგარის შეჯამებისას საინტერესო რიცხვს ვიღებთ - 165+200=365.

### ჯენოადან ენერგეტიკაში



12 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ყველაზე წარმატებულმა ფეხბურთელმა **კახა კალაძემ** კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. არადა, მას კონტრაქტის მიხედვით კიდევ ერთი წელი უნდა ეთამაშა იტალიურ „ჯენოაში". როგორც აღმოჩნდა, მან „ჯენოას" მაისური „ოცნების" მაისურში გაცვალა.

ოქტომბერში იგი ენერგეტიკის მინისტრად დაინიშნა.

» მე-16 გვერდზე

**კალათბურთი. ლეგიონერები**

# ზაზას ორი ოვერტაიმი

## ვიქტორის პირველი მატჩი ტოპ-16-ში

გუშინ ღამით საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა ამერიკულ საიტებზე - „ბრუკლინ ნეთსის" მთავარი მწვრთნელი **ეივერი ჯონსონი** დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლეს. მანამდე, რამდენიმე საათით ადრე ბრუკლინელთა თავკაცმა „მილუოკისთან" 1:06 წუთი ათამაშა **თორნიკე შენგელია**. თუმცა დროის ამ მოკლე მონაკვეთში ქართველმა თავდამსხმელმა ვერაფერი მოასწრო. „ბრუკლინმა" 93:108 წააგო.

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტას" „დეტროიტის" დასამარცხებლად ორი ოვერტაიმი დასჭირდა. საბოლოოდ 126:119 ჯორჯიელთა სასარგებლოდ. ზაზამ 22 წუთში 4-4 ქულა-მოხსნა და 2 ჩაჭრა მოაგროვა. 31-31 ქულით მატჩის ბომბარდირობა გაიყვეს **ჯოშ სმიტმა** („ატლანტა") და **უილ ბინუმმა** („დეტროიტი").

ევროლიგის მეორე ეტაპი გამარჯვებით გახსნა იტალიური სიენას „მონტეპასკიმ", რომლის ღირსებასაც ქართველი **ვიქტორ სანიკიძე** იცავს. მან 19 წუთში 8 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება მოაგროვა. სიენელებმა თელავიველები 79:69 დაამარცხეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერები

# ქართველი პირველხაზელების კიდევ ერთი აღიარება

ბიბლიოთეკა

**საფრანგეთში** გამომავალმა ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა“ ახლახან რაგბის ქართველი ქომაგებისთვის ერთი სასიხარულო ინფომაცია გაავრცელა. ამ ქვეყნის ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბორდომ“ თავის რიგებში შერკინების ქართველი ბურჯი ზაზა ნავროზაშვილი მიიწვია.


ბურთით ზაზა ნავროზაშვილი



გიორგი ჟღენტი

ოცი წლის ქართველი მორაგბე თბილისის „ივერიაში“ გაიზარდა და ბოლო ხანს ქვეყნის ჩემპიონის, „არმიას“, ღირსებას იცავდა. ის შარშან თბილისში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ფრანგი სკაუტების მზერას იმედისმომცემი პირველხაზელი მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ.

ნავროზაშვილს კლუბში ჯერ კიდევ ნოემბერში ელოდნენ, თუმცა ტრადიციული სავიზო ციებ-ცხელების შემდეგ, საფრანგეთში ჩასვლა მხოლოდ ახლახან შეძლო.

*„გუნდში იმედისმომცემი მორაგბე ავიყვანეთ და მოხარული ვიქნებით თუ ის მალე შეძლებს ინტეგრირებას“* - თქვა ბორდოს მთავარმა მწვრთნელმა **ლორან მარტიმ**. ბორდოელები პირველი წრის დასრულების შემდეგ 18 ქულით მე-12 ადგილზე არიან და დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან. იმედი გვაქვს, ქართველი შერკინების ბურჯი ახალ გუნდს მიზნის მიღწევაში რეალურად დაეხმარება.

ნავროზაშვილის „ბორდოში“ ჩარიცხვის შემდეგ ქართველ პირველხაზელთა რიცხვი საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში ათამდე გაიზარდა. სულ კი ელიტაში რეგულარულად 13 ქართველს უწევს თამაში. ათი პირველხაზელი, ორი მესამეხაზელი და ერთიც მეორეხაზელი პატარა სარაგბო ერისთვის ცოტა არ არის.

ვინაიდან მსოფლიოს რაგბიში ქართველი პირველხაზელები ყველაზე მეტად ფასობენ, უპრიანი იქნება თვალი გადავავლოთ, როგორი წარმატებით ირჯებიან ისინი ერთ-ერთ მოწინავე, საფრანგეთის ჩემპიონატში.

ყველაზე გამოცდილი მათ შორის „კლერმონის“ შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილია**. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი „ვულკანების“ შემადგენლობაში 2004 წლიდან თამაშობს და ვინაიდან კლუბის ერთგულია, ადგილობრივი ქომაგები მას თავისიანად მიიჩნევენ. უფრო გასაგები, რომ იყოს, ზირაქაშვილის სიტყვას უფრო მეტი ფასი აქვს და უფრო უსმენენ, ვიდრე გუნდში ახალმისულ, თუნდაც მსოფლიოს დონის ვარსკვლავს, რომლის ავტორიტეტიც დიდია.

ზირაქაშვილმა „კლერმონის“ შემადგენლობაში რამდენჯერმე ითამაშა საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში და 2010 წელს ამ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ის პირველი ქართველია, რომელმაც ეს ტიტული მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ზირაქაშვილი „კლერმონში“ მას შემდეგ მივიდა, რაც ტრავმის გამო თამაშს თავი დაანება **ლევან (ლეონსიო) ცაბაძემ**, რომელიც საფრანგეთში დღემდე ახსოვთ და მეტწილად მისი დამსახურებაცაა ქართველ პირველხაზელთა მიმართ გამოჩენილი დიდი ინტერესი.

შარშან საფრანგეთის ჩემპიონები გახდნენ „ტულუზის“ შემადგენლობაში მოასპარეზე **ჯაბა ბრეგვაძე** და **აქვსენტი გიორგაძე**. ორივე შერკინების კვაჭია და ამ პოზიციაზე ტულუზელებს მიზეზთა გამო დღემდე პრობლემები აქვთ. გიორგაძემ თამაშს თავი დაანება და მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ბრეგვაძემ მძიმე ოპერაცია გადაიტანა და თამაშს მხოლოდ თებერვლიდან შეძლებს. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ვეტერანმა **ვილიამ სერვამ** სამწვრთნელო კარიერა შეწყვიტა და ისევ პირველ ხაზში დადგა.

ბრეგვაძეს ტრავმის გამო ჯერ კიდევ არ მიეცა საშუალება, თავისი შესაძლებლობები ბოლომდე გამოემჟღავნებინა. ის „ტულუზში“ შარშანდელი ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა და მხოლოდ ექვს მატჩში თამაში მოასწრო.

წლევანდელი სეზონის წინ ფრანგული რაგბის ამ გრანდში ჩაირიცხა საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **ვასილ კაკოვინი**, რომელმაც იქამდე ერთი სეზონი „ბრივში“ გაატარა და საუკეთესო პირველხაზელების გამოკითხვაში მესამე ადგილი დაიკავა. ცხადია, ახალგაზრდა ქართველი მორაგბისთვის ეს დიდი პატივია, თუმცა იმავდროულად დიდი პასუხისმგებლობაცაა, რადგან მასზე გაცემულ ავანსს გამართლება სჭირდება.

„ტულუზს“ რაღაც უცნაური ეპიდემია სჭირს. კაკოვინმა ამ გუნდთან კონტრაქტი ის იყო, გააფორმა, რომ უმალვე სერიოზულად დაშავდა და ისიც საოპერაციო გახდა. ვასომ ტრავმა უკვე მოირჩინა, თუმცა ტულუზელთა თავკაცი **გი ნოვე** მხოლოდ თითო ტაიმში თამაშის საშუალებას აძლევს.

ახლახან კი „ტულუზის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ჩანახატი ვასილ კაკოვინის შესახებ რომელშიც ავტორი იხსენებს, რომ სეზონის წინ მისი შეძენა კლუბის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტრანსფერად დასახელდა, თუმცა ტრავმამ მას საშუალება არ მისცა, სრულად გამოევლინა პოტენციალი. ახალწვეულისთვის, ცხადია, ეს ძალიან რთული ვითარებაა.

*„ორი თვის განმავლობაში ტრავმის გამო ვერ ვვარჯიშობდი. მერე რამდენიმე მატჩში ვითამაშე და ტკივილებმა ისევ შემაწუხეს. ძნელია, მოხვდე ასეთ ძლიერ კლუბში და არ ითამაშო. ახლა თავს უკეთესად ვგრძნობ, ფიზიკურად კარგად მოვემზადე. როცა „ტულუზში“ მოვედი, ორ თუ სამ მოთამაშეს ვიცნობდი. თუმცა სხვებმაც ძალიან თბილად მიმიღეს და თავი უცხოდ არ მივრძნია“* - თქვა ვასილ კაკოვინმა, რომელიც მოუთმენლად ელის თანამემამულე ჯაბა ბრეგვაძის მწყობრში ჩადგომას.

ქართველ პირველხაზელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა „მონპელიეს“ შერკინების ბურჯი **გიორგი ჟღენტი**, რომელიც ზემოხსენებულ გამოკითხვაში მეხუთე ადგილზე გავიდა. ჟღენტმა მონპელიემდე საკმაოდ გრძელი გზა განვლო. თითქმის ყოველ წელიწადს გუნდს იცვლიდა და ბოლოს „მონპელიეში“ იპოვა ნავსაყუდელი. თუმცა ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, ის ამ გუნდსაც ტოვებს და კარიერას ოთხი წლით „პერპინიანში“ განაგრძობს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მონპელიეს“ ბოლოდროინდელი ალმასვლა მნიშვნელოვანწილად გიორგი ჟღენტის დამსახურებაცაა. არავის ახსოვს, რომ მას ვინმესთვის ერთი გოჯი დაეთმოს შერკინებაში. პირიქით კი რამდენიც გნებავთ. მოწინაალმდეგეები მისი მძლავრი მხრების ბიძგებს ვერ უძლებენ და ხშირად ჯარიმდებიან, რასაც „მონპელიეს“ დამრტყმელი შესანიშნავად იყენებს.

ჟღენტი ამჟამად ტრავმირებულია და, სავარაუდოდ, თამაში კიდევ დიდხანს არ მოუწევს. „მონპელიეშივე“ ასპარეზობს საქართველოს ნაკრების შერკინების კიდევ ერთი ბურჯი **მიხეილ ნარიაშვილი**, რომელიც ჟღენტზე ბევრად ახალგაზრდაა და ყველაფერი ჯერ კიდევ წინ აქვს. ის ჯერჯერობით სხვა გუნდში წასვლას არ აპირებს და მომავალი ორი წლის განმავლობაში მონპელიელეთა ღირსებას დაიცავს.

საფრანგეთის ქართველ ჩემპიონთა რიგები წლეულს შესაძლოა გაიზარდოს. გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს „ტულონი“, რომლის რიგებშიც **დავით ქუბრიაშვილი** და **ლევან ჩილაჩავა** ასპარეზობენ. ქუბრიაშვილი დიდი ხანია ტულონელთა წამყვანი შერკინების ბურჯია. შარშანდელ სეზონში მთელი დატვირთვით ითამაშა და ახალზელანდიელ **კარლ ჰეიმანს** სათადარიგოთა სკამი ახეხვინა.

ქუბრიაშვილს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება შარშანაც შეეძლო, თუმცა „ტულონი“ ფინალში „ტულუზთან“ დამარცხდა. იმ მატჩში „დუდუ“ ძირითად შემადგენლობაში იყო. თამაშის მინურულისკენ კი ლევან ჩილაჩავამ შეცვალა. ამ 21 წლის პირველხაზელზე იმედს არა მარტო „ტულონის“, არამედ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებიც ამყარებენ. თუმცა ამ პოზიციაზე ჩვენს ეროვნულ გუნდში იმდენად დიდი კონკურენციაა, რომ იქ მოსახვედრად ლევანს დიდი გარჯა მართებს.

საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერთა შორისაა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“. ეს პირველხაზელი სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენს ეროვნულ გუნდში აგერ უკვე ორი წელიწადია არ გამოჩენილა. არადა ძალიან ძლიერი და, რაც მთავარია, სასარგებლო მორაგბეა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ფეიქრიშვილი ისეთი ტრადიციების მქონე გუნდის წამყვანი მოთამაშეა, „კასტრი“ რომ არის, თავისთავად ბევრს ნიშნავს.

სამწუხაროდ, მას ტრავმების გამო დიდი დრო გაუცდა, რაც ხელს უშლის, პოტენციალი სრულად გამოავლინოს და ფრანგული ელიტის ერთ-ერთ წამყვან შერკინების ბურჯად ჩამოყალიბდეს. თუმცა ამის შანსი ანტონს ჯერ არ დაუკარგავს.

ფრანგული რაგბის კიდევ ერთ გრანდში „სტად ფრანსეში“ წლეულს ჩაირიცხა ფოთის სარაგბო სკოლის აღზრდილი **ზურაბ ჟვანია**. მან უკვე მოახერხა გუნდის ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე მატჩის გამართვა და იმედი გვაქვს, რომ ეს ახალგაზრდა მორაგბე მალე აალაპარაკებს ფრანგულ სპორტულ მედიას, ისევე, როგორც ეს მისმა წინამორბედმა თანამემამულეებმა შეძლეს.

კიდევ უფრო მეტი, 14 ქართველი პირველხაზელი ასპარეზობს საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში. მათზე დეტალურად საუბარს არ შევუდგებით. თუმცა, იმას კი აღვნიშნავთ, რომ თითქმის ყველა მათგანს თანაბრად ძალუძს სამომავლოდ პირველი დივიზიონის გუნდების კვართი მოირგოს. უკვე გადაწყვეტილია, რომ მეორე დივიზიონის „ბრივს“ დატოვებს და პარიზულ „მეტრო რასინგში“ გადაბარგდება საქართველოს ნაკრების პირველხაზელი **დავით ხინჩაგიშვილი**. იმედია, მის ნაკვალევს სხვებიც დაადგებიან.

**I დივიზიონი**

**ტულუზი:** ჯაბა ბრეგვაძე, ვასილ კაკოვინი.
**კლერმონი:** დავით ზირაქაშვილი.
**ტულონი:** დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა.
**კასტრი:** ანტონ ფეიქრიშვილი.
**მონპელიე:** გიორგი ჟღენტი, მიხეილ ნარიაშვილი.
**სტად ფრანსე:** ზურაბ ჟვანია.
**ბორდო:** ზაზა ნავროზაშვილი.

**II დივიზიონი**

**ბრივი:** დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, გოდერძი შველიძე.
**ლიონი:** გურამ კავთიძე
**ალბი:** კახაბერ კობერიძე, ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთრაშვილი.
**ტარბი:** დავით დადუნაშვილი, ირაკლი მირცხულავა.
**ორიაკი:** გიორგი ნაცარაშვილი, კარლენ ასეიშვილი.
**მასი:** დავით აშვეთია.
**ბეზიე:** ბექა შეყლაშვილი.
**დაქსი:** ტარიელ რატიანიძე.

**ბესიკ ჯანგავაძე**



დავით ზირაქაშვილი


დავით ქუბრიაშვილი

## უცხოური სპორტი

### კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



შარლოტი-მაიამი

# ლიდერებმა სტუმრად მოიგეს

საზეიმო განწყობის მიუხედავად, რეგულარულ ჩემპიონატში დასვენებისთვის არ სცალიათ და გუშინ, დიდი სათამაშო დღე გაიმართა.

წინადღეს, "ლეიკერსთან" წაგების შემდეგ, "ნიუ იორკმა" სტუმრად "ფინიქსის" დამარცხებით გამოიკეთა განწყობა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ **ვუდსონის** შეგირდებს მოგება საკმაოდ გაუჭირდათ. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან "ნიქსს" აკლდნენ **კარმელო ენტონი** და **რაიმონდ ფელტონი**. შედეგად, თანაგუნდელებს წინ მიუძღოდა **კიდისა** და **სმიტის** დუეტი. ამ კალათბურთელებმა ერთად 50 ქულა დააგროვეს. ჯეისონმა, რომელიც, თავის დროზე "სანზში" თამაშობდა, ხუთი სამქულიანი გამოიყენა და რვა შედეგიანი პასიც მიითვალა. თავის მხრივ, ჯეი არმა ნაკლებად ეფექტურად შეუტია (27-დან 11-მა ტყორცნამ მიაღწია მიზანს), მაგრამ პრაქტიკულად მარტომ გადაწყვიტა ენდშპილში მატჩის ბედი. თავიდან მცველმა სირენამდე ათი წამით ადრე გაათანაბრა ანგარიში, **ტელფეირის** შეცდომის შემდეგ კი ერთი წამი ეყო ეფექტური და რაც მთავარია, ზუსტი ტყორცნის შესასრულებლად.

■ ■ ■

"შარლოტისა" და "მაიამის" მატჩში საინტერესო დუელი შემოგვთავაზეს **კემბა უოკერმა** და **ლებრონ ჯეიმსმა** - მათი დაპირისპირება ფრედ: 27:27 დასრულდა. თამაში კი, რა თქმა უნდა, "მაიამიმ" მოიგო, რადგან ის მოქმედი ჩემპიონია, "შარლოტი" კი რეგულარულის 27-ე გუნდი გახლავთ. სხვათა შორის, ეს იყო "ბობკეტსის" ზედიზედ მე-16 წაგება.

წინადღეს, "ოკლაჰომას" დამარცხებას ბევრი ენერგია არ წაურთმევია "ჰიტისთვის". პირველ რიგში, ეს ლებრონზე ითქმის, რომელმაც საწყის ხუთ წუთში ოთხჯერ ჩატენა ბურთი და 11 ქულა მიითვალა. "ბობკეტსის ლიდერი კემბა უოკერი შედეგიანობით დაეწია შარშანდელ MVP-ს, მაგრამ "მაიამის" ასევე ჰყავს **დუეინ უეიდი**, რომელმაც 29 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

"ნეტსს" არ შველის არც ქალაქის, არც სახელწოდების, არც ლოგოსა და არც არენის შეცვლა - ეს გუნდი ვერაფრით ახერხებს "მილუოკის" დამარცხებას. "ირმების" მოგებათა სერია "ბრუკლინის" წინააღმდეგ უკვე 13 მატჩს ითვლის. "ნეტსის" ბოლო მოგება 2009 წლის 3 მარტით თარიღდება. საერთოდაც, ეს გუნდი ბოლო დროს ახერხებს, უფრო ხშირად იმედგაცრუება მოუტანოს თავის გულშემატკივრებს. დეკემბერში ჩატარებული 13 მატჩიდან "ბრუკლინმა" მოიგო მხოლოდ სამი. ამას დაემატა გუნდის ლიდერის **დერონ უილიამსის** ტრავმა - გამთამაშებელს მაჯა აქვს დაზიანებული. რაც შეეხება აღნიშნულ შეხვედრას, გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა სამქულიანები - "მილუოკიმ" 17-დან 10 შორეული ტყორცნა გამოიყენა, "ბრუკლინმა" - 21-დან - ოთხი.

■ ■ ■

"ფილადელფია" ორკვირიან გასვლით ტურნეში არც ისე კარგი განწყობით წავიდა - ბოლო ექვს მატჩში ხუთი წააგო. გარდა ამისა, "სიქსერზმა" დეკემბერში ყველა გასვლითი მატჩი დათმო. ახლა კი მას ელოდება სტუმრად რვა მატჩი, არადა, გუნდი უკვე გავარდა პლეი ოფის ზონიდან. ამ რთულ სიტუაციაში ფილადელფიელებს მშველელად **დორელ რაიტი** და **სპენსერ ჰოიესი** მოევლინენ. "მემფისთან" მატჩში ორივემ განაახლა სეზონში პირადი სნაიპერული რეკორდი (28 და 20 ქულა შესაბამისად). "ფილადელფიამ" პირველი ნახევარი 8:0 გაქცევით დაასრულა და წინ გავიდა, მაგრამ გადამწყვეტი აჩქარება მხოლოდ დასკვნით მეოთხედში გააკეთა - "+15" სირენამდე რვა წუთით ადრე. ეს შესაძლებელი გახდა დაცვაში კარგი თამაშით (12 დაფარება - საკლუბო რეკორდი სეზონში) და თამაშიდან სროლების 50-პროცენტიანი სიზუსტით.

**P. S.** გუშინ, კიდევ ერთი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ "ინდიანასა" და "ჩიკაგოს" შეხვედრა ინდიანაპოლისში ქარბუქის გამო გადაიდო. მატჩის ჩატარების ახალი თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება.

**ვაშინგტონი-კლივლენდი 84:87**

**26:22, 17:23, 25:23, 16:19**

ვ: ოკაფორი (17+10 მოხსნა), ჯორ. კროუფორდი (17), ნენე (16+7 მოხსნა), უებსტერი (12+10 მოხსნა).

კ: ირვინგი (26+6 მოხსნა+8 პასი), ტომპსონი (15+12 მოხსნა), გი (10+8 მოხსნა), გიბსონი (10).

**შარლოტი-მაიამი 92:105**

**18:27, 20:28, 33:23, 21:27**

შ: უოკერი (27+6 მოხსნა+6 პასი), სეშენსი (19+5 პასი), უორიკი (18+9 მოხსნა), ჰენდერსონი (14+7 მოხსნა), ბიიომბო (7+10 მოხსნა).

მ: უეიდი (29+9 მოხსნა+5 პასი), ჯეიმსი (27+12 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა), ჩელმერსი (17), ბოში (14).

**ორლანდო-ნიუ ორლეანი 94:97**

**24:26, 29:23, 23:29, 18:19**

ო: ნელსონი (28+5 მოხსნა+10 პასი), ვუჩევიჩი (19+9 მოხსნა), აფლალო (14), რედიკი (12+5 მოხსნა+6 პასი), მური (10+6 მოხსნა+3 დაფარება).

ნ-ო: ლოპესი (29), ვასკესი (27+6 მოხსნა+8 პასი), ანდერსონი (15+5 მოხსნა), დევისი (12+11 მოხსნა).

**ატლანტა-დეტროიტი 126:119 (2ო)**

**28:13, 22:32, 31:17, 20:39, 7:7, 18:11**

ა: სმიტი (31+10 მოხსნა+6 პასი), ჰორფორდი (22+10 მოხსნა), უილიამსი (18+8 მოხსნა+7 პასი), ტიგი (17+11 პასი), მოროუ (16).

დ: ბინუმი (31), დრამონდი (16+12 მოხსნა), სტაკი (16+5 მოხსნა+11 პასი), პრინსი (14+7 მოხსნა), ვილანუევა (14+7 მოხსნა), მონრო (10), დეი (8+11 მოხსნა).

**მილუოკი-ბრუკლინი 108:93**

**22:24, 33:18, 23:25, 30:26**

მ: ჯენინგსი (25+6 პასი), ელისი (20+7 პასი+6 მოხსნა+6 ჩაჭრა), ილიასოვა (17+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), დანლივი (17), სანდერსი (12+12 მოხსნა).

ბ: ლოპესი (21+10 მოხსნა+3 დაფარება), ბლეტჩი (14+5 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ჯონსონი (13), ბოგანსი (11+5 მოხსნა), უოლასი (8+12 მოხსნა+8 პასი).

**ფინიქსი-ნიუ იორკი 97:99**

**29:27, 15:27, 32:22, 21:23**

ფ: დადლი (36+5 მოხსნა), გორტატი (13+9 მოხსნა), ტელფეირი (11+3 ჩაჭრა), ბრაუნი (11), ბიზლი (10+7 მოხსნა).

ნ-ი: სმიტი (27+6 მოხსნა+5 პასი+5 ჩაჭრა), კიდი (23+6 მოხსნა+8 პასი), ჩენდლერი (14+12 მოხსნა), კოუპლენდი (14).

**მემფისი-ფილადელფია 89:99**

**29:26, 18:23, 23:26, 19:24**

მ: რენდოლფი (23+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), გასოლი (18+8 მოხსნა+8 პასი), პონდექსტერი (13+5 მოხსნა), კონლი (10+5 პასი).

ფ: რაიტი (28+6 მოხსნა), ჰოიესი (20+9 მოხსნა+3 ჩაჭრა+5 დაფარება), ჰოლიდეი (13+9 პასი), ტ. იანგი (13+3 ჩაჭრა+4 დაფარება), ნ. იანგი (12).

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| 1. მაიამი | 20/6* |
| 2. ნიუ იორკი | 21/8* |
| 3. ატლანტა | 17/9 |
| 4. ინდიანა | 16/12* |
| 5. ჩიკაგო | 15/12 |
| 6. მილუოკი | 15/12 |
| 7. ბოსტონი | 14/13 |
| 8. ბრუკლინი | 13/13 |
| 9. ფილადელფია | 14/15 |
| 10. ორლანდო | 12/16 |
| 11. ტორონტო | 9/20 |
| 12. დეტროიტი | 9/22 |
| 13. შარლოტი | 7/21 |
| 14. კლივლენდი | 7/23 |
| 15. ვაშინგტონი | 3/23 |

* - დივიზიონის ლიდერი

# ზეიმი ჯერ ადრეა

დიდი ეიფორია შეინიშნებოდა ბოლო დროს "ლეიკერსის" გულშემატკივრებს შორის - **ნეშის** დაბრუნება და მის შესახებ **ბრაიანტის** განცხადება (*"ასეთ გამთამაშებელთან არასოდეს მითამაშია"*), ზედიზედ ხუთი მოგება... მაგრამ "დენვერთან" მატჩმა აჩვენა, რომ "ლეიკერსს" ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო, პირველ რიგში, დაცვაში, რადგან ამ მომენტისთვის კალიფორნიელებს ერთ-ერთი ყველაზე არარეპრეზენტაბელური დაცვა ჰყავთ ლიგაში. კერძოდ, სწორედ "ლეიკერსთან" მატჩში განაახლა "ნაგეტსმა" ამ სეზონში შედეგიანობის საკუთარი რეკორდი - 126 ქულა დააგროვა. აქედან 27 ქულა **კორი ბრიუერს** ეკუთვნის, რომელმაც პირადი მიღწევა გააუმჯობესა. მეოთხე მეოთხედში მან ოთხი სამქულიანი ჩააგდო, რითაც ფუჭად აქცია ბრაიანტის მონდომება (კობიმ 40 ქულა ჩაინერა აქტივში). ლიდერის ასეთი თამაშის მიუხედავად, მაქსიმუმი, რაც "ლეიკერსმა" შეძლო, დეფიციტის ცხრა ქულამდე შემცირება იყო. ბრაიანტმა სათანადო მხარდაჭერის გარეშე, მარტომ, თამაშის მოგება ვერ შეძლო. მაგალითად, **დუაიტ ჰოვარდი** მესამე მეოთხედს შუაში არასპორტული ჯარიმისთვის გააგდეს მოედნიდან.

■ ■ ■

დიდი ჯაფა არ დასდგომია "სან ანტონიოს" "ტორონტოსთან" საშინაო მატჩში - საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ **პოპოვიჩის** გუნდიდან მოედანზე 29 წუთზე მეტი არც ერთს არ გაუტარებია. მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა კანადელთა გასანადგურებლად. **ლოურის**, **ბარნიანისა** და **ვალანჩუნასის** არყოფნაში, "ტორონტოს" არანაირი შანსი არ ჰქონდა. საბოლოო 20-ქულიანი უპირატესობის მიუხედავად, მასპინძელთაგან ხეირიანად ვინმეს გამოყოფა რთულია, თუმცა **კავაი ლეონარდი** და **მანუ ჯინობილი** ცალკე ქებას იმსახურებენ - პირველმა 24 წუთში 9 ქულა, 10 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა, მეორე კი სათადარიგოებს შორის ყველაზე შედეგიანი იყო 14 ქულით.

■ ■ ■

წელს ხშირად სვამენ კითხვას იმის შესახებ, რაში სჭირდება დღევანდელ "გოლდენ სტეიტს" **ანდრის ბიედრინში**. ამ კითხვას ლატვიელმა "იუტასთან" მატჩში უპასუხა - მან 19 წუთი გაატარა მოედანზე და ფარქვეშ ბრწყინვალედ იბრძოდა. შესაბამისად, ბიედრინშმა მეტად უჩვეულო სტატისტიკა დააფიქსირა - 12 მოხსნა და არც ერთი ქულა. მის ნაცვლად ქულებს სხვები აგროვებდნენ. ავილოთ უნივერსალი **კარი**, რომელსაც 23 ქულით, 8 მოხსნით და 7 პასით შესანიშნავი სტასტისტიკა დაუგროვდა. მან, **ტომპსონმა** და **ჯეკმა** ერთად რვა სამქულიანი ჩააგდეს. შეიძლება არ არის განსაკუთრებული შედეგი, მაგრამ მთელმა "იუტამ" ორჯერ ნაკლები შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში (17 ცდიდან). და საერთოდაც, ეს არ იყო მასპინძლების დღე - **უილიამსმა**, **ფოიემ**, **ტინსლიმ**, **უოტსონმა**, **ბერქსმა** და **ჰეივორდმა** საერთო ჯამში 42 სროლიდან მხოლოდ 11 ბურთი ჩააგდეს. გადამწყვეტი კი აღმოჩნდა "გოლდენ სტეიტის" 10:0 სპურტი მეორე მეოთხედის ბოლოს, რომლის შემდეგაც "მეომრების" უპირატესობა 15 ქულამდე ავიდა.

■ ■ ■

წელს ასევე ხშირად ისმის "მინესოტას" რუსი ლეგიონერების ქება, მაგრამ ბოლო მატჩებში "მგლებმა" ორჯერ იმის გამო წააგეს, რომ ბოლო ტყორცნა მატჩში **ალექსეი შვედს** მიანდეს. ამჯერად, დებიუტანმა რვა მეტრიდან არაზუსტად ისროლა და "ჰიუსტონს" მოაგებინა.

არადა, "მინესოტას" შეეძლო თავიდან აეცილებინა ნერვული დასასრული. მეორე მეოთხედის ბოლოს და მესამე მეოთხედის დასაწყისში 25:6 გაქცევით მასპინძლების უპირატესობა 14 ქულამდე გაიზარდა. მაგრამ ამას მოჰყვა საპასუხო 15:4 გაქცევა და **ლინმა** და კომპანიამ სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა - ეს მეოთხე მეოთხედის წინ მოხდა. ბოლო 12-წუთეული კი **ჯეიმს ჰარდენის** ბენეფისად იქცა, რომელმაც მატჩის დასკვნით ნაწილში 17 ქულა დააგროვა. მათ შორის იყო ორი ზუსტი ტყორცნა ბოლო 40 წამში, რამაც გადაწყვიტა მატჩის ბედი. "მინესოტამ" კი ბოლო წუთსა და 54 წამში ერთი ქულაც ვერ აიღო.

■ ■ ■

"პორტლენდმა" სამი დღის წინანდელი მარცხისთვის რევანში აუღო ისევ **კაზინსის** გარეშე მოთამაშე "საკრამენტოს". თანაც ამისთვის ლიდერთა კვარტეტის მონდომება იკმარა. **ოლდრიჯმა** და **ჰიქსონმა** სტუმრებს ფარქვეშ "გადაუარეს" და ორმაგი დუბლი შეასრულეს (აღსანიშნავია, რომ ჯეი ჯეისთვის ეს იყო ზედიზედ მეცხრე ორმაგი დუბლი). მათი ერთობლივი მონაგარი იყო - 46 ქულა და 26 მოხსნა, **ბატუმმა** და **ლილარდმა** კი ერთობლივი სამმაგი დუბლი შეასრულეს - 35 ქულა, 16 პასი, 14 მოხსნა. ლილარდი პირადად შეასრულებდა ტრიპლ-დაბლს, კიდევ ორი მოხსნა რომ აეღო.

**მინესოტა-ჰიუსტონი 84:87**

**17:22, 30:22, 17:17, 20:26**

მ: ბარეა (18+7 მოხსნა), შვედი (16), ლავი (7+12 მოხსნა).

ჰ: ჰარდენი (30+6 მოხსნა), ჰარისონი (12+6 მოხსნა+5 პასი), დელფინო (1[illegible]+5 მოხსნა), [illegible] (9+17 მოხსნა).

**სან ანტონიო-ტორონტო 100:80**

**22:18, 22:19, 26:20, 30:23**

ს-ა: დანკანი (15+6 მოხსნა), ჯინობილი (14+5 მოხსნა), პარკერი (13+7 პასი), სპლიტერი (10), დიაო (10), ლეონარდი (9+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ტ: ჯონსონი (12+6 მოხსნა), ანდერსონი (12), ლუკასი (11+6 პასი), როსი (11), კალდერონი (7+10 პასი).

**დენვერი-ლეიკერსი 126:114**

**29:26, 28:28, 39:33, 30:27**

დ: ბრიუერი (27), ფარიდი (21+15 მოხსნა), გალინარი (19), ლოუსონი (17+14 პასი), იგუოდალა (17+11 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), კუფოსი (10).

ლ: ბრაიანტი (40+6 პასი), გასოლი (19+6 მოხსნა+5 პასი), ნეში (15+8 პასი), ჰოვარდი (12+7 მოხსნა), უორლდ პისი (10+6 მოხსნა), ჰილი (9+9 მოხსნა).

**იუტა-გოლდენ სტეიტი 83:94**

**19:24, 18:25, 21:26, 25:19**

ი: ჯეფერსონი (18+10 მოხსნა), მილსეპი (14+7 მოხსნა), კანტერი (10).

გ-ს: კარი (23+8 მოხსნა+7 პასი), ლი (18+9 მოხსნა), ტომპსონი (15), ჯეკი (15), ბიედრინში (0+12 მოხსნა).

**პორტლენდი-საკრამენტო 109:91**

**31:26, 31:18, 29:23, 18:24**

პ: ოლდრიჯი (28+12 მოხსნა), ბატუმი (18+6 მოხსნა+5 პასი), ჰიქსონი (17+14 მოხსნა), ლილარდი (17+8 მოხსნა+11 პასი), ბარტონი (14).

ს: სალმონსი (19), ტომასი (12+6 პასი), ტომპსონი (11+6 მოხსნა).

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| 1. კლიპერსი | 22/6* |
| 2. ოკლაჰომა | 21/6* |
| 3. სან ანტონიო | 22/8* |
| 4. მემფისი | 18/8 |
| 5. გ. სტეიტი | 19/10 |
| 6. ჰიუსტონი | 16/12 |
| 7. დენვერი | 16/14 |
| 8. პორტლენდი | 14/13 |
| 9. მინესოტა | 13/13 |
| 10. იუტა | 15/15 |
| 11. ლეიკერსი | 14/15 |
| 12. დალასი | 12/16 |
| 13. ფინიქსი | 11/18 |
| 14. საკრამენტო | 9/19 |
| 15. ნიუ ორლეანი | 6/22 |

* - დივიზიონის ლიდერი



დენვერი-ლეიკერსი

# როუზი თითქმის თამაშობს

სიახლეა "ჩიკაგო ბულზის" ლიდერ **დერიკ როუზის** აღდგენით პროცესთან დაკავშირებით. 2010-11 წლების სეზონის საუკეთესო კალათბურთელი აქტიურ ვარჯიშებზე გადავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს შანსი, ეს მოთამაშე მოკლე დროში ვიხილოთ მოედანზე.

*"ის დარბის, ბურთს ისვრის კალათში, კარგად ეხმარება შეტევას და ხანდახან დაცვას. საერთო ჯამში, ის კარგად გრძნობს თავს. უნდა დავაკვირდეთ, როგორ გაგრძელდება აღდგენითი პროცესის ახალი ეტაპი"*, - განაცხადა "ჩიკაგოს" დამრიგებელმა **ტომ ტიბოდომ**.

■ ■ ■

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ "ტორონტოს" ლიტველმა ცენტრმა **იონას ვალანჩუნასმა** "ორლანდოსთან" 21 დეკემბერს გამართულ მატჩში თითი მოიტეხა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, რამდენი ხანი მოუწევდა კალათბურთის გარეშე დარჩენა ბალტიისპირელ ცენტრს.

როგორც დაწვრილებითმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, ვალანჩუნასს თითის სამკურნალოდ ოპერაცია არ დასჭირდება, მაგრამ მოუწევს დაახლოებით ექვსი კვირის გამოტოვება.

მიმდინარე სეზონში ვალანჩუნასის სტატისტიკა 7.8 ქულასა და 5.3 მოხსნას შეადგენს.

■ ■ ■

ასევე ექვსი კვირა შეიძლება ვერ ითამაშოს "ნიუ იორკ ნიქსის" ძირითადმა გამთამაშებელმა **რაიმონდ ფელტონმა**. როგორც გაზეთი "ნიუ იორკ თაიმსი" წერს, მცველმა მარჯვენა ხელის ნეკა თითი მოიტეხა და უახლოეს ხანში დეტალურ სამედიცინო გამოკვლევას გაივლის. თავად კალათბურთელმა ივარაუდა, რომ მას რეაბილიტაციის ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება.

წლევანდელ სეზონში ფელტონი საშუალოდ 15.8 ქულასა და 6.3 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

პარლამენტის ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. აბუ დაბის ტურნირი

# მარეიმ წაგებით დაიწყო


ენდი მარეი

ახალი საჩოგბურთო სეზონი ოფიციალურად 31 დეკემბერს გაიხსნება, თუმცა მანამდე იმართება აბუ დაბის ტრადიციული კომერციული ტურნირი, რომელიც ATP-ის კალენდარში არ შედის, მაგრამ იქ ყოველთვის ძლიერი შემადგენლობა იკრიბება. წელს, სწორედ აბუ დაბის ტურნირზე უნდა დაბრუნებულიყო კორტზე ესპანელი **რაფაელ ნადალი**, მაგრამ ამჯერად, მან ინფექცია მოიმიზეზა და კარიერის განახლება გარკვეული ვადით გადადო. მის ნაცვლად ორგანიზატორებმა **როჯერ ფედერერი** მიიწვიეს, მაგრამ შვეიცარიელმაც უარი განაცხადა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ აბუ დაბიში რეიტინგის ტოპ-ოთხეულიდან მხოლოდ ორი ჩოგბურთელი ვიხილეთ - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **ენდი მარეი**. გუშინდელი მეოთხედფინალების შემდეგ კი ბრიტანელიც ჩამოშორდა ტურნირს.

ენდის მეტოქე სერბი **იანკო ტიპსარევიჩი** იყო, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 5:4-ს უგებდა. ამ მატჩმა გამოაჩინა, რომ მარეი სათანადოდ არ არის მზად ახალი სეზონისთვის. მან მთელი შეხვედრის განმავლობაში ოთხი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა, ტიპსარევიჩმა კი თითო სეტში თითო ბრეიკი მიითვალა და ეს საკმარისი აღმოჩნდა მატჩის მოსაგებად - 6:3, 6:4.

*„უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ბევრი სამუშაო მექნება, მაგრამ სიამოვნებით გავაკეთებ ამას. წინა სეზონებში, ავსტრალიაში კარგ თამაშს ვაჩვენებდი და იმედია, ახალ სეზონშიც ასე იქნება“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ბრიტანელმა ჩოგბურთელმა. რაც შეეხება ტიპსარევიჩს, ნახევარფინალში მისი მეტოქე ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო** იქნება, რომელმაც აბუ დაბიში სწორედ ნადალი შეცვალა და მეოთხედფინალური ეტაპიდან თავისუფალი იყო.

■ ■ ■

გუშინ, მეორე მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ესპანელი **დავიდ ფერერი** და ჩეხი **ტომაშ ბერდიხი**. პირველ პარტიაში ფერერი 5:0 დაწინაურდა, თუმცა ბერდიხმა ბოლოსკენ შეძლო ჩამორჩენის ოდნავ შემცირება. მეორე პარტიაში ესპანელმა ბრეიკი 2:2-ზე გააკეთა და ბოლომდე შეინარჩუნა ერთბრეიკიანი უპირატესობა. მატჩის საბოლოო ანგარიშია - 6:2, 6:4 და ფერერმა 7:3 წაიყვანა ბერდიხთან ურთიერთშეხვედრათა ანგარიში.

დღეს, დავიდი ნახევარფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგანს ნოვაკ ჯოკოვიჩს შეხვდება.

● კალათბურთი

# თურქეთი მესინას იწვევს

ვეტერანი ბერძენი მცველი **ტეოდოროს პაპალუკასი** მოსკოვის ცსკა-ში დაბრუნდა. მართალია, არმიელებს ჯერ არ გაუფორმებიათ კონტრაქტი კალათბურთელთან, თუმცა 35 წლის პაპალუკასი უკვე შეიყვანეს ცსკა-ს განაცხადში ევროლიგის მეორე ეტაპის მატჩებში მონაწილეობის მისაღებად. შესაბამისად, ბერძენს აქვს შანსი, დღეს მიიღოს მონაწილეობა TOP16-ის პირველ ტურში თურქეთის "ეფესის" წინააღმდეგ.

26 დეკემბერს პაპალუკასმა პირველი ვარჯიში ჩაატარა ცსკა-ს შემადგენლობაში. საბოლოო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაფორმდება თუ არა ბერძენთან კონტრაქტი, ცსკა-ს სამწვრთნელო შტაბი რამდენიმე ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ მიიღებს.

■ ■ ■

ამასობაში, ერთი სიახლე გავრცელდა ცსკა-ს მთავარი მწვრთნელის **ეტორე მესინას** შესახებ. კერძოდ, იტალიელი სპეციალისტი თურქეთის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად განიხილება. თურქულ პრესაში წერია, რომ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **თურგაი დემირელს** სურს, რომ ნაკრები ჩაიბაროს ევროპული კალათბურთის ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს.

ადრე ფედერაციის პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობას თებერვლამდე გამოაცხადებენ.


ეტორე მესინა

● ამბები

**კრივი**

### კლიჩკო-პოვეტკინი: რუსეთში ან უკრაინაში

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი უმცროსი ძმის - **ვლადიმერ კლიჩკოსა** და რუსი **ალექსანდრ პოვეტკინის** გუნდებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება მომავალი ბრძოლის ორგანიზებისთვის.

*"საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. ვლადიმერი მსოფლიოს ჩემპიონია, მაგრამ მის ქვემოთ თურმე კიდევ ერთი ჩემპიონი ყოფილა - ალექსანდრ პოვეტკინი, - ამბობს ვიტალი კლიჩკო. - მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ორთაბრძოლა დააინტერესებთ კრივის მოყვარულებს. კარგი იქნება, თუ ამ შეხვედრას უკრაინა ან რუსეთი უმასპინძლებს. საინტერესო არ უნდა იყოს, თუ რუსი უკრაინელის წინააღმდეგ ამერიკაში ან გერმანიაში იჩხუბებს".*

**მძლეოსნობა**

### გერმანელი ამპლუას იცვლის

სიმაღლეზე ხტომაში გერმანელმა ვარსკვლავმა **არიანე ფრიდრიხმა** წლევანდელი ზამთრის სეზონის გამოტოვება გადაწყვიტა. მხარზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ, სპორტსმენმა ჯერ ვერ აღიდგინა ოპტიმალური სპორტული ფორმა და ვერ დაიბრუნა ჩვეულებრივი საშეჯიბრო წონა. როგორც ფრიდრიხის აგენტი **გიუნტერ აიზინგერი** აცხადებს, არიანემ, შესაძლოა, მძლეოსნობის სხვა სახეობაში სცადოს ბედი.

*"შესაძლოა, ეს იყოს სიგრძეზე ხტომა. ამის შესახებ ლაპარაკი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის შეძლებს მინიმუმ 6.50 მეტრზე გადახტომას. მხოლოდ ასე თუ მოხვდება ის საუკეთესო გერმანელ მხტომელებს შორის. არც იმას გამოვრიცხავ, რომ არიანემ სპრინტის სირბილი დაიწყოს"*, - ამბობს აიზინგერი.

**ჩოგბურთი**

### შარაპოვა ბრისბენში ითამაშებს

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **მარია შარაპოვამ** ფეხის ტრავმა მიიღო და ამის გამო ვერ ითამაშებს ხვალ, სეულში საჩვენებელ შეხვედრას დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკის** წინააღმდეგ. რუს ჩოგბურთელს ფეხი ამერიკაში, ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაუშავდა.

შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა შარაპოვას თამაში ბრისბენის ტურნირში, რომლითაც ოფიციალურად იწყებს მარია WTA-ის ახალ სეზონს. მაგრამ, შარაპოვამ დაარწმუნა ტურნირის ორგანიზატორები, რომ ტრავმა სერიოზული არ არის და ბრისბენში აუცილებლად ითამაშებს.

**ფორმულა 1**

### გერმანიის გრანპრი იქნება

საბოლოოდ გადაწყდა, რომ 2013 წელს გერმანიის გრანპრი ლეგენდარულ ტრასაზე - "ნიურბურგრინგზე" გაიმართება. ავტოდრომის პრესმდივანმა შობის დღესასწაულის შემდეგ გამოუცხადა გერმანელ გულშემატკივრებს ეს სასიხარულო ამბავი - ფინანსური პრობლემების მიუხედავად, "ნიურბურგრინგზე" რბოლა აუცილებლად გაიმართება.

ავტოდრომის პრესსამსახურის განცხადებით, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ სწორედ ამის გამო შეცვალა ოდნავ კალენდარი მომავალი სეზონისთვის.

*"გრანპრი გაიმართება შვიდ ივნისს. სპონსორებმა უკვე დაიწყეს სარეკლამო ადგილების დაჯავშნა"*, - წერია პრესრელიზში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-ბეერსხოტი | 3:0 |
| ანდერლეხტი-ლიერსი | 4:1 |
| **ავსტრალია** | |
| ველინგტონი-მელბურნ ჰ | 3:2 |
| სიდნეი-სენტრალ კოუსტი | 1:0 |
| პერტი-ვესტერ სიდნეი | 1:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ალბა-რეალი | 63:77 |
| ბეშიქთაში-ხიმკი | 75:80 |
| კ. ლაბორალი-ოლიმპიაკოსი | 82:74 |
| მონტეპასკი-მაკაბი | 79:69 |
| უნიკახა-ბამბერგი | 85:82 |
| **გერმანია** | |
| ბონი-ტუბინგენი | 94:96 |
| არტლანდი-ბრაუნშვაიგი | 85:75 |
| ლუდვიგსბურგი-ჰაგენი | 68:89 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **[illegible]** | |
| ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 2:3 (ო) |
| სევერსტალი-დინამო (რ) | 2:4 |
| ვიტიაზი-სპარტაკი | 3:4 (ბ) |
| დინამო (მნ)-დონბასი | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-კერპეტი | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-ტრშინეცი | 1:4 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| შვეიცარია-ლატვია | 7:2 |
| აშშ-გერმანია | 8:0 |

● TV პროგრამა

**28 დეკემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. შალკე.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
12:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ნიუკასლი-ბორდო.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ტვენტე.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. არსენალი-ოლიმპიაკოსი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ბრედა-ეინდჰოვენი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:00 გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. აინტრახტი.
00:30 ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზენიტი-მილანი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ბოსტონი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-რასინგი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-საფრანგეთი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ფლუმინენსე.
22:00 NBA ACTION.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. აბუ დაბი. საემიროები.
14:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
15:00 ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. აბუ დაბი. საემიროები (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-კორინთიანსი.
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-სან ანტონიო.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მემფისი. აშშ.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -4 | 7 | (მზე) |
| ქუთაისი | 6 | 18 | (მზე) |
| ბათუმი | 4 | 17 | (მზე) |
| ფოთი | 8 | 15 | (მზე) |
| ზუგდიდი | 4 | 17 | (მზე) |
| გორი | -6 | 8 | (მზე) |
| თელავი | -4 | 9 | (მზე) |
| სიღნაღი | -4 | 5 | (მცირე თოვლი) |
| ბაკურიანი | -15 | 1 | (მზე) |
| ბორჯომი | -10 | 6 | (მზე) |
| მესტია | -10 | 3 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2002 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6584 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6858 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4408 |

● ფორმულა 1

# 2012 წელი რიცხვებში

ესპანურმა გამოცემა AS-მა შეაჯამა ფორმულა 1-ში 2012 წლის სტატისტიკური შედეგები...

**რბოლები**

ტრასების რაოდენობა - 20

ეტაპების გამარჯვებულთა რაოდენობა - 8

პოდიუმზე ასული პილოტების რაოდენობა - 13

პილოტი, რომელმაც მაქსიმალური რაოდენობის ჯარიმა მიიღო - პასტორ მალდონადო (14)

პილოტი, რომელმაც ყველაზე ნაკლები ჯარიმა მიიღო - ფერნანდო ალონსო, ტიმო გლოკი, ჯერომ დ'ამბროზიო (არც ერთი)

სულ ჯარიმები - 98

ყველაზე მოკლე რბოლა - ბრიტანეთის გრანპრი (1:25.11,288)

ყველაზე გრძელი რბოლა - მალაიზიის გრანპრი (2:44.51,812)

მაქსიმალური სიჩქარე - 346 კმ/სთ (კიმი რაიკონენი, იტალიის გრანპრი)

მაქსიმალური საშუალო სიჩქარე - 248,2 კმ/სთ (ლუის ჰემილტონი, იტალიის გრანპრი)

**პიტსტოპები**

სულ - 957

საშუალოდ რბოლაში - 47,9

მაქსიმალური რაოდენობა რბოლაში - 79 (მალაიზიის გრანპრი)

მინიმალური რაოდენობა რბოლაში - 24 (აშშ-ის გრანპრი)

ყველაზე სწრაფი პიტსტოპი - 2,31 წამი („მაკლარენი“)

**გასწრებები**

სულ - 1139.

მაქსიმალური რაოდენობა მშრალ ტრასაზე - 90 (ჩინეთის გრანპრი)

მინიმალური რაოდენობა მშრალ ტრასაზე - 12 (მონაკოს გრანპრი)

მაქსიმალური რაოდენობა სველ ტრასაზე - 147 (ბრაზილიის გრანპრი)

**საბურავები**

გრანპრის დროს გამოყენებული - 31800

ტესტების დროს გამოყენებული - 6600

"სლიკების" საშუალო გამძლეობა - 180 კმ.

წვიმის საბურავების საშუალო გამძლეობა - 140 კმ.

**პირობები**

ყველაზე ცივი ასფალტი - აშშ-ის გრანპრი (17 გრადუსი)

ყველაზე ცხელი ასფალტი - ბრაზილიის გრანპრი (55)

ყველაზე ცივი გრანპრი - აშშ (4 გრადუსი)

ყველაზე ცხელი გრანპრი - ვალენსია (37)



<< 30-12 გვერდიდან

## გასწრება აკრძალულია



დახედეთ საგზაო ნიშანს: შავ მანქანას წითელი უსწრებს. აქვეა ფოტო, რომელზეც შავ ფორმაში ზესტაფონელი ფეხბურთელია, წითელ-თეთრში - მეტალურგელი. ამ გუნდებს შორის ჩემპიონობისთვის ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა და ფინიშის ხაზთან ორივე ერთად მივიდა (თანაბარი ქულები აღმოაჩნდა). გამარჯვებულის გამოვლენას დასჭირდა ფოტოფინიში: ფეხბურთის ფედერაციის მიერ გაზაფხულის დასაწყისში კლუბებში დაგზავნილ წერილში ეწერა, რომ ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გამარჯვებულად ის გამოცხადდებოდა, რომელსაც მეორე ეტაპზე უფრო მეტი ქულა მოუგროვდებოდა, თუმცა ეს დოკუმენტი ალმასკომის მიერ დამტკიცებული არ იყო და საბოლოოდ გაიმარჯვა „ზესტაფონმა", რომელსაც ორივე ეტაპის ჯამში მეტი ქულა აღმოაჩნდა.

## სუპერმოწმობა



ზაფხულის დადგომასთან ერთად ჩვენს დროის მანქანას სახურავი გადავხადოთ და კაბრიოლეტით ამერიკაში შევიაროთ, სადაც **თორნიკე შენგელიამ** წარმატებით ჩააბარა „მართვის მოწმობის" გამოცდები და მიიღო სუპერმოწმობა - კონტრაქტი NBA-ს გუნდისგან, „ბრუკლინ ნეთსისგან".

26 ივნისის დრაფტზე 20 წლის თორნიკე „ფილადელფიამ" აიყვანა და უმალ ბრუკლინელებს დაუთმო.

## ოქროს დღე



29 ივლისის მოვლენა ქართული სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. ამ დღეს გორელმა ახალგაზრდა **ლაშა შავდათუაშვილმა** ერთმანეთზე მიაწყო მსოფლიოს უძლიერესი ფალავნები და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა.

სიმბოლურია, რომ 20 წლის ლაშამ ფინალში თავისზე 12 წლით უფროსი უნგრელი **იშტვან უნგვარი** დაამარცხა. 20 და 12 რომ შევაწებოთ, 2012-ს მივიღებთ.

## ავფრინდით




„ავფრინდით" - ასე დავასათაურეთ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების პირველი მატჩი შესარჩევ ეტაპზე, რომელშიც რუმინეთი 80:64 დავამარცხეთ.

ჩვენმა გუნდმა 8-დან 5 მატჩი მოიგო და გეზი სლოვენიისკენ აიღო, სადაც 2013 წლის ევროპის ჩემპიონატი გაიმართება (4 სექტემბერს დაიწყება). ევრობასკეტზე ზედიზედ მეორედ ვითამაშებთ.

## ზიგზაგი





7 სექტემბერი პარასკევი იყო. ის დღეც ბევრის მეხსიერებაში დიდხანს გაძლებს. თავი დავანებოთ იმას, რომ ფეხბურთელთა ნაკრებმა ბელარუსს 1:0 მოუგო (უფრო ძლიერი მეტოქეებიც დაგვიმარცხებია). იმ მატჩში გატანილი გოლი საფეხბურთო შედევრი იყო - **თორნიკე ოქრიაშვილმა** მოედანზე სწრაფი მოძრაობით მიკლაკნილ-მოკლაკნილი საგზაო ნიშანი დახაზა, რამდენიმე ბელარუს მცველს თავგზა აუბნია და... შედევრები ისტორიასა და მეხსიერებაში ყოველთვის ღირსეულ ადგილს იკავებს.

## ზღვაზე ქარიშხალი ჩადგა



„კოკაი" იაპონურ ენაზე შავ ზღვას ნიშნავს. **ლევან ცაგურია** ამ სახელის არჩევით სუმოს სამყაროს გაეცნო როგორც შავი ზღვის პირას მდებარე პატარა სახელმწიფოს წარმომადგენელი. ქართველებს კი სუმო გაგვაცნო. იგი პირველი ჩვენიანია, რომელმაც პროფესიულ სუმოში მოსინჯა ძალა და უმაღლეს დივიზიონში წლების განმავლობაში ღირსეულად გამოდიოდა. სექტემბრის ბაშოს შემდეგ კოკაიმ ტრავმის გამო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

## გვირაბის ბოლოს

საქართველოს არაერთხელ გაუვლია ბნელ გვირაბში, საიდანაც სინათლეზე ყოველთვის გამოსულა. თუმცა ქართული კლუბებისთვის არც 2012 წელს გამოჩნდა სინათლე გვირაბის ბოლოს, ევროტურნირებზე ჩვენი გუნდების გამოსვლას ვგულისხმობთ. საკალათბურთო „არმია" ევროჩელენჯზე გავიდა და ექვსივე თამაში წააგო; წყალბურთის წარმომადგენელ „ლიგამუსსაც" ჯერ არ გაუსინჯავს მოგების გემო (ჩემპიონთა თასზე); როგორც წესი, ვერც ერთმა საფეხბურთო კლუბმა ვერ გადალახა საკვალიფიკაციო ეტაპი; ხოლო სარაგბო კლუბებს ევროპაში გარევა არც უცდიათ...

როცა ევროინტეგრაციაზე ვლაპარაკობთ და ნაკრებებს შედეგებს ვთხოვთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ „მერსედესის" ჩარჩოზე გადაწყობილი „ზაპოროჟეცი" თუნდაც „ოპელს" ვერ გაასწრებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



## საქართველოს 2012 წლის რჩეული სპორტსმენი

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ვაგრძელებთ მკითხველთა ვერსიით ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვას

/კანდიდატების სია შედგენილია ანბანის მიხედვით/

- ☐ **ალექსანდრე ამისულაშვილი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **ბექა ბაზაძე** - ფარიკაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი ბაინდუროვი** - სამბო: მსოფლიო-I
- ☐ **ნუკრი ბერაია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **ბესო ბერულავა** - სამბო: ევროპა-II; მსოფლიო-III
- ☐ **შალვა გაჩეჩილაძე** - ცხენოსნობა: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო მხედარი
- ☐ **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი გოგშელიძე** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიური თამაშები-III
- ☐ **მამუკა გორგოძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **ბესარიონ გუჩაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **მალხაზ ზარქუა** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-III
- ☐ **ირაკლი თურმანიძე** - ძალოსნობა: ევროპა-III
- ☐ **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გურამ კაშია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გენადი კვიკვინია** - მკლავჭიდი: ევროპა-II: მსოფლიო-I
- ☐ **მერაბ კვირიკაშვილი** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **უშანგი კუზანაშვილი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **ნიკოლოზ კუცია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **რევაზ ლაშხი** - ბ\რ ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **ირინე ლეონიძე** - სამბო: ევროპა II; მსოფლიო-III
- ☐ **ვარლამ ლიპარტელიანი** - ძიუდო: ევროპა-I
- ☐ **გიორგი ლორია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **დავით მაკარიძე** - პროფ. კრივი: WBU-ს ვერსიით მს. ჩემპიონი
- ☐ **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბ.: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **დავით მარსაგიშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-I; ოლიმპიადა-III
- ☐ **ნოდარ მეტრეველი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **დავით მოძმანაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II; ევროპა-III
- ☐ **ლევან ნახუცრიშვილი** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ადამ ოქრუაშვილი** - ქართული ჭიდაობა: საქართველოს ფალავანი
- ☐ **მირიან პავლიაშვილი** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **ამირან პაპინაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III
- ☐ **ლომერ ჟორჟოლიანი** - სამბო: მსოფლიო-II
- ☐ **ნინო სალუქვაძე** - ტყვ. სროლა: ოლიმპადის შვიდგზის მო...
- ☐ **ვიქტორ სანიკიძე** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზ...
- ☐ **ანა ტატიშვილი** - ჩოგბურთი: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი
- ☐ **ზაზა ფაჩულია** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ავთანდილ ცერცვაძე** - სუმო: ევროპა-II (2)
- ☐ **რაულ ცირეკიძე** - ძალოსნობა: ევროპა-I
- ☐ **მანუჩარ ცხადაია** - ბ\რ ჭიდაობა: ევროპა-II; ოლიმპიადა-III
- ☐ **ლაშა შავდათუაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III; ოლიმპიადა-I
- ☐ **შორენა შარაძე** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **მერაბ შარიქაძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **გენადი ჩირგაძე** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - თ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **დავით ხუციშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **თეიმურაზ ჯულელი** (გაგამარუ) სუმო: იმპერატორის თასი-II

*გამოკითხვაში მონაწილემ უნდა მიუთითოს მხოლოდ ერთი სპორტსმენი. ორი ან მეტი ნომინანტის გამორჩევის შემთხვევაში, ანკეტა ბათილად გამოცხადდება*

მკითხველის სახელი, გვარი ..................................

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ სპორტსმენები, ვინც დიდებში, ანდა პარალელურად ახალგაზრდებში 2012 წელს თავი გამოიჩინეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, აგრეთვე სპორტის სათამაშო სახეობებიდან პოპულარობის ინდექსით.*

*თქვენი რჩეული სპორტსმენი შეიტანეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში და გამოგზავნეთ რედაქციაში, ან დააფიქსირეთ სპორტულ საიტზე* www.sportall.ge *ან გვაცნობეთ ტელეფონით ნომრებზე: 219 60 13; 219 60 53*

*(10-დან 21 საათამდე, კვირის გარდა).*

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608

ეროვნული ბიბლიოთეკა